სატყეო სამეურვეო საბჭოს კონტროლირებადი მერქნის რისკების ეროვნული შეფასება საქართველოსთვის

მომზადდა პროცედურის FSC-PRO-60-002 V 3-0 შესაბამისად

ვერსია	V 1-0
კოდი	FSC-NRA-GE V1-0 DRAFT
ეროვნულ დონეზე დამტკიცება	გადაწყვეტილების მიმღები: FSC სტანდარტებზე მომუშავე საქართველოს სამუშაო ჯგუფი (WGFS) თარიღი: 2016 წლის 15 აპრილი
საერთაშორისო დონეზე დამტკიცება	FSC International-ის ცენტრი: პოლიტიკისა და სტანდარტების განყოფილება თარიღი: წელი, რიცხვი, თვე
საკონტაქტო პირი	სახელი, გვარი: ელ-ფოსტა:
მოქმედების ვადა	დამტკიცების თარიღი: წელი, რიცხვი, თვე ძალაშია: (დამტკიცების თარიღი + 5 წელი)
NRA დოკუმენტის შენახვა-განახლებაზე პასუხისმგებელი	WGFS საქართველო

შინარსი

რისკების შეფასების შეჯამება, საქართველო....3

შესავალი....4

რისკების ეროვნულ შეფასებაში (NRA) ჩართული ექსპერტები და მათი საკონტაქტო დეტალები....7

NRA დოკუმენტის შენახვა და განახლება....8

საჩივრები და დავები დამტკიცებულ NRA დოკუმენტთან მიმართებაში....9

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია....10

რისკების შეფასება....12

კონტროლირებადი მერქანი, რისკების კატეგორია 1: მერქნის უკანონო დამზადება....12

ზოგადი მიმოხილვა....12

კანონიერი ხე-ტყის წყაროები საქართველოში....16

რისკების შეფასება (ეროვნული დონე)....17

რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები....89

რისკების კატეგორია 2: ხე-ტყის დამზადება ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევის გზით....91

რისკების შეფასება....91

რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები....92

რისკების კატეგორია 3: ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მიმართ საფრთხის შექმნა....129

მიმოხილვა....129

შეფასებაში ჩართული ექსპერტები....132

რისკების შეფასება....133

კონტროლის სავალდებულო ღონისძიებები....159

ინფორმაციის წყაროები....163

რისკების კატეგორია 4: მერქანი ტყეებიდან სადაც ხდება ბუნებრივი ტყეების (განადგურების შედეგად) პლანტაციებში ან მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა....167

რისკების შეფასება....167

კონტროლის რეკომენდებული ღონისძიებები....175

რისკების კატეგორია 5: ტყეში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყვანა და ამ ხეებიდან დამზადებული მერქნით კომერციულად სარგებლობა....175

რისკების შეფასება....175

კონტროლის რეკომენდებული ღონისძიებები....180

რისკების შეფასების შეჯამება, საქართველო

ინდიკატორი	**მინიჭებული რისკი** (მათ შორის ფუნქციონალური გამიჯვნა გარკვეულ კატეგორიებში)
კონტროლირებადი მერქნის რისკების კატეგორია 1: მერქნის უკანონო დამზადება	
1.1	დაბალი რისკი
1.2	დაბალი რისკი
1.3	დაბალი რისკი
1.4	სპეციფიური რისკი
1.5	დაბალი რისკი
1.6	დაბალი რისკი
1.7	დაბალი რისკი
1.8	სპეციფიური რისკი
1.9	სპეციფიური რისკი
1.10	სპეციფიური რისკი
1.11	სპეციფიური რისკი
1.12	დაბალი რისკი
1.13	დაბალი რისკი
1.14	დაბალი რისკი
1.15	N/A
1.16	დაბალი რისკი
1.17	დაბალი რისკი
1.18	დაბალი რისკი
1.19	დაბალი რისკი
1.20	დაბალი რისკი
1.21	N/A
კატეგორია 2: ხე-ტყის დამზადება ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევის გზით	
2.1	დაბალი რისკი
2.2	სპეციფიური რისკი
2.3	დაბალი რისკი
კატეგორია 3: მერქნის მოპოვება ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მიმართ საფრთხის შექმნით	
3.0	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
3.1	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
3.2	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის

3.3	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
3.4	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
3.5	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
3.6	დაბალი რისკი ტყეებისათვის, რომლებიც მოქცეულია დაცულ ტერიტორიებში ან იმართება საქართველოს საპატრიარქოს მიერ; სპეციფიური რისკი დანარჩენი ტყეებისათვის
კატეგორია 4: მერქნის მოპოვება ბუნებრივი ტყეების (განადგურების შედეგად) პლანტაციებში ან მიწის სხვა არასატყეო კატეგორიებში გადაყვანით	
4.1	დაბალი რისკი
კატეგორია 5: მერქნის მოპოვება ტყეებში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყვანით	
5.1	დაბალი რისკი

შესავალი

საქართველოში კონტროლირებადი მერქნის რისკების შეფასების პროცესი თავდაპირველად 2014 წლის სექტემბერში დაიწყო. პირველი სამუშაო ვერსია (საჯარო განხილვებამდე) შემუშავდა იმავე წლის დეკემბერში. ეს პროცესი ეფუძნებოდა სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სტანდარტებს FSC-STD-40-005 V 2-1 და FSC-PRO-60-002 V2-0. აღნიშნული სამუშაო ვერსია ითვალისწინებდა საქართველოში FSC სტანდარტების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსაზრებებსა და პოზიციებს (WGFS, რომელიც დარეგისტრირდა FSC-ს პოლიტიკისა და სტანდარტების განყოფილების მიერ 2014 წლის 4 ივლისს).

თუმცა, FSC-ს მიერ კონტროლირებადი მერქნის რისკების შეფასების კუთხით ახალი მოთხოვნების შემოღების გამო (რაც გამოიხატებოდა ახალი სტანდარტების დამტკიცებით (FSC-PRO-60-002 V3-0, FSC-PRO-60-002a V1-0 და მათთან დაკავშირებული დოკუმენტები), ზემოაღნიშნული პროცესი შეჩერდა და პირველი სამუშაო ვერსია არ იქნა დამტკიცებული WGFS ან FSC-ს მიერ.

2015 წლის ზაფხულის ბოლოს აღნიშნული პროცესი განახლდა FSC-ს ახალი მოთხოვნების საფუძველზე, რაც ასევე მოიცავდა ე.წ. რისკების ცენტრალიზებულ შეფასებას (Centralized National Risk Assessment, CNRA).

FSC-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოში CNRA ჩატარდა 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 კატეგორიებისთვის. რისკების ეროვნული შეფასება (NRA) ჩატარდა მე-3 კატეგორიისათვის. ზემოაღნიშნულ სამუშაო ჯგუფს (WGFS) მიენიჭა ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღების როლი ამ განახლებულ პროცესში.

WGFS შედგება 6 წევრისგან, რომლებიც განაწილებულნი არიან 3 განყოფილებაში - სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური (2 წევრი თითოეულ განყოფილებაში). სამუშაო ჯგუფის კოორდინატორია ილია ოსეფაშვილი, რომელიც ამავდროულად არის WWF კავკასიის წარმომადგენლობის სატყეო პროგრამის ხელმძღვანელი.

NRA პროცესი ფინანსდება WWF კავკასიის მიერ განხორციელებული რეგიონული პროგრამიდან *„სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა (FLEG II)“.* პროგრამას აფინანსებს ევროპის კავშირი და ავსტრიის განვიტარების სააგენტო.

WGFS შედგება შემდეგი წევრებისაგან (უფრო დეტალური ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის წევრებისა და კოორდინატორის შესახებ მოცემულია დოკუმენტში *Proposal for development of the FSC National Risk Assessment for Georgia,* შემუშავდა 2015 წელს ინგლისურ ენაზე):

სოციალური საკითხების განყოფილება: ბატონი თამაზ ცხაკაია და ბატონი ნიკოლოზ ბურდული;

ეკოლოგიური საკითხების განყოფილება: ქალბატონი ნათია იორდანიშვილი და ბატონი ირაკლი მაჭარაშვილი;

ეკონომიკური საკითხების განყოფილება: *ბატონი მალხაზ როგავა და ბატონი მამუკა ხოშტარია.*

კონტროლირებადი მერქნის რისკების ცენტრალიზებული შეფასების (CNRA) მეორე კატეგორიის პირველი სამუშაო ვერსია მოამზადა FSC-ს მიერ დაქირავებულმა კონსულტანტმა. აღნიშნული დოკუმენტი მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული სამუშაო ჯგუფის (WGFS) კოორდინატორის მიერ 2015 წლის სექტემბერში. ინგლისური ვერსია გადაითარგმნა ქართულად და ორივე ვერსია გაეგზავნა WGFS-ს კომენტარებისათვის. WGFS-ის კომენტარები მიღებულ იქნა კოორდინატორის მიერ იმავე წლის ნოემბერში. ეკოლოგიური და ეკონომიკური განყოფილებების წარმომადგენლებმა (თითო წარმომადგენელმა აღნიშნული განყოფილებებიდან) გააკეთეს კომენტარები 2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით (აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა „დაბალი რისკის“ კატეგორია. აღნიშნული კატეგორია არ იქნა დაყენებული ეჭვქვეშ, თუმცა აღინიშნა გარკვეული შეშფოთება ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. კერძოდ, იმ სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს იმყოფებიან გატაცების მუდმივი საფრთხის ქვეშ ოსური სეპარატისტული შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან (რომლებსაც მხარს უჭერენ რუსეთის ფედერაციის სამხედროები), როდესაც მოიპოვებენ მერქანს მათი სოფლების მიმდებარე ტყეებიდან. ამ ადამიანებს უყენებენ ბრალდებას, რომ მათ გადაკვეთეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი“. თუმცა აღნიშნული ცალკეული შემთხვევები არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ „დაბალი რისკი“ შეიცვალოს „სპეციფიური რისკით“.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ იქნა ჩართული აღნიშნულ შეფასებაში, რადგან ეს 2 რეგიონი ამჟამად არ იმყოფება საქართველოს მთავრობის დე ფაქტო კონტროლის ქვეშ. ეს რეგიონები აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილებად საერთაშორისო თანასაზოგადოებისა (მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ. თუმცა, ისინი ოკუპირებულნი არიიან რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგად. მერქანი, რომლის ექსპორტიც ხორციელდება აღნიშნული რეგიონებიდან, ავტომატურად ითვლება უკანონოდ, რადგან მისი დამზადება ხდება საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ დადგენილი ნებართვების გარეშე.

CNRA კატეგორიების 1, 4 და 5 შეფასების პირველადი ვერსია (რომლებიც შემუშავდა FSC-ს მიერ დაქირავებული ორგანიზაციის მიერ) მიღებულ იქნა 2015 წლის დეკემბერში. ამ შეფასებასთან დაკავშირებით რამდენიმე კომენტარი იქნა მოწოდებული ეკოლოგიური განყოფილების წარმომადგენლის მიერ. ეს კომენტარები მეტწილად ეხებოდა ტყის საფარის სხვა კატეგორიებში გადაყვანას. კონკრეტულად, კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული ინდიკატორ 1.3-ზე (ტყის მართვის დაგეგმვა) მინიჭებული „დაბალი რისკის“ კატეგორია იმ მიზეზით, რომ ჭრის ზოგიერთი სახე (მოვლითი, სანიტარული) შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არამიზნობრივად. სხვა სიტყვებით - აღნიშნული კატეგორიების ქვეშ შესაძლოა სინამდვილეში ტარდებოდეს მერქნის კომერციული დამზადება. FSC-ს მიერ დაქირავებული კონსულტანტის პასუხი იყო, რომ აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება რისკის კატეგორიის შეცვლის საფუძველი, რადგან ინდიკატორი 1.3 არ აფასებდა იმას, სრულდება თუ არა მართვის გეგმა. სინამდვილეში შეფასდა ის, თუ როგორ სრულდება საკუთრივ მართვის გეგმის არსებობის მოთხოვნა (ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ან ხე-ტყის დამზადების დაწყებამდე).

ამ ჯგუფის წევრის შემდეგი კომენტარი ეხებოდა ინდიკატორ 1.4-ისთვის (ხე-ტყის დამზადებაზე ნებართვები) „სპეციფიური რისკის“ კატეგორიის მინიჭების დასაბუთებას. მან შემოიტანა წინადადება, რომ შესაბამისი ფრაზა ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად „ტყითსარგებლობის ლიცენზიის ან სხვა სანებართვო დოკუმენტების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა“, ნაცვლად მხოლოდ „ტყითსარგებლობის ლიცენზიების ბოროტად გამოყენების“. ჯგუფის ამავე წევრის შემდგომი მოსაზრება დაკავშირებული იყო 1.13 ინდიკატორთან (ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული უფლებები ტყითსარგებლობასთან მიმართებაში). კერძოდ, იგი არ ეთანხმებოდა აღნიშნული ინდიკატორისათვის „დაბალი რისკის“ კატეგორიის მინიჭებას. თუმცა, შემდგომი არგუმენტები, თუ რატომ იყო ამ კუთხით ტრადიციული უფლებები დარღვეული, იმ ეტაპზე არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, მინიჭებული რისკის კატეგორია არ იქნა შეცვლილი. მას ასევე ჰქონდა განსხვავებული პოზიცია ინდიკატორ 1.14-ისათვის (ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინასწარი, ინფორმირებული და თავისუფალი თანხმობა ტყითსარგებლობის უფლების გადაცემის თაობაზე) „დაბალი რისკის“ კატეგორიის მინიჭების თაობაზე იმ არგუმენტით, რომ არ არსებობს პირდაპირი საკანონმდებლო მოთხოვნა ამ კუთხით. თუმცა იმის გამო, რომ ა) არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის ვალდებულებას ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე და ბ) აქამდე არ დაფიქსირებულა სერიოზული მასშტაბის კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასა და ხე-ტყის კერძო დამამზადებელ

კომპანიებს შორის (ტყითსარგებლობის კუთხით), „დაბალი რისკის“ კატეგორია უცვლელი დარჩა. ჯგუფის ამავე წევრის შემდგომი კომენტარი ეხებოდა ინდიკატორ 1.21 (სათანადო სიფრთხილის პრონციპი - Due Diligence, მერქნის წარმომავლობის გადამოწმებისას). ამ ინდიკატორს მინიჭებული ჰქონდა შეუფასებლის სტატუსი (N/A), რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს პირდაპირ მოთხოვნებს Due Diligence კუთხით მერქნის წარმომავლობასთან მიმართებაში. ჯგუფის წევრმა გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ შესაძლოა წაბლის *(Castanea sativa)* მერქანი, წარმოებული საქართველოში, უკანონოდ შედიოდეს ევროკავშირის ბაზრებზე (წაბლი შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში). ჯგუფის წევრის აზრით, არსებობს ეჭვი, რომ ხდება ამ სახეობის მერქნის კომერციულად დამზადება სანიტარული ჭრებით, წაბლის კიბოსთან ბრძოლის მოტივით.

WGFS სამუშაო ჯგუფის ამ წევრის ბოლო კომენტარი ეხებოდა მე-4 კატეგორიას, 4.1 ინდიკატორს. ამ ინდიკატორს მინიჭებული ჰქონდა „დაუზუსტებელი რისკის“ კატეგორია (რომელსაც შემდგომ მიენიჭა „დაბალი რისკის“ კატეგორია რისკების ეროვნული შეფასების პროცესში). მისი არგუმენტი იყო, რომ ათასობით ჰექტარზე ხდება ტყეების ჭრა სამთო-მომპოვებელი სამუშაოებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გამო ბოლო წლებში. თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს უშუალოდ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებას, „სპეციფიური რისკი“ არ იქნა მინიჭებული ამ ინდიკატორისათვის.

NRA პროცესის ფარგლებში მე-3 კატეგორიის (მაღალი კონსერვაციული ღირებულებები) შეფასებისა და მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეების ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსიები მოწოდებულ იქნა კონსულტანტის მიერ (რომელიც დაიქირავა WWF-კავკასიამ FLEG II პროგრამის ფარგლებში) 2016 წლის იანვრის შუა რიცხვებში. ამ დოკუმენტების ქართულად თარგმნის შემდგომ ისინი გადაეგზავნა სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომელთაგან არ იყო მიღებული კომენტარები.

მოსალოდნელია, რომ დეტალური საჯარო განხილვის ფარგლებში (მათ შორის ექსპერტთა დონეზე) კომენტარების მიღება აღნიშნულ დოკუმენტზე (ორივე ნაწილი - CNRA და NRA) მოხდება შესაბამისი 60-დღიანი პერიოდის განმავლობაში. ასევე დაგეგმილია დაინტერესებულ მხარეთა საერთო შეხვედრა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ.

რისკების ეროვნულ შეფასებაში (NRA) ჩართული ექსპერტები და მათი საკონტაქტო დეტალები

WGFS წევრების გარდა (თუმცა ამ სამუშაო ჯგუფშიც არიან სატყეო ექსპერტები), რამდენიმე სხვა ექსპერტმაც მიიღო მონაწილეობა ამ დოკუმენტის მომზადებაში. თითოეულმა მათგანმა მოახდინა თავისი სპეციფიური გამოცდილების გაზიარება. ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია ამ ექსპერტთა სახელები (რომლებიც არ არიან WGFS ჯგუფის წევრები), შესაბამისი გამოცდილების სფერო და საკონტაქტო დეტალები:

ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ დოკუმენტის მომზადებაში

სახელი, გვარი	ელ-ფოსტა	თანამდებობა, ორგანიზაცია	გამოცდილების სფერო
მერაბ მაჭავარიანი	m.machavariani@forestry.gov.ge	ეროვნული სატყეო სააგენტოს	NRA-ს ხუთივე

		თავმჯდომარის მოადგილე	კატეგორია
კარლო ამირგულაშვილი	k.amirgulasvili@moe.gov.ge	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე	NRA-ს ხუთივე კატეგორია
გიგი ალექსიძე	k.g.aleksidze@moe.gov.ge	სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	1-ლი კატეგორია
გურამ ხურციძე	acbmgtu@yahoo.com	საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე	1-ლი და მე-2 კატეგორია
ზურაბ ღუღუნიშვილი	acbmgtu@yahoo.com	საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის წამყვანი სპეციალისტი	1-ლი და მე-2 კატეგორია
ზურაბ ჩხეიძე	zchkheidze@yahoo.com	საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის წამყვანი სპეციალისტი	1-ლი და მე-2 კატეგორია
მერაბ არახამია	m.arakhamia@rs.ge	ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	1-ლი კატეგორია
მიხეილ ქავთარაძე	m.kavtaradze@rs.ge	ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი	1-ლი კატეგორია

როგორც ნაჩვენებია ცხრილში ზემოთ, ბ-ნ მ. მაჭავარიანს და ბ-ნ კარლო ამირგულაშვილს გააჩნია მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება NRA-ს ხუთივე კატეგორიასთან, მათ შორის მაღალ კონსერვაციიულ ღირებულებებთან (HCVs) მიმართებაში. კონკრეტულად, 2014 წ ბ-ნმა მაჭავარიანმა განახორციელა საქართველოს სატყეო სექტორის შეფასება FSC სქემით ტყეების ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პოტენციალის კუთხით (იმ პერიოდში, დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით). ამ შეფასებამ ასევე მოიცვა პრინციპი 9 (HCVs). ბ-ნი კ. ამირგულაშვილი, როგორც ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სხვა მოვალეობებთან ერთად, ხელს უწყობს საქართველოში ტყეების ნებაყოფლობითი სერტიფიცირების განვითარებას. შესაბამისად, მისთვის კარგად არის ცნობილი FSC სტანდარტების მოთხოვნები, მათ შორის NRA და HCV სფეროში (HCV-ს ექვსივე კატეგორია).

NRA დოკუმენტის შენახვა და განახლება

FSC რეგიონული ოფისი (დსთ-ს და ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქვეყნები) იქნება პასუხისმგებელი ორგანიზაცია ამ დოკუმენტის შენახვისა და განახლების კუთხით. რისკების ეროვნული შეფასების დოკუმენტის რევიზირება და განახლება მოხდება საჭიროების მიხედვით და სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ. თითოეული განახლებული ვერსია გადაეგზავნება FSC-ს დასამტკიცებლად (შესაბამისი დასაბუთებით). რევიზირება ჩატარდება სტანდარტული დოკუმენტის FSC-PRO-60-002 V3-0 მოთხოვნების შესაბამისად (ამ

დოკუმენტის უახლესი ვერსიის მიხედვით) და საქართველოს ეროვნული სამუშაო ჯგუფის – WGFS აქტიური მონაწილეობით.

თუ შეიქმნა გარემოება, რაც მოითხოვს ამ დოკუმენტით მინიჭებული რისკის კატეგორიების ან კონტროლის ღონისძიებების სასწრაფო ცვლილებას (მაგ. სატყეო პოლიტიკის, კანონმდებლობის ან ტყეზე საკუთრების ფორმების მნიშვნელოვანი ცვლილება), პასუხისმგებელი ორგანიზაცია, WGFS-სთან ერთობლივად განახორციელებს ამ ცვლილებებს. განახლებული ვერსია გაეგზავნება FSC-ს დასამტკიცებლად.

საჩივრები და დავები დამტკიცებულ NRA დოკუმენტთან მიმართებაში

აღნიშნულ დოკუმენტთან მიმართებაში (მისი დამტკიცების შემდეგ) შემოსული საჩივრების განხილვა მოხდება შემდეგნაირად:

- მომჩივანი (კერძო პირი ან ორგანიზაცია) აგზავნის საჩივარს WGFS კოორდინატორთან (ტელეფონით, ელ-ფოსტით, ფაქსით ან ფოსტით) - ილია ოსეფაშვილთან (WWF კავკასიის პროგრამის ოფისი, ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. #11, 0193, საქართველო)
- საჩივარში მითითებული უნდა იყოს მომჩივანის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის) სახელი, გვარი, მისამართი, თანამდებობა და ხელმოწერა და მტკიცებულება, რაც თან ახლავს საჩივარს, ელექტრონული ან ამობეჭდილი ფორმით
- მხოლოდ ფორმალური საჩივრები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, დაექვემდებარება განხილვას და აღირიცხება სპეციალურ რეესტრში (იხ. ქვემოთ)
- WGFS კოორდინატორი უდასტურებს გამომგზავნს საჩივრის მიღებას, მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ამავე პერიოდში, კოორდინატორი აცნობებს WGFS-ს მიღებული საჩივრის თაობაზე
- საჩივარი შესაძლოა არ იქნეს მიღებული, თუ ის არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს; განხილვაზე უარის შემთხვევაში, მომჩივანს ეგზავნება შეტყობინება თხოვნით, რომ მან დააკმაყოფილოს აღნიშნული პირობები (რათა განხილულ იქნეს ეს საჩივარი)
- WGFS შეისწავლის საჩივარში წარმოდგენილ მტკიცებულებებს მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში
- მიღებულ იქნება ყველა ზომა, რათა მოხდეს საკამათო საკითხების კონფლიქტის გარეშე მოგვარება, WGFS-სა და მომჩივანს შორის მოლაპარაკებისა და დისკუსიის გზით
- თუ საჩივრის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა პრობლემის გადაჭრა, შესაბამისი ინფორმაცია გაეგზავნება FSC რეგიონალური ოფისის დირექტორს (დსთ-ს და ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქვეყნები) 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში

- რეგიონალური ოფისის დირექტორი ჩამოაყალიბებს მოუკერძოებელ საჩივრების განხილვის საბჭოს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მის მიერ საჩივრის მიღების დადასტურების დღიდან
- საჩივრების განხილვის საბჭო უნდა შედგებოდეს 3 (სამი) წევრისგან FSC-დან (ყველა განყოფილებების წარმოდგენით - თითოეულმა წევრმა უნდა წარმოადგინოს სოციალური, ეკოლოგიური ან ეკონომიკური განყოფილება, რათა მიღწეულ იყოს ბალანსი), ან სხვა ორგანიზაციიდან, რომელიც მჭიდროდ არის ასოცირებული FSC-სთან, და უნდა იყოს სრულიად მიუკერძოებელი (საჩივრის საგანთან მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტის გარეშე)
- საბჭოს წევრებმა უნდა აირჩიონ თავმჯდომარე საკუთარი რიგებიდან, ვინც ამავდროულად გახდება საბჭოს წარმომადგენელი (სპიკერი); გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს საბჭო ადგენს თავად, საჭიროების შემთხვევაში FSC-ს რეგიონალურ დირექტორთან კონსულტაციით
- საბჭო ახდენს საჩივრის მტკიცებულების განხილვას და საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე ატყობინებს რეგიონალურ დირექტორს, 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში WGFS-ს მიერ საჩივრის მიღებიდან
- საბჭოს თავმჯდომარე აცნობებს განხილვის შედეგებისა და საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე ყველა მხარეს, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში
- საჩივრების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა ამ საჩივრის განმხილველი ყველა მხარისათვის
- საჩივრების განხილვის საბჭო არ არის მუდმივმოქმედი ერთეული - თითოეული საჩივრის განსახილველად უნდა შეიქმნას ახალი საბჭო
- ყველა მიმოწერა (საჩივრები და პასუხები, მიღებული ზომები, საბოლოო გადაწყვეტილებები) აღრიცხული და შენახული იქნება საჩივართა რეესტრში სულ მცირე 5 (ხუთი) წლის განმავლობაში; რეესტრს მართავს WGFS კოორდინატორი; თუ საჩივარის წარმოდგენა მოხდა არა ინგლისურ ენაზე, მოხდება საჩივრისა და მისი განხილვის ძირითადი ნაწილებისა და საბოლოო გადაწყვეტილების თარგმნა ინგლისურად და ამ ინფორმაციის საჩივრების რეესტრში შენახვა.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია

ამ დოკუმენტის განხილვის მიზნით საჯარო კონსულტაციები განხორციელდება სტანდარტის *FSC-PRO-60-002 V3-0 FSC რისკების ეროვნული შეფასების მომზადება და დამტკიცება* მოთხოვნების თანახმად. მონაწილე მხარეები დადგინდება ამ დოკუმენტის A დანართში მითითებული პროცედურების მიხედვით. საჯარო კონსულტაციები დაიწყება FSC-ს მიერ ამ დოკუმენტის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენილი ჯგუფები მოიცავს: სახელმწიფო სატყეო სექტორის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო წრეს, ხე-ტყის დამზადება-გადამუშავების სფეროში მოქმედ კერძო კომპანიებს, ინვივიდუალურ მეტყევე-ექსპერტებს

და პროფესიული კავშირებიის წარმომადგენლებს (მეტყევეობა და ხე-ტყის გადამუშავება). სამუშაო ჯგუფის წევრებიც დაესწრებიან ამ კონსულტაციებს.

რისკების შეფასება

ტერიტორია, სადაც ჩატარდა შეფასება - საქართველო

CW NRA ტარდება საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის (ეროვნულ დონეზე). მხოლოდ მე-3 კატეგორიის შემთხვევაში (მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეები) მოხდა დიფერენციაცია ფუნქციონალურ/მმართველობის დონეზე. კერძოდ, რისკების კატეგორიების მინიჭება მოხდა იმის გათვალისწინებით, თუ ვინ მართავს ტყეს: ა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო, ბ) საქართველოს საპატრიარქო ან გ) სხვა ინსტიტუტები - ძირითადად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სატყეო სააგენტო და ლიცენზიანტები.

შეფასება ეყრდნობა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს, როგორებიცაა სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, პროექტის შედეგები, მედია, კანონმდებლობის შეფასება და ექსპერტებთან კონსულტაცია. რაც შეეხება კონტროლის ღონისძიებებს (რომლებიც შემუშავდა სპეციფიური რისკების შემთხვევაში), ზოგი მათგანი არის სავალდებულო, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს მხოლოდ რეკომენდაციას.

კონტროლირებადი მერქანი, რისკების კატეგორია 1: მერქნის უკანონო დამზადება

ზოგადი მიმოხილვა

ამჟამად საქართველოში ტყე პრაქტიკულად მთლიანად იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში, საქართველოში ტყით დაფარულია დაახლოებით 2.77 მლნ ჰა, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 39.9%; მათ შორის 0.5 ჰა - პირველადი (ხელუხლებელი) ტყეებია, 2.2 მლნ ჰა ბუნებრივი მაგრამ სახეცვლილი ტყეები და 60.000 ჰა - ხელოვნურად გაშენებული, უპირატესად დაცვითი ტყეები (კულტურები). მერქნის მთლიანი მოცულობა 430 მლნ $მ^3$-ს შეადგენს, ხოლო მერქნის საშუალო წლიური (მთლიანი) შემატება - დაახლოებით 4.0 მლნ $მ^3$-ს. საქართველოში ტყეები არათანაბრადაა გავრცელებული. მაშინ, როდესაც ზოგ რეგიონში ტყის საფარი მაღალია, არის მრავალი რეგიონი, სადაც ტყის საფარი მწირია და ტერიტორიის 10%-ს არ აღემატება.

სატყეო მიწების კატეგორია (რომელიც მოიცავს ტყით დაფარულ და ტყით დაუფარავ მიწებს) 2,966,546 ჰა ფართობს შეადგენს, საიდანაც ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს 1,894,777 ჰა-ს (63,8%-ს), დაცული ტერიტორიების სააგენტო - 452,469 ჰა-ს (15,2%-2) ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო - 137,684 ჰა-ს (4,6%-ს); სატყეო მიწების დანარჩენი

ნაწილი კი (16,4%) მდებარეობს რუსეთის ფედერაციის დე-ფაქტო კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი). ზუსტი და საიმედო ინფორმაცია ტყეებით დაფარულ ფართობთან დაკავშირებით არ მოიპოვება იმის გამო, რომ ტყის ფართობის უმეტესი ნაწილისათვის ინვენტარიზაციის მონაცემები მოძველებულია. სხვადასხვა წყარო მოიცავს განსხვავებულ ინფორმაციას. თუმცა, მიახლოებითი მაჩვენებლები სხვადასხვა წყაროდან მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულია (წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2014-2020; FAO-ს ტყის რესურსების სეფასება 2015, საქართველო; კავკასიის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ქსელი, ინფორმაცია ტყეებზე 2009-2013 წწ - http://www.wwfcaucasus.net/Index.aspx; პერსონალური კომუნიკაცია მერაბ მაჭავარიანთან, ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; თარიღი: 2015 წლის 2 ოქტომბერი).
ტყის კლასიფიკაცია მოიცავს ტყეების 2 ტიპს:

1. სამეურნეო ტყეები - ეროვნული სატყეო სააგენტოს (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოს (ექვემდებარება აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს) მართვის ქვეშ არსებული ტყეები; და
2. დაცული ტერიტორიების ტყეები - ტყეები, რომლებიც იმყოფება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვის ქვეშ (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს).

ხე-ტყის კომერციულად დამზადება შესაძლებელია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
1. ტყითსარგებლობის ლიცენზია. არსებობს 2 ტიპის ლიცენზია:
- ტყითსარგებლობის სპეციალური ლიცენზია (მხოლოდ მერქნის დამზადება)
- ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზია (ხე-ტყის დამზადება და ნადირობა)
ხე-ტყის დამზადება შესაძლებელია:
2. ხის ჭრის ბილეთით ცალკეული პირებისათვის - აკრძალულია ამ გზით დამზადებული მერქნით ვაჭრობა
3. ტყით სპეციალურ სარგებლობაზე ნებართვის საფუძველზე (მაგალითად ინფრასტრუქტურის განვითარება). გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია ამ გზით დამზადებული მერქნით ვაჭრობა (იხილეთ კატეგორია 1, ინდიკატორი 1.4).

1991 წ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე რამდენიმე ათწეულის განმავლობაში საქართველოს ტყეების მართვა ხორციელდებოდა მათი დაცვითი ფუნქციის, შეშის წარმოებისა და მერქნის მცირე ზომის პროდუქციის (როგორიცაა ლობიოს სარები სოფლის მოსახლეობისთვის) დამზადების თვალსაზრისით. სამრეწველო მერქნის იმპორტი ხდებოდა რუსეთიდან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფართოდ გავრცელდა მერქნის არამდგრადი და უკანონო მოპოვება: გაზის მოწოდების შეწყვეტას მოჰყვა საწვავ მერქანზე მოთხოვნილების ზრდა; ხელმისაწვდომი აღარ იყო იმპორტირებული სამრეწველო მერქანი მოთხოვნის შესაბამისი მოცულობით და ხელმისაწვდომ ფასად. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა

და სატყეო სფეროში კანონაღსრულების მნიშვნელოვნად განმტკიცების შედეგად ხე-ტყის არამდგრადი და უკანონო ჭრა შემცირდა. თუმცა აღნიშნული პრობლემა კვლავ არსებობს.

მერქნისა და მერქნული პროდუქტების მოპოვებაზე ნებართვის გაცემისა და კონტროლის ამჟამინდელი სისტემა ეფუძნება შემდეგ კანონმდებლობას:

2005 წ. კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (შემდგომი შესწორებებით) - ქმნის სამართლებრივ საფუძველს პირებისთვის ლიცენზიების გასაცემად, რათა ისარგებლონ ტყის რესურსებით მერქნის მოპოვებისა და/ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობის კუთხით. ტყით სარგებლობის ლიცენზირების პროცედურები და პირობები მოცემულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის #132 დადგენილებით დამტკიცებულ ქვემოთ აღწერილ რეგულაციებში. კანონი ადგენს, რომ დაუშვებელია ლიცენზიებისა და ნებართვების ან ისეთი ვალდებულებების შემოღება, რომლებიც ითვალისწინებს ლიცენზირების რეჟიმის დაწესებას, გარდა ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონით გათვალისწინებულისა.

- 1999 წ. ტყოს კოდექსი (შემდგომი შესწორებებით) - ადგენს ტყით სარგებლობის ნებადართულ ფორმებს და იმ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ტყით სარგებლობის განხორციელებამდე. ტყის კოდექსში მითითებულია ტყით სარგებლობის რიგი ტიპები. თუმცა ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონში, რომელიც იერარქიით უფრო მაღლა დგას ტყის კოდექსზე, მითითებულია ტყით სარგებლობის მხოლოდ ორი ტიპი: მერქნის მოპოვება და ნადირობა. ტყის კოდექსის 93-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2014 წ. #46 დადგენილებაში მითითებული საკონტროლო დოკუმენტების სისტემას.

- საქართველოს მთავრობის 2005 წლის #132 დადგენილება ტყით სარგებლობის ლიცენზირების პროცედურების რეგულაციების დამტკიცების შესახებ (შემდგომი შესწორებებით) - ადგენს მერქნის მოპოვებისა და/ან სამონადირეო მეურნეობების მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობისთვის ლიცენზიების გაცემის პროცედურებსა და პირობებს. რეგულაციები ითვალისწინებს, რომ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (და შესაბამისმა ორგანომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში) შეიძლება გამოყოს ტყეკაფები ლიცენზიის გარეშე და მარტივი ადმინისტრაციული პროცედურებით, რათა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საწვავ მერქანსა და ხე-ტყეზე; ასევე სპეციალური მიზნებისთვის, სპეციალური სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების და ხე-ტყის ჭრის ბილეთების საშუალებით (იხ. ცხრილი ქვემოთ). რეგულაციებში ასევე მოცემულია ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელებისთვის ხეების ჭრის დაწყებამდე ტყით სარგებლობის (მოპოვების) გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით.

- მერქნის ტრანსპორტირების კონტროლთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2014 წ. # 46 დადგენილება ითვალისწინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადაზიდულ მერქანს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ფორმის წარმოშობის სერტიფიკატი და სპეციალური იარლიყი; აკრძალულია ხე-ტყის პირველადი გადამუშავება, ხე-ტყის

გადაზიდვა საქართველოს ტერიტორიაზე და ხე-ტყის გაყიდვა კანონიერი მოპოვების სერტიფიკატის (წარმოშობის სერტიფიკატის) გარეშე.

საკანონმდებლო ჩარჩოებში არსებობს კონფლიქტები 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონისა და 1999 წ. ტყის კოდექსის ფარგლებში ლიცენზიების გაცემის პროცედურებთან დაკავშირებით. თუმცა რისკის ეს შეფასება ფოკუსირებულია მხოლოდ ხე-ტყის მოპოვებასა და გადაზიდვასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის განხორციელებაზე და არ მოიცავს საკანონმდებლო ჩარჩოების შეფასებას. ამჟამად საჭიროა, რომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა შეძლონ უკანონო ჭრის მიკვლევა და აღკვეთა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების შემოწმებების განხორციელების გზით მას შემდეგ, რაც აღნიშნული ხე-ტყე გამოტანილ იქნება ტყიდან (ასევე მერქნის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის წარმომავლობის შემოწმებით, თუ ეს აამაღლებს სისტემის ეფექტიანობას გაუმართლებლად მაღალი ხარჯების გაწევის გარეშე). ვინაიდან მერქანი და მერქის პროდუქცია საქართველოში მხოლოდ სახელმწიფო ტყეებიდან არის წარმოშობილი, მწარმოებლები მთავრობაზე არიან დამოკიდებულნი, რათა წარადგინონ დოკუმენტები ან სხვა ჩანაწერები, რომლებიც შესაძლებელს გახდის კანონიერი წყაროს და მდგრადი მართვის ქვეშ მყოფი წყაროს შემოწმებას (წყარო: პერსონალური კომუნიკაცია მერაბ მაჭავარიანთან, ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; თარიღი: 2015 წლის 2 ოქტომბერი).

მსოფლიო ბანკის მმართველობის მსოფლიო ინდიკატორების მიხედვით, საქართველომ გააუმჯობესა მმართველობის ინდიკატორები ბოლო ათი წლის განმავლობაში. -2,5-დან 2,5-მდე დიაპაზონში საქართველომ, 2014 წ., მიიღო 0,48 მთავრობის ეფექტურობაში, 0,20 კანონის უზენაესობაში და 0,74 კორუფციის კონტროლში. ასე რომ, საქართველო ამ კატეგორიებში ქულებით საშუალოზე ოდნავ მაღლაა. საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით, საქართველოს 100-დან 52 ქულა აქვს, რითაც აღემატება 50 ქულიან ზღვარს (2014 წ.). 2016 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მიენიჭა 57 ქულა (CPI). რაც შეეხევა სატყეო სექტორს, თანამდებობის პირებში არ არსებობს არსებითი პრობლემები აღსრულების არარსებობის და კორუფციის მხრივ. სატყეო სექტორთან დაკავშირებული კანონების აღსრულება საქართველოში პრობლემატურია ერთის მხრივ სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების ნაკლებობისა და მეორეს მხრივ მათ მიერ გასაკონტროლებელი ტყის ფართობების სიდიდის გამო (წყარო: მსოფლიო ბანკის მმართველობის მსოფლიო ინდიკატორები (2014 წ.): http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports).

კანონიერი ხე-ტყის წყაროები საქართველოში

	ტყის კლასიფიკაციის ტიპი	ნებართვის/ ლიცენზიის ტიპი	ძირითადი სალიცენზიო მოთხოვნები (მართვის ან ტყითსარგებლობის გეგმა ან ანალოგიური დოკუმენტი)	ახსნა-განმარტება
1	ეკონომიკური (კომერციული) სარებლობის ტყეები - ეროვნული სატყეო სააგენტოს (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეოს სააგენტოს (ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო თავის მხრივ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას) მართვის ქვეშ მყოფი ტყეები	1. ტყით სარგებლობის (მოპოვების) ლიცენზია 2. "ხე-ტყის დამზადების ბილეთი“ კერძო პირებისთვის - არ უნდა შევიდეს კომერციული მიწოდების სისტემაში 3. შეთანხმება (ტყით) სპეციალურ სარგებლობაზე (ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნებისთვის)	ტყით სარგებლობის (მოპოვების) დამტკიცებული გეგმა და დამზადების ლიცენზია	დამზადების ოპერაციები ხორციელდება ტყით სარგებლობის (მოპოვების) დამტკიცებული გეგმისა და ხე-ტყის მოპოვების ლიცენზიის მოთხოვნების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ხე-ტყის მოპოვების ლიცენზია საჭირო არ არის (სპეციალური ჭრა - ჭრა გზებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზებისთვის და ა.შ., სანიტარული ჭრა, კერძო პირების მიერ მერქნის გამოყენება საშეშედ მხოლოდ პირადი მიზნებისთვის) და ჭრა შეიძლება განხორციელდეს სპეციალური ჭრის განმახორციელებელ კომპანიასთან ან უწყებასთან ხელშეკრულების საფუძველზე ან კერძო პირების მიერ საშეშე მერქნის დამზადების მიზნით გაცემული „ხე-ტყის დამზადების ბილეთის“ საფუძველზე. „ხე-ტყის დამზადების ბილეთს“ გასცემს სატყეო ადმინისტრაცია (ეროვნული სატყეო სააგენტო). ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით მოპოვებული ხე-ტყე უნდა გადაეცეს ეროვნულ სატყეო სააგენტოს. თავდაპირველად ასეთი ხე-ტყე გამოიყოფა სოციალური მიზნებისთვის, თუმცა მცირე მოცულობით შეიძლება შევიდეს კომერციული ხე-ტყის სისტემაში.

2	დაცული ტერიტორიების ტყეები - დაცული ტერიტორიების სააგენტოს (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) მართვის ქვეშ მყოფი ტყეები.	ხე-ტყის დამზადების ბილეთები კერძო პირებისთვის	დაცული ტერიტორიის მართვის დამტკიცებული გეგმა და „ხე-ტყის დამზადების ბილეთი“	ხე-ტყის დამხადების ოპერაციები სრულდება დაცული ტერიტორიების მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიაში (ეროვნული პარკების ტრადიციული სარგებლობის ზონები /IUCN კატ. II/ და აღკვეთილები /IUCN კატ. IV/), დაცული ტერიტორიის მართვის დამტკიცებული გეგმების მოთხოვნების საფუძველზე და მხოლოდ კერძო პირებისთვის საშეშე ხე-ტყისთვის, რომელიც მხოლოდ პირადი მიზნებისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

რისკების შეფასება (ეროვნული დონე)

1.1 მიწაზე (ტყეზე) საკუთრების, სარგებლობისა და მართვის უფლება (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებების, მათ შორის ტრადიციული უფლებების, ასევე მართვის უფლებების სფეროში, რაც მოიცავს კანონიერი მეთოდების გამოყენებას საკუთრებისა და სარგებლობის და მართვის უფლებების მოსაპოვებლად. იგი ასევე მოიცავს კანონიერი ბიზნესის რეგისტრაციას და საგადასახადო რეგისტრაციას, შესაბამისი საჭირო კანონიერი ლიცენზიების ჩათვლით

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

• კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (2008 წ.) / საქართველოს 2008 წ. 19 დეკემბრის კანონი # 820-IIrs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 41, 30.12.2008 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 22.04.2015 წ. მდგომარეობით/17 შემასწორებელი კანონით გათვალისწინებული ცვლილებებითურთ /უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 01.04.2015 წ. # 3420-IIs კანონით - სსმ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი, 22.04.2015 წ.)

• ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.

• საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.

ვებგვერდის მისამართი მოქმედ კანონმდებლობაზე
• კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (2008 წ.) / საქართველოს 2008 წ. 19 დეკემბრის კანონი # 820-IIrs
https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560

• ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ.) /საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

იურიდიული ორგანო (კანონიერ შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს);
შემოსავლების სამსახური (ექვემდებარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს);
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, რომელიც თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• ტყით სარგებლობის ლიცენზია
• ტყის ბილეთი (ნებართვა შეშის მოპოვებაზე ინდივიდებისთვის)
• ხელშეკრულება (კონტრაქტი) სპეციალური სარგებლობის შესახებ

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
მიწაზე საკუთრების რეესტრი:
http://napr.gov.ge/udzravi

კერძო ერთეულების რეესტრი (სამეწარმეო რეესტრი):
http://napr.gov.ge/pol

პერსონალური კომუნიკაცია მერაბ მაჭავარიანთან, ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის

მოადგილე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; თარიღი: 2015 წლის 2 ოქტომბერი

არასამთავრობო წყაროები
USAID-ის მიერ დაფინანსებული მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (ანგარიში მომზადდა Mendez England & Associates მიერ: http://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pdacs584.pdf)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

საქართველოს ტყეების საკუთრება ასეთია: ტყეები (და ტყის ფონდი ზოგადად) პრაქტიკულად მთლიანად იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში - ტყის ფონდის მთლიანი ტერიტორია (რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტყეებს, არამედ ტყით დაუფარავ ოფიციალურად კლასიფიცირებულ ტერიტორიებს) შეადგენს 2,966,546 ჰა-ს, საიდანაც ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს 1,894,777 ჰა-ს (63.8%), დაცული ტერიტორიების სააგენტო - 452,469 ჰა-ს (15.2%), და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო - 137,684 ჰა-ს (4.6%), ხოლო ტყის ფონდის დანარჩენი ფართობი (16.4%) მდებარეობს დე-ფაქტო რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიებზე (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში). არის მცირე ფართობის სატყეო მიწები, რომლებიც ოფიციალურად რუკაზე დატანილი ტყის ფონდის საქღვრებს გარეთ დარჩა და რომლებიც შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში; დაუშვებელია ამ ტერიტორიების, როგორც ხე-ტყის კანონიერი წყაროს (სხვა სიტყვებით, დაბალი რისკის მქონე) აღიარება კომერციულ ბაზარზე.

2010 წ. სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ ზემოთ აღნიშნული წესების თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრები უნდა დაადგინოს მთავრობამ - 2011 წ. მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო ტყის ფონდის ჩამონათვალი (შესაბამისი GIS ინფორმაციით და რუქებით), რომლებიც რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მართვის ქვეშ არსებულ საჯარო რეესტრის სამსახურს. თუმცა GIS მონაცემების არათანმიმდევრულობისა და ხარვეზების გამო ტყის ფონდის საკუთრების რეგისტრაციის პროცესი შეჩერდა და ამჟამად ხორციელდება ერთეულ შემთხვევებში.

კერძო მიწის ფლობისა და სარგებლობის უფლებები შეიძლება დარეგისტრირდეს რეესტრში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ან ნებისმიერი ფორმის იურიდიული ერთეული წარადგენს ამ მიწაზე კანონიერი უფლებების დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტებს. ეს მოიცავს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს (პასპორტი, პირადობის მოწმობა, კომპანიის რეგისტრაციის დოკუმენტები და ა.შ.), ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, სასამართლოს გადაწყვეტილებებს ან სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს უძრავი ქონების ფლობის კანონიერ უფლებას.
მიწის რეგისტრაცია გაუმჯობესდა 1999-2005 წ.წ. USAID-ის მიერ დაფინანსებული მიწის ბაზრის განვითარების პროექტის განხორციელების შედეგად, რომელმაც უზრუნველყო 2.5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთების სისტემური საკადასტრო აზომვა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოში (NAPR). NAPR-ს მიწის რეგისტრაციისთვის შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა პირმა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოითხოვს, რომ საკუთრების უფლება ძალაში შევიდეს რეგისტრაციის დღიდანვე. საკუთრების უფლება კონრაქტის საფუძველზე არ ჩაითვლება ძალაში მყოფად, ქმედითად და აღსრულებადად, თუ ის არ არის რეგისტრირებული NAPR-ში.

მიწათსარგებლობის უფლებები საჯაროდ ხელმისაწვდომია, თუ მიწა და კომერციული სტრუქტურა რეგისტრირებულია და ამ შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:
- უძრავი ქონების რეესტრი: http://napr.gov.ge/udzravi
- კერძო ერთეულების რეესტრი (სამეწარმეო რეესტრი): http://napr.gov.ge/pol

2005 წლის შემდეგ, ტყით სარგებლობის ამჟამად არსებული ლიცენზიების სისტემა ტყით სარგებლობის უპირატესი ფორმა და მერქნით სარგებლობის უმთავრესი მექანიზმია საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდთან მიმართებაში. ლიცენზირების სისტემასთან დაკავშირებული უფრო დეტალური ინფორმაცია იხ. 1.2 და 1.4-ში.

კერძო პირებს ან კომერციულ სტრუქტურებს, რომლებსაც აქვთ ბიზნეს-ლიცენზია, უნდა გააჩნდეთ საგადასახადო რეგისტრაცია გაცემული საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაცის მიერ, გადასახადების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით. ყველა ერთეული რეგისტრირებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად შემოსავლების სამსახურის მიერ (ფინანსთა სამინისტროს დანაყოფი), სადაც მათ გადაეცემათ: გადასახადისა და დღგ-ს გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი; მომხმარებლის სახელი და პაროლი; მომხმარებლის ეს სახელი და პაროლი გამოიყენება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე მათი გვერდის წვდომისთვის, რამდენადაც ყველა საგადასახადო დეკლარაციის, ისევე როგორც დღგ ინვოისების წარდგენა ხდება ამ ვებგვერდის საშუალებით.

რისკის აღწერა

მიწის/ საკუთრების ბუნდოვანი უფლებები: საქართველო იმყოფება იმ მიწების პრივატიზაციის პროცესში, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს წარმოადგენდა სახელმწიფო მიწას. როგორც სახელმწიფო მიწა, ასევე კერძო მიწა რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში, ხოლო მიწის საკუთრების უფლების რეგისტრაცია შეიძლება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ არის მოთხოვნილი და რეგისტრირებული სხვა მხარეების მიერ. ვინაიდან ტყის ფონდი არ არის სრულად რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მისი არარეგისტრირებული ტერიტორიები შეიძლება მოითხოვონ კერძო პირებმა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ ახდენს გადამოწმებას, არის თუ არა ტერიტორია ტყის ფონდში, ან რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ეს ნიშნავს, რომ თეორიულად ტყის ფონდშე არსებული სალიცენზიო ტერიტორია (თუ ტყის ფონდის ამ მონაკვეთზე სახელმწიფო საკუთრების უფლება არ არის საჯაროდ რეგისტრირებული) შეიძლება პრივატიზებულ იქნას და ამგვარად, შეიძლება წარმოიშვას საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კონფლიქტები. თუმცა პრივატიზაციის პროცესი ხორციელდება მცირე ფართობებზე (2,5 ჰა) და მხოლოდ დასახლებული პუნქტების მახლობლად და ტყის საზღვართან. პრაქტიკაში არ არსებობს პრობლემები ამ ლიცენზირებული ტერიტორიების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. იმ ფაქტს, რომ ლიცენზიის მფლობელების ტყით სარგებლობის უფლებას არ ემუქრება საფრთხე, ადასტურებს ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრში ძალიან ცოტა ლიცენზიის

მფლობელია რეგისტრირებული. ეს შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ გზას სარგებლობის უფლებების დაცვისათვის, თუმცა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ამჟამად ლიცენზიის მფლობელები არ თვლიან ამას საჭიროდ, რადგან ლიცენზიის მფლობელების ტერიტორიების პრივატიზაციის რისკი დაბალია. კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მას გადაწყვეტს სასამართლო.
შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სრულდება იმ კანონების მოთხოვნა, რომლებიც მოითხოვენ ბიზნესისა და სარგებლობის უფლების რეგისტრაციას ტყეებთან მიმართებაში - დღესდღეობით არ მოიპოვება ინფორმაცია ამ საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით, ან კორუფციული გარიგებების თაობაზე (მათ შორის მექრთამეობის) აღნიშნული უფლებების მოპოვების მიზნით. დღევანდელ პირობებში რისკი იმისა, რომ ეს საკანონმდებლო მოთხოვნები დაირღვევა, არის უმნიშვნელო (რადგან პრივატიზაცია მიმდინარეობს შედარებით მცირე ფართობებზე და დასახლებული ადგილების მიმდებარედ, ტყის ფართობებისგან მოშორებით. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები სრულდება.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1[1]-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.2 ტყითსარგებლობის ლიცენზიები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ტყით სარგებლობაზე (კონცესიაზე) ლიცენზიების გაცემის პროცედურებს, მათ შორის სამართლებრივი მეთოდების გამოყენება კონცესიის ლიცენზიის მოსაპოვებლად. მსოფლიოში კონცესიის ლიცენზიებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ფართოდ ცნობილი პრობლემებია მექრთამეობა, კორუფცია და ნეპოტიზმი.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თვის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.

[1] ინფორმაცია ამ მაჩვენებლების (thresholds) თაობაზე მოცემულია FSC-ის მიერ შემუშავებულ რისკების შეფასების ჩარჩო დოკუმენტში (FSC National Risk Assessment Framework, NRAF; FSC-PRO-60-002A V1-0 EN; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე)

• კანონი ტყის ფონდის მართვის [= ტყის რესურსებისა და ტყის ფონდის მართვის] შესახებ (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 6 ივლისის კანონი # 3345-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 39, 19.07.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 05.04.2013 წ. მდგომარეობით / 7 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 2013 წ. 25 მარტის # 461-RS კანონით, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 05.04.2013 წ.

• კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005 წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 40, 18.07.2005წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 30.06.2015 წ. მდგომარეობით / 60 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 12.06.2015 წ. კანონით #3704-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 30.06.2015 წ.

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით

• ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის #179 ბრძანების „ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიცენზიის მფლობელების მიერ [სამინისტროთვის] სალიცენზიო პირობების/ მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარეობის ანგარიშების წარდგენის წესებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ დანართი #1 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 18.02.2015 წ.)

ვებგვერდები მოქმედ კანონმდებლობაზე

ტყის კოდექსი (1999 წ.) /საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• კანონი ტყის ფონდის მართვის [= ტყის რესურსებისა და ტყის ფონდის მართვის] შესახებ (2010 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/92344

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/26824

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/10234

• ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის #179 ბრძანების დანართი #1
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2724305

იურიდიული ორგანო (კანონიერ შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად);

• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) ლიცენზია
• ტყის მართვის გენერალური გეგმა - (უნდა მომზადდეს სატყეო ადმინისრაციის მიერ ტყის დიდი ტერიტორიისთვის / სატყეო ადმინისტრაციული ერთეულისთვის)
• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) გეგმა - (უნდა მომზადდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ ტყის დიდი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილი ლიცენზირებული ადგილისთვის)

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://matsne.gov.ge

არასამთავრობო წყაროები

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) - http://www.transparency.org/cpi2015#results-table

Wikipedia – კორუფცია საქართველოში -

https://en.wikipedia.org/wiki/Corruption_in_Georgia

მსოფლიო ბანკი (2012) –

კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში – რეფორმების ქრონიკა საქართველოში (http://documents.worldbank.org/curated/en/518301468256183463/pdf/664490PUB0EPI0065774B09780821394755.pdf)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

ხე-ტყის მოპოვების ამჟამინდელი სისტემა შექმნილია შემდეგი კანონმდებლობის საფუძველზე:

2005 წ. კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (შემდგომი შესწორებებით). ქმნის სამართლებრივ საფუძველს ლიცენზიების გასაცემად იმ პირებზე, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ტყე ხე-ტყის მოპოვების მიზნით (***ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზია)*** და როგორც ხე-ტყის მოპოვების, ასევე ნადირობის მიზნით (***ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია***).

ტყით სარებლობის ლიცენზიის გაცემის პროცედურები და პირობები მითითებულია საქართველოს მთავრობის 2005 წ. #132 განკარგულებით დამტიცებულ რეგულაციაში, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი. კანონში მითითებულია, რომ არ შეიძლება ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონით შემოღებულის გარდა სხვა ლიცენზიებისა და ნებართვების და ვალდებულებების შემოღება, რომლებიც გულისხმობს ლიცენზირების რეჟიმის დაწესებას.

1999 წ. ტყის კოდექსი (შემდგომი შესწორებებით). აწესებს ტყით სარგებლობის ნებადართულ ფორმებს და აყალიბებს პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ტყით სარგებლობის დაწყებამდე. ტყის კოდექსში მითითებულია ტყით სარგებლობის ტიპები (მაგ. ხე-ტყის მოპოვებისთვის, რეკრეაციისთვის, სამეცნიერო და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ.).

საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზირების პროცედურებისა და პირობების რეგულაციის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომი შესწორებებით) აყალიბებს ხე-ტყის მოსაპოვებლად და სანადიროდ ტყით სარგებლობისთვის ლიცენზიების გაცემის დეტალურ პროცედურებსა და პირობებს.

ტყით სარგებლობის ლიცენზიები წარმოადგენს ტყის საკუთრებისა და სარგებლობის ფორმას, რომელიც ქმნის საფუძველს ტყის კონცესიების სისტემისთვის. ტყით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს ტყის მფლობელსა (მთავრობას, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მესაკუთრეს) და სხვა მხარეს (კერძო სექტორის ერთეულები ან ინდივიდები) შორის კონტრაქტის ელემენტებს,

რომლებიც იძლევა ტყის მოცემულ ტერიტორიაზე კონკრეტული მითითებული რესურსების მოპოვების უფლებას (ტყის უტილიზაციის ელემენტები) და კონტრაქტის ელემენტებს ტყის მითითებულ ტერიტორიაზე მოცემული რესურსების მართვისთვის (ტყის მართვის ელემენტები). ტყით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს ზემოთ აღნიშნული ელემენტების ორივე ტიპს და სხვა ვალდებულებებს, როგორც ლიცენზიის ნაწილს. 2013 წლიდან ტყის მართვის გეგმა უნდა მოამზადოს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ. ტყით სარგებლობის ლიცენზიები გაიცემა აუქციონის წესით და შემდეგ ლიცენზიანტმა, ტყის რესურსების მოპოვების ოპერაციების დაწყებამდე, უნდა ჩაატაროს ტყეების ინვენტარიზაცია და მოამზადოს ამ რესურსების მოპოვების გეგმა (იხ. ქვე-კატეგორია 1.3). უმეტეს შემთხვევებში ამჟამად არსებული ტყით სარგებლობის ლიცენზიები წარმოადგენს 10-20 წლიან კონტრაქტებს.

რისკის აღწერა

ლიცენზიის გაცემა ხდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ღია აუქციონის წესით. სატენდერო წინადადებები მიიღება კონვერტებით და იხსნება საჯაროდ. პროცესი გამჭვირვალეა და საქართველოში კორუფციის რისკი არ ითვლება არსებითად, რასაც ასევე ადასტურებს CPI-ის 57 ქულა და, შესაბამისად, 44-ე ადგილი 2016 წლის მონაცემებით (ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოთვლილი კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში; 50-ზე მეტი ქულა შეესაბამება მაღალ შედეგს, ანუ დაბალ რისკს კორუფციის თვალსაზრისით). აღსანიშნავია რომ ამავე სისტემით საქართველო 52 ქულით იმყოფებოდა 48-ე ადგილზე 2015 წლის მონაცემების მიხედვით.

ხე-ტყის დამზადების უფლებებზე არ ყოფილა დიდი კონკურენცია, ხოლო ფასის უკანონო რეგულირება არ წარმოადგენს პრობლემას. ამჟამად აუქციონის ჩატარების და ლიცენზიების გაცემის ორგანიზება შეიძლება მხოლოდ რუქაზე დატანილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ტყის ტერიტორიებზე და იმ შემთხვევებში, როდესაც ტყის მართვის გეგმა შედგენილია ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ. რამდენადაც ამჟამად მიმდინარეობს და ჯერ არ არის დამთავრებული მართვის გეგმების მომზადება, ახალი ლიცენზიები არ გაცემულა 2013 წლის იანვრის შემდეგ, როდესაც შემოღებულ იქნა შესაბამისი მოთხოვნა. ამჟამად მოქმედებს ტყით სარგებლობის სულ 43 ლიცენზია, თუმცა ყველა მათგანი გაცემულია 2013 წლამდე და, შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე არ არსებობს მთლიანად სატყეო უბნისათვის მომზადებული მართვის გეგმა.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.3 ტყის მართვისა და ხე-ტყის მოპოვების დაგეგმვა (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - ნებისმიერი სამართლებრივი მოთხოვნა მართვის დაგეგმვასთან მიმართებაში, მათ შორის ტყის ინვერტანიზაციის ჩატარება, ტყის მართვის გეგმის ქონა და შესაბამისი დაგეგმვა და მონიტორინგი, ასევე მათი დამტკიცება კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 199 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• *ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს*

მთავრობის განკარგულება
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1971205

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთვრობის 2005 წლის 11 აგვისტოს განკარგულება #132
https://matsne.gov.ge/ka/document/view/10234

იურიდიული ორგანო (კანონიერ შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) ლიცენზია
• ტყის მართვის გენერალური გეგმა - (უნდა მომზადდეს სატყეო ადმინისრაციის მიერ ტყის დიდი ტერიტორიისთვის / სატყეო ადმინისტრაციული ერთეულისთვის)
• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) გეგმა - (უნდა მომზადდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ ტყის დიდი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილი ლიცენზირებული ადგილისთვის)

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2012 –2016 წ.წ.)
http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/NEAP_eng_2012.pdf

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წ.წ.)

https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nbsap-v2-en.pdf

პერსონალური კომუნიკაცია მერაბ მაჭავარიანთან, ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; თარიღი: 2015 წლის 2 ოქტომბერი

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

2013 წლის შემდეგ შემოღებულ იქნა იურიდიული მოთხოვნები მართვის დაგეგმვასთან (ტყის ინვენტარიზაციის ჩატარების ჩათვლით), ტყის მართვის გეგმების ქონასა და შესაბამის დაგეგმვასა და მონიტორინგთან, აგრეთვე კომპეტენტური ორგანოების მიერ მათ დამტკიცებასთან მიმართებაში, რომლებიც იმართება კანონმდებლობის მრავალი დებულებით. ეს ასპექტები მოიცავს:

- ტყით სარგებლობა იგეგმება ტყის მართის გენერალური გეგმის (ადგენს ეროვნული სატყეო სააგენტო და ხე-ტყის მოპოვების გეგმის (ადგენს ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი) საფუძველზე [ტყის კოდექსის 24-ე მუხლი (1999 წ.)];
- ტყის მონიტორინგი მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს და მასალები უნდა აისახოს ტყის მართვის დაგეგმვაში [ტყის კოდექსის 25-ე მუხლი (1999 წ.)];
- ტყით სარგებლობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ ტყიანი ტერიტორიის იმ ფარგლებში, სადაც 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ ჩატარდება ინვენტარიზაცია [ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები, მუხლი 21, პ. 1 (2005 წ.)];
- ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს მოეთხოვებათ ხე-ტყის დამზადების გეგმის ქონა იმ ლიცენზიებისთვის, რომლებიც გაიცემა 5 წელზე მეტი პერიოდისთვის და ტყის უტილიზაციის პერსპექტიული გეგმის (ხე-ტყის მოპოვების გეგმის გამარტივებული ვარიანტი) ქონა იმ ლიცენზიებისთვის, რომლებიც გაცემულია 5 წელზე ნაკლები პერიოდისთვის [ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები, მუხლი 8 (2005 წ.)];
- ხე-ტყის მოპოვების გეგმა შეისაძლებელია შემუშავდეს უფრო დიდი ტყიანი ტერიტორიებისთვის შემუშავებული მართვის გენერალური გეგმის (რომელიც, ჩვეულებრივ, ტყის მთლიან ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს) საფუძველზე [ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების მე-18 მუხლი (2013 წ.)];
- ტყით სარგებლობის ლიცენზია ვერ ამოქმედდება და ხე-ტყის მოპოვება ვერ განხორციელდება ხე-ტყის მოპოვების გეგმის (ან ტყის უტილიზაციის პერსპექტიული გეგმის) გარეშე, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს სატყეო ადმინისტრაციის (ეროვნული სატყეო სააგენტოს) მიერ [ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები, მუხლი 8 (2005 წ.)];

- ლიცენზიის მფლობელმა ხე-ტყის მოპოვების გეგმა უნდა მოამზადოს ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში [ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები, მუხლი 8 (2005 წ.)];
- თუ ლიცენზიის მფლობელმა ტყით სარგებლობის ლიცენზია მიჰყიდა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სატყეო ადმინისტრაციას (ეროვნულ სატყეო სააგენტოს) უნდა წარედგინოს ხე-ტყის დამზადების განახლებული გეგმა, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას მის მიერ. ხე-ტყის მოპოვების განახლებული გეგმის დამტკიცებამდე აკრძალულია ხე-ტყის მოპოვების ოპერაციების განხორციელება [ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები, მუხლი 8 (2005 წ.)];
- როგორც ტყის მართვის გეგმის, ასევე ხე-ტყის დამზადების გეგმის მომზადების პროცესი უნდა მოიცავდეს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებს [ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების მე-15 და მე-20 მუხლები (2013 წ.)];
- დამტკიცების შემდეგ ხე-ტყის მოპოვების ეგმა ხდება სალიცენზიო პირობების (ვალდებულებების) ნაწილს და მისი განხორციელების მონიტორინგს ახორციელებენ კომპეტენიტურო ორგანოები (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ეროვნული სატყეო სააგენტო - ორივე ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში და მისი დასრულებისთვის [ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) და ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.)].

  ტყის მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს მრავალ თემას, როგორიცაა მიწათსარგებლობის მონაცემები, ტყის რესურსების ინვენტარიზაციის მონაცემები, ტყით სარგებლობის შესაძლო ტიპები, ნებადართული ჭრის მაქსიმალური მოცულობა, გეოგრაფიული და ბიომრავალფეროვნების აღწერა, ეკონომიკური კონტექსტი და ა.შ. [ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების მე-14 მუხლი (2013 წ.)]. ხე-ტყის მოპოვების გეგმა უნდა მოიცავდეს [ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების მე-19 მუხლი (2013 წ.)] შემდეგ თემებს:
- ზოგადი ინფორმაცია სალიცენზიო ტერიტორიისთვის (მათ შორის გეოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლები და ა.შ.)
- ტყის რესურსების ცვლილება და ბოლო დროს განხორციელებული აქტივობები
- სალიცენზიო პერიოდში დასამზადებელი ხე-ტყის მოცულობის შეფასება
- ტყის დაცვის ღონისძიებები და ხელახლა გატყიანება
- ტყის ინფრასტრუქტურა
- ბიომრავალფეროვნება და გარემოს დაცვის ღონისძიებები

რისკის აღწერა

საერთო საინვენტარზაციო მონაცემები საქართველოს ტყეების უმეტესი ნაწილისთვის 15 წლის ან უფრო ადრინდელია და მოძველებულია. 2013 წლამდე კანონმდებლობა არ მოითხოვდა

სალიცენზიო ტერიტორიის სრული ინვენტარიზაციის განხორციელებას და/ან ტყის მართვის გენერალური გეგმის შემუშავებას, რომელიც ტყის იმ მთლიან ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს, სადაც შეიძლება გამოყოფილ იქნას სალიცენზიო უბნები. ლიცენზიანტების მხრიდან ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ ხე-ტყის მოპოვების კონკრეტულ ტერიტორიაზე. ლიცენზიების აუქციონების მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა 15 წლის წინანდელი საინვენტარიზაციო მონაცემები.

2013 წლამდე ინვენტარიზაციის და ტყის დიდი ტერიტორიის მართვის გენერალური გეგმის უქონლობა კომპენსირდებოდა ხე-ტყის ჭრის უბანზე დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარების სავალდებულო მოთხოვნით და შემდეგ (ლიცენზიის გაცემის შემდეგ), ამ ინვენტარიზაციის საფუძველზე, მუშავდებოდა ხე-ტყის დამზადების გეგმა ცალკ-ცალკე ყოველი სალიცენზიო უბნისთვის, რომელსაც მოიცავს კონკრეტული ლიცენზია.

სატყეო ადმინისტრაცია (ეროვნული სატყეო სააგენტო) პასუხისმგებელია ტყის მართვის გეგმის შემუშავებაზე, ხოლო ლიცენზიის მფლობელი ახორციელებს ინვენტარიზაციას და ადგენს ხე-ტყის მოპოვების გეგმას.

2013 წლამდე პერიოდში ლიცენზიების გაცემამდე არ ხდებოდა ტყის მართვის გეგმების შემუშავება, თუმცა ოპერაციების დაწყებამდე ლიცენზიების მფლობელები აკეთებდნენ ინვენტარიზაციას და ამზადებდნენ ხე-ტყის დამზადების გეგმებს. ამ დროისთვის (2015 წ. ოქტომბერი) მართვის არცერთი გეგმა არ არის დასრულებული, თუმცა ხორციელდება მართვის სამი გეგმის შემუშავება. ამის გამო 2013 წ. კანონმდებლობის ძალაში შესვლიდან ტყით სარგებლობის არცერთი ლიცენზია არ გაცემულა, რაც მიუთითებს ფაქტიური პრაქტიკის შესაბამისობაზე სამართლებრივ მოთხოვნებთან. დადგინდა, რომ 2013 წლამდე გაცემული ლიცენზიები შეესაბამება ადრინდელ კანონმდებლობას ხე-ტყის დამზადების უბანზე დამზადების ოპერაციებამდე და მათ შემდეგ საინვენტარიზაციო შემოწმების ჩატარებასთან მიმართებაში, რაც მართვის გეგმების ნაწილს შეადგენს.
როგორც ლიცენზირებული ტერიტორიები, ასევე კონკრეტული ხეების ჭრის ადგილები, რეგისტრირებულია ელექტრონულ სისტემაში, რომელსაც ეწოდება მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემა ხე-ტყის რესურსების მართვისთვის. უფრო დეტალურად იხ. თავში „ვაჭრობა და ტრანსპორტი“.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.4 ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე (დასკვნა: სპეციფიური რისკი - ტყითსარგებლობის ლიცენზიის ბოროტად გამოყენება)

კონტექსტი - ხე-ტყის დამზადების ნებართვების, ლიცენზიების ან ხე-ტყის დამზადების კონკრეტული ოპერაციებისთვის საჭირო სხვა სამართლებრივი დოკუმენტების მარეგულირებელი კანონმდებლობა. იგი მოიცავს ნებართვის მოპოვების კანონიერი მეთოდების გამოყენებას. ხე-ტყის დამზადების ნებართვებთან მიმართებაში ფართოდ ცნობილი პრობლემაა კორუფცია.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ [= ტყის რესურსებისა და ტყის ფონდის მართვა] (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 6 ივლისის კანონი # 3345-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 39, 19.07.2010 წ.) / კონსოლიდირებულია ვერსია 05.04.2013 წ. მდგომარეობით / 7 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონით # 461-RS - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 05.04.2013 წ.

• კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005 წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 40, 18.07.2005 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 30.06.2015 წ. მდგომარეობით / 60 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 12.06.2015 წ. კანონით #3704-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 30.06.2015 წ.

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით

• ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის #179 ბრძანების „ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიცენზიის მფლობელების მიერ [სამინისტროთვის] სალიცენზიო პირობების/ მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით

მიმდინარეობის ანგარიშების წარდგენის წესებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ დანართი #1 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 18.02.2015 წ.)

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ [= ტყის რესურსებისა და ტყის ფონდის მართვა] (2010 წ.)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/92344

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005 წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/26824

ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/10234

ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის #179 ბრძანების დანართი #1
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2724305

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

- *ტყით სარგებლობის ლიცენზია*
- *ტყის ბილეთი (შეშის მოპოვების ნებართვა ინდივიდებისთვის)*
- *სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულება (კონტრაქტი)*

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები

ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2012 –2016 წ.წ.)
http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/NEAP_eng_2012.pdf

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2014-2020 წ.წ.)
https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nbsap-v2-en.pdf

არაოფიციალური წყაროები

საგაზეთო სტატია: *"ტყეების მასშტაბური ჭრები გრძელდება"* (15.11.2014) -
http://www.commersant.ge/old1/?menuid=11&id=17180&lang=1

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს # 132 განკარგულება „ტყით სარგებლობის ლიცენზირების პროცედურებისა და პირობების რეგულაციების დამტკიცების შესახებ" (შემდგომი შესწორებებით) აწესებს ხე-ტყის მოპოვებისა და ნადირობისთვის ტყით სარგებლობისთვის ლიცენზიების გაცემის პროცედურებსა და პირობებს. რეგულაციები ითვალისწინებს, რომ ეროვნული სატყეო სააგენტოს (და აჭარის ავტომონიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოს) შეუძლია ტყეკაფების გამოყოფა ლიცენზიის გარეშე და მარტივი ადმინისტრაციული პროცედურით და „ტყის ბილეთების" გაცემა, რათა მოაწოდოს საშეშე მერქანი და სამასალე ხე-ტყე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სპეციალური მიზნებისთვის. რეგულაციებში ასევე ჩამოყალიბებულია ლიცენზიის მფლობელთა ვალდებულებები ტეების ჭრის დაწყებამდე ტყით სარგებლობის (ხე-ტყის მოპოვების) გეგმის მომზადებასთან მიმართებაში.

კომერციული მიზნით გამოსაყენებელი ხე-ტყის გამოყობა შეიძლება შემდეგი ლიცენზიებით: **ტყით სარგებლობის ლიცენზიები** წარმოადგენს ტყის საკუთრებისა და სარგებლობის ფორმას. ტყით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს ტყის მფლობელსა (მთავრობას, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მფლობელს) და სხვა მხარეს (კერძო სექტორის ერთეულებს ან ინდივიდებს) შორის კონტრაქტის ელემენტებს, იძლევიან რა ტყის მოცემულ ტერიტორიაზე ხე-ტყის მითითებული რესურსების დამზადების (ტყის უტილიზაციის ელემენტები) უფლებას და ტყის კონკრეტულ

ტერიტორიაზე მოცემული რესურსების მართვის თაობაზე კონტრაქტის ელემენტებს (ტყის მართვის სერვისის ელემენტები).

ტყით სარგებლობის ლიცენზიის ელემენტები მოიცავს ზემოთ აღნიშნული ელემენტების ორივე ტიპს; იძლევა ტყით სარგებლობის უფლებებს, თუმცა ასევე მოითხოვს ტყის მართვას და სხვა ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს ლიცენზიის ნაწილს.

უმეტეს შემთხვევებში ამჟამად არსებული ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) ლიცენზიები წარმოადგენს 10-20 წლიან გრძელვადიან კონტრაქტებს.
ხელშეკრულებები ტყით სპეციალური სარგებლობისთვის (მიზნისთვის) გამოიყენება ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნებით და სხვა სპეციალური მიზნებისთვის ისეთ შემთხვევაში, როდესაც ტყისგან უნდა გაიწმინდოს პატარა ტერიტორია. ტყით სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულებით მოპოვებული ხე-ტყე უნდა გადაეცეს ეროვნულ სატყეო სააგენტოს. პირველ რიგში ეს ხე-ტყე გამოიყოფა სოციალური მიზნებისთვის, თუმცა მცირე მოცულობით შეიძლება შევიდეს კომერციული ხე-ტყის სისტემაში, მაგრამ მისი ყიდვა-გაყიდვა ყოველთვის უნდა მოხდეს ეროვნული სატყეო სააგენტოს საშუალებით.

ტყის საკუთრებასა და სარგებლობას, რაც მოიცავს ტყის უტილიზაციას ტყის მართვის ვალდებულების გარეშე ხე-ტყის მოპოვების უფლებების მიცემით, ეწოდება ტყით სპეციალური სარგებლობა და ტყით სარგებლობა ინდივიდების მიერ შეშის მოსაპოვებლად. თუმცა ტყით სპეციალური სარგელობის შემთხვევაშიც შეიძლება საჭირო იყოს ტყის მართვის გარკვეული ვალდებულებები.

საშეშე მერქნისა და ურბანული ხეების ჭრა სოციალური გამოყენებისთვის შეიძლება დამზადების ბილეთით, თუმცა ეს არ არის ნებადართული ღია ბაზრისთვის, და ამგვარად, არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას.
რისკის აღწერა
არსებობს ტყით სარგებლობის ლიცენზიის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. ნებისმიერ დამზადებული ხე-ტყე მარკირებულ უნდა იქნას თვალყურის დევნების მიზნით, თუმცა როგორც ოფიციალური, ასევე არა-ოფიციალური წყაროები მიუთითებს, რომ ტყით სარგებლობის ლიცენზიის საფარშვეშ ტექნიკურად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჭარბ ჭრას და ჭრას ნებადართული ადგილების მიღმა. სამართალდამცავი პერსონალის არასაკმარისი შესაძლებლობების გამო ტექნიკურად შეუძლებელია მთელი ლიცენზირებული ტერიტორიების სრულფასოვანი კონტროლის განხორციელება, თუმცა ტარდება სამუშაოები ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს მცდელობები არ არის საკმარისი ინდიკატორ 1.4-ის რისკების მნიშვნელოვნად შესამცირებლად.

ტყით სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულებები გაიცემა განაცხადის საფუძველზე. მათ ამტკიცებს და ხელს აწერს სატყეო ადმინისტრაცია. განაცხადები ტყით სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულებზე ჩვეულებრივ კეთდება ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში და მტკიცდება მხოლოდ ტექნიკური შეფასების შემდეგ. ასეთი ხელშეკრულებები არ

გაიცემა სისტემატურად, ხოლო დამზადებული ხე-ტყე უნდა მიეწოდოს სახელმწიფო ორგანოებს. ხელშეკრულების გამოყენებით მოპოვებულ ხე-ტყეზე არ მიიღება შემოსავალი. არ არსებობს არასწორი გამოყენების ფაქტები, და რისკი ითვლება დაბალ რისკად.

არსებობს რიკსი, რომ ხდება დამზადების ბილეთით მოპოვებული საშეშე მერქნის გაყიდვა. რამდენადაც ხე-ტყის გადაზიდვისთვის საჭიროა სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც არ გაიცემა დამზადების ბილეთის ფარგლებში, ძნელია საშეშე მერქნის დიდი მოცულობის გადაზიდვა მალულად. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე აქტიურად ხდება არაოფიციალური ვაჭრობა, საშეშე მერქნის კომერციულ ბაზარზე შესვლის რისკი ითვლება დაბალ რისკად.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

1.5 ტყის რესურსების მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდა (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტესტი - კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული კანონით მოთხოვნილი ყველა სანიხრე თანხის გადახდას, როგორიცაა მერქნის რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი, და რესურსის მოცულობასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელები. იგი ასევე მოიცავს მოსაკრებლების გადახდას რაოდენობის, ხარისხისა და სახეობების სწორი კლასიფიკაციის საფუძველზე. ტყის პროდუქტების არასკორი კლასიფიკაცია ფართოდ ცნობილი პრობლემაა, რომელსაც ხშირად თან ერთვის კლასიფიკაციის კონტროლზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების მექრთამეობა.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ (2004 წ.) / საქართველოს 2014 წ. 29 დეკემბრის კანონი # 946-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 41, 30.12.2004)/ კონსოლიდირებული ვერსია 04.06.2015 წ. მდგომარეობით / 24 შემასწორებლი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 29.05.2015 წ. # 3674-Iis კანონით - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.06.2015 წ.

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
კანონი ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ მოსაკრებლებზე (2004 წ.) / საქართველოს 2014 წ. 29 დეკემბრის კანონი # 946-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 41, 30.12.2004)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28948

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს ფინანსა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც მოიცავს სპეციალურ მოსაკრებელს ხეტყის დამზადებაზე, (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე) რაოდენობის, ხარისხისა და სახეობების სწორი კლასიფიკაციის საფუძველზე.

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი https://matsne.gov.ge
საქართველოს შემოსავლების სამსახური (ხშირად დასმუული კითხვები):
http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4723&lang=1

პერსონალური კომუნიკაცია გოგი დათუნაიშვილთან, ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამსახურის თავმჯდომარესთან; 2016 წლის 23 დეკემბერი

არასამთავრობო წყაროები

შრომის კვლევის ინსტიტუტი (2012).
საგადასახადო რეფორმა საქართველოში და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები
http://ftp.iza.org/dp6912.pdf
კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში – რეფორმების ქრონიკა საქართველოში (http://documents.worldbank.org/curated/en/518301468256183463/pdf/664490PUB0EPI0065774B09780821394755.pdf)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ 2004 წლის კანონის შესაბამისად, მოპოვებული ხე-ტყე ექვემდებარება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს ზემოთ აღნიღნულ კანონში მითითებული რაოდენობის, ხარისხისა და სახეობების სწორი კლასიფიკაციის საფუძველზე.

მოსაკრებელი დამოკიდებულია:
- მოცულობაზე
- სახეობებზე
- ხარისხზე
- საშეშე / სამრეწველო ხე-ტყეზე.

მოსაკრებლების სახით მიღებული შემოსავლების 100% შედის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში.
არ არსებობს ტყეზე საკუთრების გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადოს სახელმწიფომ როგორც ტყის მესაკუთრემ.
განსხვავებული სიტუაციაა კერძო კომპანიების შემთხვევაში ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტებისათვის. საქართველოს შემოსავლების სამსახურის თანახმად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების მფლობელები (მათ შორის მერქნით სარგებლობის) არ არიან გათავისუფლებული მიწაზე გადასახადისგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის (2010) 204-ე მუხლის თანახმად. თუმცა, ბევრი ლიცენზიანტი შეეწინააღმდეგა ამ გადასახადის გადახდას და შესაბამისი დავების განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში. ეს საკითხი ეხება ტყის ფონდის მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილს, სადაც ოპერირებენ ტყითსარგებლობის ლიცანზიანტები (ტყის მთლიანი საფარის დაახლოებით ხუთ პროცენტს).

რისკის აღწერა

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდა ხდება მოპოვებული მ3 მოცულობიდან გამომდინარე. მოპოვებული მოცულობის შესახებ ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელის მიერ მიეწოდება საგადასახადო ორგანოებს. მითითებული მოცულობა გადამოწმდება ტყის წარმოშობის დოკუმენტში სატყეო ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მოცულობასთან შედარების გზით (ტყის ლიცენზიების შემთხვევაში) მოპოვების შემდეგ და გადახდა ხდება მოპოვების პროცესის შემდეგ, ხოლო შეშის (რომელსაც ინდივიდები მოიპოვებენ) შემთხვევაში გადახდა ხდება მოპოვებამდე (მეორე შემთხვევაში გადახდის დოკუმენტი წარმოადგენს „ტყის ბილეთის“ გაცემის საფუძველს). ეს ასევე გადამოწმდება ტყის ინვენტარიზაციის მონაცემებში მითითებულ მოცულობასთან მიმართებაში.

უკანასკნელ წლებში, გადასახადების აკრეფის სისტემა ძალზედ ეფექტიანი გახდა საქართველოში. ამ თვალსაზრისით, მთავრობის კონტროლი ძალზედ მკაცრია, მაშინ როდესაც კორუფციის დონე ძალიან დაბალია. იგივე ითქმის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქმიანობაზე. უფრო მეტიც, დღესდღეობით არ მოიპოვება ცნობები ან სხვა ტიპის ინფორმაცია

(არც სამთავრობო და არც არასამთავრობო წყაროებიდან) სანიხრე მოსაკრებლების ან სხვა ტიპის გადასახადებისა თუ მოსაკრებლების გადაუხდელობის შესახებ ტყითსარგებლობის სფეროში.

თუმცა, ცალკე უნდა აღინიშნოს ქონების (მიწის) გადასახადი, რომელიც სახელმწიფომ 2011 წლიდან დააკისრა ტყითსარგებლობის ლიცენზიანტებს. ეს საკითხი ეხება ტყის ძალზედ მცირე ფართობს. რამდენიმე საქმე არის სასამართლოში (რადგან ზოგიერთმა ლიცენზიანტმა გააპროტესტა აღნიშნული გადასახადი, იმ საბაბით, რომ მათ ის არ ეკუთვნით, რადგან ისინი უკვე იხდიან ლიცენზიის გადასახადსა და მერქნის რესურსით სარგებლობის მოსაკრებელს). თუმცა, რა გადაწყვეტილებას არ უნდა გამოიტანოს სასამართლომ, ის ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გამოტანილი არსებული საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად (მიწის გადასახადი).

ამგვარად, რისკი დაბალია, ვინაიდან როგორც გარემოს დაცვის სამინისტრო, ასევე შემოსავლების სამსახური აკონტროლებს მერქნით სარგებლობის მოსაკრებლების გადახდას, და უზრუნველყოფს მერქნის მოცულობების სწორად მითითებას.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.6 დღგ და გაყიდვებზე დაწესებული სხვა გადასახადები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის გადასახადებს გაყიდვებიდან და მიესადაგება გასაყიდ მასალებს, მათ შორის ისეთი მასალის გაყიდვას, როგორიცაა ზეზეული ხეების მერქანი.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.*

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე (ინგლისურ ენაზე, არსებობის შემთხვევაში)
საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი

ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ. [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

საგადასახადო დეკლარაცია და გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://matsne.gov.ge
საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ელექტრონული სისტემა
https://www.rs.ge

პერსონალური კომუნიკაცია მერაბ არახამიასთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან და მიხეილ ქავთარაძესთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელთან, 2015 წლის 4 ოქტომბერს.

არასამთავრობო წყაროები
შრომის კვლევის ინსტიტუტი (2012).
საგადასახადო რეფორმა საქართველოში და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები
http://ftp.iza.org/dp6912.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
2010 წლის საგადასახადო კოდექსის თანახმად, მერქნის პროდუქტებსა და ოპერაციებს მიესადაგება შემდეგი გადასახადები:

• დღგ - 18%-იანი განაკვეთი.
• შესაძლო სააქციზო გადასახადი - გააჩნია საქონლის ხასიათს (არ მიესადაგება მერქნულ პროდუქტებს).

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას ანგარიშის არწარდგენისა და გადასახადების დაგვიანებით გადახდისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომა.

ზემოთ აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, საგადასახადო სერვისების ელექტრონული სისტემის საშუალებით (ერთიანი საგადასახადო დეკლარირებისა და გადახდის სისტემა), რომელიც ნებისმიერი რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისათვის არის ხელმისაწვდომი სამთავრობო ვებ-გვერდზე: www.rs.ge. ნებისმიერი ერთეული დარეგისტრირებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად შემოსავლების სამსახურში, სადაც მათ გადასცემენ ა) გადასახადისა და დღგ-ის გადამხდელის საიდენტიფიკაციონომერს/ კოდს; და ბ) მომხმარებლის სახელსა და პაროლს. მომხმარებლის სახელი და პაროლი გამოიყენება მათი გვერდის წვდომისთვის ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.rs.ge), ვინაიდან როგორც ნებისმიერი საგადასახადო დეკლარაციის, ასევე დღგ ინვოისების წარდგენა ხდება ამ ვებ-გვერდის საშუალებით.

რისკის აღწერა

საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საგადასახადო აუდიტის ოფიციალური პროცედურების ჩატარება შეუძლიათ წელიწადში ერთხელ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია გადასახადებისგან თავის არიდების შესახებ, რაც წარმოადგენს საფუძველს უფრო ხშირი აუდიტის ჩატარებისთვის. თუმცა ხდება საგადასახადო შემოსავლების სისტემატური შემოწმება გადასახადების გადამხდელების მიხედვით, საგადასახადო სერვისების ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელიც ეფექტურ მონიტორინგს ახორციელებს გადასახადების გადახდის ნებისმიერ შესაძლო მერყეობაზე.

ინფორმაცია საბაზრო ფასების შესახებ მიღებულ უნდა იქნას ოფიციალური წყაროებიდან, რომელთა შორის შეიძლება იყოს სამთავრობო ორგანოების მონაცემთა ბაზები, გადასახადების გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან სხვა სარწმუნო ინფორმაცია. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ინფორმაციის მოპოვება ხდება უშუალოდ უცხოეთის საბაჟო ორგანოებისგან.

ელექტრონული სერვისების და მკაცრად კონტროლირებული საგადასახადო დეკლარირებისა და გადახდების სისტემის გამო მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა ითვლება (არა მხოლოდ სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ) ზედმიწევნით ეფექტურად. უფრო მეტიც, არ არსებობს ცნობები ან სხვა სახის ინფორმაცია დღგ-ს ან სხვა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობების თაობაზე, მათ შორის მერქანთან მიმართებაში.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF

მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.7 საშემოსავლო და მოგების გადასახადები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც ეხება საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, რომლებიც დაკავშირებულია ტყის პროდუქტების გაყიდვით და მერქნის დამზადებით მიღებულ მოგებასთან. ეს კატეგორია ასევე უკავშირდება მერქნის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს და არ მოიცავს სხვა გადასახადებს, რომლებიც ზოგადად გამოიყენება კომპანიებთან მიმართებაში ან დაკავშირებულია ხელფასების გადახდასთან.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.*

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ. [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

საგადასახადო დეკლარაცია და გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://matsne.gov.ge
საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ელექტრონული სისტემა
https://www.rs.ge

არასამთავრობო წყაროები
შრომის კვლევის ინსტიტუტი (2012).
საგადასახადო რეფორმა საქართველოში და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები
http://ftp.iza.org/dp6912.pdf
განახორციელე ინვესტიცია საქართველოში (საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო):
http://investingeorgia.org/en/georgia/taxation

PricewaterhouseCoopers (PWC). საქართველოს საგადასახადო სამაგიდო წიგნი. 2011 წლის გამოცემა. https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/ge_pocket_tax_book_2011_.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები)
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
2010 წ. საგადასახადო კოდექსის თანახმად, ტყის პროდუქტების გაყიდვითა და მერქნის დამზადებით მიღებულ მოგებას და მერქნის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს მიესადაგება შემდეგი საშემოსავლო და მოგების გადასახადები:

• მოგების გადასახადი 15%-მდე - ასევე ცნობილია როგორც „კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი“ (2010 წ. საგადასახადო კოდექსის მუხლი 6 – „გადასახადების კონცეფცია და ტიპები“.
მოგების გადასახადის გადამხდელია: ა) რეზიდენტი საწარმო; და ბ) არა-რეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში კომერციულ საქმიანობას აწარმოებს მუდმივი დაწესებულების საშუალებით და/ან იღებს შემოსავალს საქართველოში არსებული წყაროდან.
დაბეგვრას დაქვემდებარებული მოგება განისაზღვრება, როგორც განსხვავება გადასახადის გადამხდელის მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსში მითითებულ დაქვითვებს (მაგ. გრანტები, ქველმოქმედება და ა.შ.) შორის.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას ანგარიშის არწარდგენისა და გადასახადების დაგვიანებით გადახდისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომა.

ზემოთ აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, საგადასახადო სერვისების ელექტრონული სისტემის საშუალებით (ერთიანი საგადასახადო დეკლარირებისა და გადახდის სისტემა), რომელიც

ნებისმიერი რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისათვის არის ხელმისაწვდომი სამთავრობო ვებ-გვერდზე: www.rs.ge

რისკის აღწერა

საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საგადასახადო აუდიტის ოფიციალური პროცედურების ჩატარება შეუძლიათ წელიწადში ერთხელ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია გადასახადებისგან თავის არიდების შესახებ, რაც წარმოადგენს საფუძველს უფრო ხშირი აუდიტის ჩატარებისთვის. თუმცა ხდება საგადასახადო შემოსავლების სისტემატური შემოწმება გადასახადების გადამხდელების მიხედვით, საგადასახადო სერვისების ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელიც ეფექტურ მონიტორინგს ახორციელებს გადასახადების გადახდის ნებისმიერ შესაძლო მერყეობაზე.

ელექტრონული სერვისების და მკაცრად კონტროლირებული საგადასახადო დეკლარირებისა და გადახდების სისტემის გამო მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა ითვლება (არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ცალკეული ექსპერტების მიერ) ზედმიწევნით ეფექტურად. არ არსებობს ცნობები (არც ერთი წყაროდან) რომლებიც დაადასტურებდნენ საშემოსავლო ან მოგების გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებას, მათ შორის მერქანზე.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.8 მერქნის მოპოვების რეგულაციები (დასკვნა: სპეციფიური რისკი)

კონტექსტი - ნებისმიერი სამართლებრივი მოთხოვნა მერქნის დამზადების მეთოდებსა და ტექნოლოგიასთან, მათ შორის ამორჩევით, თანდათანობით და პირწმინდა ჭრასთან, ტყეკაფიდან მერქნის ტრანსპორტირებასთან და სეზონურ შეზღუდვებთან და ა.შ. მიმართებაში. ჩვეულებრივ, ეს მოიცავს რეგულაციებს ტყეკაფების ფართობთან, მოსაჭრელი ხეების მინიმალურ ხნოვანებასთან და/ ან დიამეტრთან და იმ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ჭრის დროს და ა.შ. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას მორთრევის ან გაზიდვის გზები, გზების მშენებლობა, სადრენაჟო სისტემები და ხიდები და ა.შ. გარდა ამისა, ეს მოიცავს მერქნის დამზდების დაგეგმვისა და მონიტორინგის ღონისძიებებს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მერქნის დამზადების პრაქტიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივად მავალდებულებელი კოდექსი.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება # 132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება #241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1496) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 13.10.2011 წ. განკარგულებით # 391

• სამუშაო ინსტრუქციები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული (მონაცემთა ბაზის) სისტემისათვის (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წ. 30 აპრილის განკარგულება # 118 „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული (მონაცემთა ბაზის) სისტემისათვის სამუშაო ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 10.05.2014 წ.) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 23.09.2015 წ. განკარგულებით # 224

• ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის #179 ბრძანების „ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიცენზიის მფლობელების მიერ [სამინისტროთვის] სალიცენზიო პირობების/ მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით

მიმდინარეობის ანგარიშების წარდგენის წესებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ დანართი #1 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 18.02.2015 წ.)

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1971205

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/10234

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება # 241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021046

• სამუშაო ინსტრუქციები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული (მონაცემთა ბაზის) სისტემისათვის (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წ. 30 აპრილის განკარგულება # 118 „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული (მონაცემთა ბაზის) სისტემისათვის სამუშაო ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2309913

• ანგარიშგების წესები ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებისთვის (2015 წ.) – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრის 2015 წლის 18

თებერვლის #179 ბრძანების დანართი #1
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2724305

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

- *გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი*
- *ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)*
- *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)*

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

- *ტყით სარგებლობის ლიცენზია*
- *ტყით სარგებლობის (ხე-ტყის მოპოვების) გეგმა*
- *ხელშეკრულება (კონტრაქტი) სპეციალური სარგებლობის თაობაზე*
- *ტყის მონიტორინგის დოკუმენტები*

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი https://matsne.gov.ge
საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
სამართლებრივი მოთხოვნები მერქნის დამზადების მეთოდებსა და ტექნოლოგიასთან მიმართებაში (მათ შორის ჭრის მეთოდები და წესები ჭრის სხვადასხვა ტიპებისთვის, ბუნებრივი განახლება, ტყეკაფიდან მერქნის ტრანსპორტირება და სეზონური შეზღუდვები; მარეგულირებელი ელემენტები ტყეკაფების ფართობთან, მოსაჭრელი ხეების მინიმალურ ასაკთან და/ ან დიამეტრთან და იმ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ტყის ჭრის დროს; მორთრევის ან გაზიდვის გზები, გზების მშენებლობა; მერქნის დამზდების დაგეგმვის ღონისძიებები) დადგენილია შესაბამისი ნორმატულ-სამართლებრივი აქტებით.

სახელდობრ, 1999 წ. ტყის კოდექსი (თავი XV) ადგენს ჭრის მეთოდებისა და შესაბამისი შეზღუდვების წესებს სხვადასხვა ტიპის ჭრებისთვის. ეს წესები აგრეთვე მითითებულია ტყის

ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის (2013 წ.) წესებში და ტყით სარგებლობის წესებში (2010 წ.).

მოთხოვნები და წესები მერქნის მოპოვებისა და მოპოვების-შემდგომი სამუშაოების დაგეგმვასთან მიმართებაში მოცემულია როგორც ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესებში (2013 წ.), ასევე ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებსა (2005 წ.) და პირობებში და ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესებში (2010 წ.).

მონიტორინგთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული [მონაცემთა ბაზის] სისტემის ოპერირების ინსტრუქციებში (2014 წ.) და ტყით სარგებლობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელთა ანგარიშგების წესებში (2015 წ.).

ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) მიუთითებს ტყით სარგებლობის/ მერქნის დამზადების გეგმაზე, როგორც კონკრეტულ ადგილზე მერქნის დამზადების მეთოდებსა და ტექნოლოგიასთან მიმართებაში მოთხოვნების ჩამოყალიბების წინაპირობაზე დამზადების ოპერაციების დაწყებამდე. თავის მხრივ, ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) აწესებს როგორც ტყის მართვის გენერალური გეგმების, ასევე ტყით სარგებლობის/ მერქნის დამზადების გეგმების წესებსა და მოთხოვნებს.

ბუნებრივ განახლებასთან, ჭრის ადგილიდან მერქნის ტრანსპორტირებასთან და სეზონურ შეზღუდვებთან დაკავშირებული ზოგადი შეზღუდვებისა და მოთხოვნების ელემენტები; მარეგულირებელი ელემენტები ტყეკაფების ფართობთან, მოსაჭრელი ხეების მინიმალურ ხნოვანებასთან და/ან დიამეტრთან და იმ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც დაცულ უნდა იქნან ჭრის პროცესში; მორთრევის ან გაზიდვის გზების შექმნა, გზების მშენებლობის ნორმები ინტეგრირებულია ზემოთ მითითებულ წესებსა და ინსტრუქციებში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისადაა მოცემული ტექნიკური დეტალები (მაგ. კანონმდებლობაში მოცემულია ბიომრავალფეროვნების დაცვის და ნიადაგის საფარიის შენარჩუნების საფუძველი, მაგრამ არ არის მითითებული, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს) - რაც ართულებს შესრულების შეფასებას.

რისკის აღწერა

არსებობს მერქნის დამზადების რეგულაციების დარღვევის რისკი ტყის მართვისა და კანონაღსრულების კუთხით რესურსების ნაკლებობის გამო. კანონაღსრულება სრული მოცულობით ვერ ხორციელდება, აგრეთვე არის მონიტორინგის ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტების დეფიციტი; ზოგადად, სექტორი განიცდის შესაბამისი გამოცდილების მქონე პროფესიონალი მეტყევეების ნაკლებობას.

კანონაღსრულებისა და მონიტორინგის შესაძლებლობების დეფიციტის გამო ტექნიკურად შეუძლებელია მერქნის დამზადების მეთოდებისა და ტექნოლოგიისადმი არსებული მოთხოვნების სრული სპექტრის სრულმასშტაბიანი კონტროლი. თუმცა მიმდინარეობს სამუშაოები უახლოეს მომავალში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

იხილეთ აგრეთვე ინდიკატორი 1.4 - ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე

1.9 დაცული ჰაბიტატები და სახეობები (დასკვნა: სპეციფიური რისკი)

კონტექსტი - საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი შეთანხმებები, კანონები და რეგულაციები დაცულ ადგილებთან, ნებადართულ ტყით სარგებლობასთან, და/ან იშვიათ, საფრთხის, ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებთან (მათი ჰაბიტატებისა და პოტენციური ჰაბიტატების ჩათვლით) დაკავშირებით

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება #241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1496) / 2

შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 13.10.2011 წ. განკარგულებით # 391

• საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ.)
• საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წ.)
• საქართველოს კანონი „საქართველოს წითეი ნუსხისა და წითელი მონაცემთა წიგნის შესახებ“ (2003 წ.)
• კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წ. 21 აპრილის დადგენილებით # 471)
• გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1999 წ. 23 ივნისის დადგენილებით # 2141)
• კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (ბონი, 1997 წ.) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წ. 11 თებერვლის დადგენილებით #136)
• კონვენცია საერთაშორიწსო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ (RAMSAR) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1996 წ. 30 აპრილის დადგენილებით #201)
• კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნი, 1979 წ.) რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2008 წ. 30 დეკემბრის დადგენილებით # 940)
• ევროპის ლანდშაფტების კონვენცია (2000 წ.) (საქართველოს პრეზიდენტის 2010 წ. 9 ივნისის ბრძანება #39)

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1971205

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება # 241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021046

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

• გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
• ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)

- *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)*
- *დაცული ტერიტორიების სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)*

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• ტყით სარგებლობის ლიცენზია
• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) გეგმა
• სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულება (კონტრაქტი)
• ტყის მონიტორინგის დოკუმენტები

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2012 –2016 წ.წ.)
http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/NEAP_eng_2012.pdf

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2014-2020 წ.წ.)
https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nbsap-v2-en.pdf

არასამთავრობო წყაროები
საქართველოში სამუშაო პროგრამის განხორციელების დამოუკიდებელი მონიტორინგი ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში. გლობალური სატყეო კოალიცია, 2008 წ. მაისი.
http://globalforestcoalition.org/wp-content/uploads/2010/11/IM-Report-Georgia1.pdf

პერსონალური კომუნიკაცია ირაკლი მაჭარაშვილთან, ბიომრავალფეროვნების პროგრამის

კოორდინატორთან; არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ (2015 წლის 1 ოქტომბერი)

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს წლიური ანგარიშები (2007-2015 წწ) http://www.apa.gov.ge/ge/angariSebi

კავკასიის ბიომრავალფეროვნების საბჭო, CBC. (2012). *კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა.* 2012 რევიზირებული და განახლებული ვერსია [ინგლისურად]. http://wwf.panda.org/wwf_news/?205437/Ecoregion-Conservation-Plan-for-the-Caucasus-revised

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები)

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

1996 წ. კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების მართვის კატეგორიებს (IUCN კატეგორიების საფუძველზე) და მათი დაცვისა და მართვის რეჟიმებს. ამჟამად დაცული ტერიტორიების ქსელი მოიცავს 520,811.14 ჰექტარს, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7.47%-ს შეადგენს და ძირითადად შედგება ტყის ფონდისგან (452,469 ჰა - ტყეების მთლიანი ფართობის 15.2%). დაცულ ტერიტორიებს მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსებს დაცვის სააგეტოს), რომელიც სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, პასუხისმგებელია დაცულ ტერიტორიებზე მეტყევეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაზე. მერქნის დამზადების ოპერაციები ხორციელდება დაცული ტერიტორიების მხოლოდ ზოგიერთ უბანზე (ეროვნული პარკების ტრადიციული სარგებლობის ზონები /IUCN კატ.. II/ და აღკვეთილებში /IUCN კატ.IV) დაცული ტეიროტიების მართვის გეგმების საფუძველზე და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისათვის პირადი მოხმარებისათვის შეშის მოსაპოვებლად. ამგვარად, ამ წყაროდან მიღებული მერქნული რესურსები არ დაიშვება ღია ბაზარზე და არსებობს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით. დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ დაცულ ადგილებთან/ სახეობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა ეკისრება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი ტყის ფონდის ფარგლებში) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მართვის ქვეშ მყოფი ტყის ფონდის ფარგლებში).

საქართველო წარმოადგენს რიგი საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების მონაწილეს, როგორიცაა კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992 წ.) ბერნის კონვენცია ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ (1979 წ.) ევროპული კონვენცია ლანდშაფტების შესახებ (2000 წ.), საქართველოს კანონი „ველური ბუნების შესახებ“ (1996 წ.) და წითელი ნუსხისა და საქართველოს წითელ მონაცემთა წიგნის შესახებ“ (2003 წ.), სადაც მოცემულია მოთხოვნები და წესები ველური სახეობებისა და მათი სახეობების დაცვასთან მიმართებაში.

თავის მხრივ, სატყეო კანონმდებლობა - ტყის კოდექსი (1999 წ.), ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.), ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) და ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) აწესებს ზოგად მოთხოვნებს იმ ტერიტორიების, ველური ცხოველების, იშვიათი, რისკის და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობების და მათი ჰაბიტატების დაცვასთან მიმართებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით და რომელთა მონიტორინგი საჭიროა სატყეო ოპერაციების დროს; მათი დაცვის ღონისძიებები დაგეგმილი და გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და ლიცენზირების პროცესში (ტყის მართვის ზოგადი დაგეგმვა და ტყით სარგებლობის / მერქნის დამზადების/ დაგეგმვა). აღნიშნული შეზღუდვების და მოთხოვნების ელემენტები, სხვადასხვა ზომით, ინტეგრირებულია ზემოთ აღნიშნულ წესებსა და ინსტრუქციებში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საკმარისად არაა მოცემული ტექნიკური დეტალები, რაც ართულებს შესრულების შეფასებას.

რისკის აღწერა

როგორც კანონაღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებში, ასევე პრაქტიკოს მეტყევეებში არსებობს ტექნიკური სატყეო გამოცდილებისა და მონიტორინგის შესაძლებლობების ნაკლებობა.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში უკანონო ჭრებს გაცილებით იშვიათად აქვს ადგილი, ვიდრე ამ ტერიტორიების გარეთ მდებარე ტყეებში. კერძოდ, წლიურად მხოლოდ რამდენიმე ასეული მ3 მერქანი იჭრება დაცულ ტერიტორიებში უკანონოდ. უკანონო ჭრების აღნიშნული დონე არ იზრდება, მიუხედავად დაცული ტერიტორიების (და, შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე არსებული ტყეების) მნიშვნელოვანი გაფართოებისა უკანასკნელ წლებში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამტკიცებულ საქართველოს 2014-2020 წ.წ. ბიომრავალფეროვნების სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით [თავი 4.1.11 - ბიომრავალფეროვნების უმთავრესი სფეროები] საქართველოში არსებობს ბიომრავალფეროვნების კუთხით მნიშვნელოვანი ტერიტორიები (KBA) დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებს გარეთ. მათ შორისაა ბიოლოგიური დერეფნები, ცხოველთა მიგრაციის დერეფნები, მნიშვნელოვან მცენარეთა ტერიტორიები (IPA), მნიშვნელოვან ფრინველთა დერეფნები (IBA) და ა.შ. საჭიროა ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი ტერიტორიების დადგენა და რუქაზე დატანა, მათი ფორმალური სტატუსის დადგენა და პოტენციალის შეფასება, რათა საჭიროებისამებრ დაიგეგმოს დაცვის/ აღდგენის შესაფერისი ღონისძიებები და ეს ტერიტორიები მოექცეს მდგრადი მართვის ქვეშ. იგივე დოკუმენტი [თავი 6.2 - სტრატეგიული მიდგომა] მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ტყის ბიომრავალფეროვნების ამჟამად არსებული არახელსაყრელი სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ტყის მართვის არამდგრად პრაქტიკასთან.

მაგალითად, ჭალის ტყეებში, რომლებიც მოქცეულია დაცვის სპეციალური რეჟიმის ქვეშ (ტყის კოდექსი 1999, მუხლი 41, ნაწილი 1), მიუხედავად აღნიშნულისა გრძელდება ტყის ჭარბი ჭრა და ძოვება (IUCN I-IV კატეგორიების დაცული ტერიტორიების გარეთ).

როგორც აღნიშნულია ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (2014-2020), რაც ასევე დადასტურდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან კონსულტაციის შედეგად, არსებობს შეშფოთება სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის

მოთხოვნების დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი აქვს ხე-ტყის დამზადებისას სახელმწიფო სატყეო სამსახურების მართვის ქვეშ მყოფ ტყეებში.

ზოგადად, ჰაბიტატები და სახეობები, რომლებიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების გარეთ, იმყოფება მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ ტყის არამდგრადი მართვის გამო. კერძოდ - ადგილი აქვს ხე-ტყის ჭარბი მოცულობით დამზადებას (რაც იწვევს ტყის კორომების სიხშირის დაცემას) და ტყის ბუნებრივი განახლებისა და ნიადაგის დაზიანებას რაც გამოწვეულია ხეების არასწორი წაქცევით. კანონაღსრულების დონე არასაკმარისია, სახელმწიფო სატყეო სტრუქტურების შეზღუდული რესურსების გამო. შედეგად, მნიშვნელოვანი მოცულობის მერქანი იჭრება სპეციალური დაცვითი სტატუსის მქონე ჰაბიტატებში (დაცული ტერიტორიების გარეთ) და აღწევს მიწოდების ქსელში. დიდი ალბათობით, აღნიშნული მოცულობები აღწევს ათასობით მ3 წელიწადში (თუმცა ზუსტი მოცულობები არ არის ცნობილი, სახელმწიფო მონიტორინგის კუთხით შეზღუდული რესურსების გამო).

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

იხილეთ აგრეთვე ინდიკატორი 1.4 - ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე

1.10 გარემოსდაცვითი მოთხოვნები (დასკვნა: სპეციფიური რისკი)

კონტექსტი - ეროვნული და ადგილობრივი კანონები და რეგულაციები, რომლებიც ეხება გარემოდაცვითი ფასეულობების იდენტიფიცირებასა და/ან დაცვას, მათ შორის (და არა მხოლოდ) ისინი, რომლებიც ეხება მერქნის დამზადებასთან დაკავშირებულ ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ფასეულობებს, ნიადაგის დაზიანების დასაშვებ დონეს, ბუფერული ზონების დაწესებას (წყლის ობიექტების გასწვრივ, ღია ტერიტორიებზე, სახეობების გამრავლების ადგილებში), ტყეკაფის ტერიტორიაზე შესანარჩულებელი ხეების მოვლას, მერქნის დამზადების სეზონურ შეზღუდვას, გარემოსდაცვით მოთხოვნებს სატყეო მანქანა-მექანიზმების მიმართ, პესტიციდების და სხვა ქიმიკატების გამოყენებას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ჰაერის ხარისხს, წყლის ხარისხის დაცვას და აღდგენას, სარეკრეაციო აღჭურვილობის ექსპლუატაციას, არა-სატყეო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მინერალების დაზვერვასა და მოპოვებას და ა.შ.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება #241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1496) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 13.10.2011 წ. განკარგულებით # 391

• საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წ.)

• საქართველოს კანონი „მინერალური საბადოების შესახებ“ (1996 წ.)
• საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1999 წ.)
• საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999 წ.)

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
• ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1971205

• ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13

აგვისტოს განკარგულება # 241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021046

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

• გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
• გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
- *ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)*
- *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)*

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• ტყით სარგებლობის ლიცენზია
• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) გეგმა
• სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულება (კონტრაქტი)
• ტყის მონიტორინგის დოკუმენტები
ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები

ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა (2012 –2016 წ.წ.)
http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/NEAP_eng_2012.pdf

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2014-2020 წ.წ.)
https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nbsap-v2-en.pdf

არასამთავრობო წყაროები

კავკასიის ბიომრავალფეროვნების საბჭო (2012). კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა. 2012. რევიზირებული და განახლებული ვერსია. http://wwf.panda.org/wwf_news/?205437/Ecoregion-Conservation-Plan-for-the-Caucasus-revised

პერსონალური კომუნიკაცია ირაკლი მაჭარაშვილთან, ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორთან; არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ (2015 წლის 1 ოქტომბერი)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

კანონებში „დარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წ.), “მინერალური საბადოების შესახებ” (1996 წ.), “წყლის შესახებ” (1999 წ.), “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999 წ.) მოცემულია ზოგადი პრინციპები, მოთხოვნები და წესები გარემოსდაცვითი ფასეულობების იდენტიფიცირებისა და დაცვისთვის, რომელთა შორისაა ნიადაგის დაზიანება, ბუფერული ზონების შექმნა (მაგ. წყლის ობიექტების გასწვრივ), ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხის დაცვა და აღდგენა და მინერალების დაზვერვა და მოპოვება.

სატყეო კანონმდებლობის ფარგლებში - ტყის კოდექსი (1999 წ.), ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.), ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) და ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესები (2010 წ.) ადგენს მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს და აგრეთვე ზოგად მოთხოვნებს შესაბამისი წესების (მათ შორის, ტყეკაფის ტერიტორიაზე შესანარჩუნებელი ხეების მოვლა, მერქნის დამზადების სეზონური შეზღუდვა, გარემოსდაცვითი მოთხოვნები სატყეო მანქანა-მექანიზმებისადმი და ა.შ.) მონიტორინგთან მიმართებაში, რაც უნდა განხორციელდეს სატყეო ოპერაციების დროს და რომ ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და ლიცენზირების პროცესში უნდა დაიგეგმოს და გათვალისწინებულ იქნას დაცვის ღონისძიებები (ტყის მართვის ზოგადი დაგეგმვა და ტყით სარგებლობის (დამზადების) დაგეგმვა). აღნიშნული შეზღუდვებისა და მოთხოვნების ელემენტები, სხვადასხვა ზომით, ინტეგრირებულია ზემოთ მითითებულ წესებსა და რეგულაციებში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისადაა მოცემული ტექნიკური დეტალები - რაც ართულებს შესრულების შეფასებას.

რისკის აღწერა

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან კონსულტაციების პროცესში აქცენტი გაკეთდა იმ გარემოებაზე, რომ იყო პრობლემები სახელმწიფო ტყის ფონდში (რომლებსაც მართავს სატყეო ადმინისტრაცია) მერქნის დამზადების პროცესში სახეობების დაცვისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების კუთხით. ასევე არსებობს რისკი, რომ არასაკმარისად ხორციელდება სამართალდაცვა. ეს ხდება როგორც სამართალდამცავი ერთეულების, ასევე ტყის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების არასაკმარისი ტექნიკური გამოცდილების გამო. ამ არგუმენტს ამყარებს ისეთი ოფიციალური დოკუმენტები, როგორიცაა ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020) და კავკასიის

ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა (2012-2016). კანონაღსრულებისა და მონიტორინგის ნაკლებობის გამო შეუძლებელია ამ ქვე-კატეგორიაში მოთხოვნების სრული სპექტრის სრულფასოვანი ტექნიკური კონტროლი.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

იხილეთ აგრეთვე ინდიკატორი 1.9 - დაცული ჰაბიტატები და სახეობები

1.11 ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (დასკვნა: სპეციფიური რისკი)

კონტექსტი - კანონით მოთხოვნილი პირადი დამცავი საშუალებები მერქნის დამზადებაში მონაწილე პირებისთვის, ჭრისა და ტრანსპორტირების უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენება, მერქნის დამზადების უბნის ირგვლივ დამცავი ზონის დაწესება და უსაფრთხოების მოთხოვნები გამოყენებული მანქანა-მექანიზმების მიმართ. კანონით დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნები ქიმიკატების გამოყენებასთან მიმართებაში. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ტყეში წარმოებული ოპერაციების დროს (არ მოიცავს საოფისე სამუშაოებს ან ფაქტობრივ სატყეო ოპერაციებთან ნაკლებად დაკავშირებული სხვა საქმიანობას).

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• საქართველოს შრომის კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 დეკემბრის ორგანული კანონი # 4113-ES – სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 27.12.2012 წ. / კონსოლიდირებული ვერსია 27.09.2013 წ. მდგომარეობით / 5 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია 2015 ს. 27 სექტემბრის კანონით # - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 09.10.2013 წ.

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
• საქართველოს შრომის კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 დეკემბრის ორგანული კანონი # 4113-ES – სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 27.12.2012 წ. / კონსოლიდირებული ვერსია 27.09.2013 წ. მდგომარეობით / 5 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია 2015 ს. 27 სექტემბრის კანონით # - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 09.10.2013 წ. https://matsne.gov.ge/en/document/view/1155567

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

არ მიესადაგება

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://matsne.gov.ge

არასამთავრობო წყაროები

საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი
http://gtuc.ge/eng
პერსონალური კომუნიკაცია გურამ ხურციძესთან, საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან და ზურაბ ღუღუნიშვილთან, საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის წამყვან სპეციალისტთან (2015 წლის 2 ოქტომბერი)

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

საქართველოს 2010 წ. შრომის კოდექსში დადგენილია ზოგადი პრინციპები, მოთხოვნები და სტანდარტები უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებით. კოდექსის 35-ე მუხლის (უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება) შესაბამისად:

- დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

- დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

- დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების

დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

- დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების შესახებ.

- აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

- დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჯერ არ არის დამტკიცებული კონკრეტული ტექნიკური რეგულაციები მერქნის დამზადების ოპერაციებში მონაწილე პირებისთვის პირადი დამცავი საშუალებების, ჭრისა და ტრანსპორტირების უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენების, მერქნის დამზადების უბნების ირგვლივ დამცავი ზონების დაწესების შესახებ და უსაფრთხოების მოთხოვნები გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებთან, ასევე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ტყეში განხორციელებული ოპერაციების დროს (ან ფაქტობრივ სატყეო ოპერაციებთან ნაკლებად დაკავშირებული სხვა საქმიანობის დროს) - შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა ზემოთ აღნიშნული ზოგადი ჩანაწერი კანონის პირდაპირ მოთხოვნას წარმოადგენს.

რისკის აღწერა

პროფკავშირის (საქართველოს მშენებლებისა და მეტყევეების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის წევრი) წარმომადგენლებთან კონსულტაციების პროცესში მათ მიერ განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ შრომის კოდექსით მინიჭებული უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება სატყეო ოპერაციების დროს ძირითადად ირღვევა. მაგ. ტყეში მომუშავე ადამიანებს ხშირად არ გააჩნიათ უსაფრთხოების აღჭურვილობა, არ უტარდებათ უსაფრთხოების ღონისძიებების ინსტრუქტაჟი ხეების ჭრისას. არსებობს შრომის უსაფრთხოების კუთხით კანონმდებლობის მოთხოვნის არასათანადო აღსრულების რისკი იმ ფაქტის გამო, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არ არსებობს სპეციალიზებული სამართალდამცავი დანაყოფი, რომელიც შრომის კოდექსის აღსრულების უზრუნველყოფაზე ზოგადად პასუხისმგებელი სააგენტო იქნებოდა. სოციალური მომსახურების სააგენტო (რომელიც ექვემდებარება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-ის

სტატუსით) ზოგადად პასუხისმგებელია შრომის კოდექსის მოთხოვნების აღსრულებაზე. თუმცა, როგორც პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამ სააგენტოს რესურსები საკმაოდ შეზღუდულია, და ეს უკანასკნელი ძირითადად დაკავებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებითა და სხვა სოციალური პროგრამების შესრულებით. ეს სააგენტო არ არის ჩართული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში სატყეო ოპერაციების სფეროში.

კანონაღსრულებისა და მონიტორინგის კუთხით შესაძლებლობების ნაკლებობის გამო შეუძლებელია ამ ქვე-კატეგორიაში მოთხოვნების სრული სპექტრის სრულფასოვანი ტექნიკური კონტროლი. უფრო მეტიც, როგორც პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სატყეო ოპერაციების დროს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევა ფართოდაა გავრცელებული ქვეყანაში.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

1.12 დასაქმება კანონიერი გზით (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონით დადგენილი მოთხოვნები მერქნის დამზადებაში მონაწილე პერსონალის დასაქმების მიმართ, მათ შორის, მოთხოვნები ხელშეკრულებებისა და მუშაობის ნებართვებთან დაკავშირებით, სავალდებულო დაზღვევა, კომპეტენციის სერტიფიკატისა და ტრენინგთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები და სოციალური და საშემოსავლო გადასახადების დაკავება დამსაქმებლის მიერ. გარდა ამისა, დასაქმების მინიმალური ასაკის და სახიფათო სამუშაოში მონაწილე პერსონალის მინიმალური ასაკის გათვალისწინება, კანონმდებლობა ძალდატანებითი და იძულებითი შრომის, აგრეთვე დისკრიმინაციის წინააღმდეგ და გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• საქართველოს შრომის კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 დეკემბრის ორგანული კანონი # 4113-ES – სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 27.12.2012 წ. / კონსოლიდირებული ვერსია 27.09.2013 წ. მდგომარეობით / 5 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია 2015 ს. 27 სექტემბრის კანონით # - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 09.10.2013 წ.

• საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

• საქართველოს შრომის კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 დეკემბრის ორგანული კანონი # 4113-ES – სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 27.12.2012 წ. / კონსოლიდირებული ვერსია 27.09.2013 წ. მდგომარეობით / 5 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია 2015 ს. 27 სექტემბრის კანონით # - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 09.10.2013 წ.
https://matsne.gov.ge/en/document/view/1155567

• საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ. [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

• საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
• საქართველოს ფინანსთან სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

საგადასახადო აუდიტისა და მონიტორინგის დოკუმენტები

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი
https://matsne.gov.ge

სხვა წყაროები

ჩინური ბიზნესი საქართველოში 2010 წ., გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (PRC) ეკონომიკური და კომერციული მრჩეველის ოფისმა. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

http://ge2.mofcom.gov.cn/accessory/201010/128825288464 8.pdf

KPMG Georgia - ბიზნეს- კლიმატი საქართველოში (2013 წ.).
http://www.amcham.ge/res/news/0054/DBIG_June_2013.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

საქართველოს 2010 წ. შრომის კოდექსი არეგულირებს შრომით და შრომასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ურთიერთობებს საქართველოს ტერიტორიაზე, თუ არ ხდება მათი სხვაგვარად რეგულირება საქართველოს სპეციალური კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შრომასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც არ არეგულირებს შრომის კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შრომის კოდექსის ზოგადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულება არ უნდა აწესებდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისგან განსხვავებულ ნორმებს, რომლებმაც შესაძლოა გააუარესონ მშრომელის პირობები. გარდა ამისა, შრომის კოდექსი, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ადგენს ზოგად საკანონმდებლო მოთხოვნებს პერსონალის დასაქმებასთან მიმართებაში, მათ შორის, ანტიდისკრიმინაციული წესების, დასაქმებულთა ასაკის, კონტრაქტებისა და პროფესიული გაერთიანებების უფლების მოთხოვნებს.

კანონიერი მოთხოვნები მერქნის დამზადებაში ამ ნებისმიერ სატყეო ოპერაციებში მონაწილე პერსონალის მიმართ, მათ შორის სამუშაო ნებართვის, სავალდებულო დაზღვევის, კომპეტენციის სერტიფიკატებისა და ტრენინგთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები საქართველოში არ მოქმედებს.

რაც შეეხება მოთხოვნებს დამსაქმებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით - საგადასახადო კოდექსით დამსაქმებელმა უნდა მოახდინოს დეკლარირება და დაუკავოს დაქირავებულ თანამშრომლებს საშემოსავლო გადასახადები. საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაციის (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის) მიერ ხორციელდება ამ მოთხოვნის მკაცრი ადმინისტრირება და მონიტორინგი გადასახადედბის ადმინისტრირების ზოგადი წესების ფარგლებში.

სოციალური (მათ შორის დამსაქმებლის მიერ დაკავებული) გადასახადების გადახდა გაუქმდა საქართველოს კანონმდებლობით და აღარ წარმოადგენს მოხოვნას საქართველოს საგადასახადო კოდექსის ფარგლებში.

რისკის აღწერა

შრომის კოდექსის (2010) თანახმად, არსებობს კონტრაქტების 2 ტიპი – წერილობითი და ზეპირი. კონტრაქტი უნდა იყოს წერილობითი, თუ სამუშაოს ხანგრძლივობა აღემატება სამ თვეს (შესაბამისად, კონტრაქტი შესაძლოა იყოს ზეპირი, თუ ის სამ თვეზე ნაკლები ხანგრძლივობისაა).

სატყეო სფეროში დასაქმებული სეზონური ან დროებითი მუშების სამუშაოს ხანგრძლივობა როგორც წესი არ აღემატება სამ თვეს, ხოლო უფრო ხანგრძლივვადიან სამუშაოებში ჩართულ პერსონალს (რეინჯერებს ან მენეჯერებს) გააჩნიათ წერილობითი ხელშეკრულება. შესაბამისად - ნებისმიერი ტიპის სამუშაო სატყეო-სამეურნეო სფეროში სრულდება ხელშეკრულების საფუძველზე (ზეპირი ან წერილობითი).

ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი (KPMG Georgia - ბიზნეს-კლიმატი საქართველოში, 2013 წ.) საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსს დამსაქმებლებისთვის საკმაოდ მოქნილად და ხელსაყრელად თვლის. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად ნებისმიერი პირობის (კანონით აკრძალული პირობების გარდა) შემუშავება და ჩართვა შრომით ხელშეკრულებაში. ტყის გრძელვადიანი ლიცენზირების პროცესის დასაწყისში (2007 წლიდან) უცხოელ ოპერატორებსა და სატყეო საქმიანობაში ჩართულ ადგილობრივ პერსონალს შორის ადგილი ჰქონდა ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევებს ხელშეკრულების პირობებთან და მასობრივი გათავისუფლების უფლებებთან დაკავშირებით (იხ. ჩინური ბიზნესი საქართველოში, 2010 წ. (Chinese Business in Georgia 2010)), თუმცა ეს დაძაბულობები დარეგულირდა შეთანხმების მიღწევით, სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე.
მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში არ არსებობს სპეციალური სამართალდამცავი და მონიტორინგის ორგანო (რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა შრომის კოდექსის აღსრულების უზრუნველყოფაზე), რისკი დაბალია ყველა ზემოაღნიშნულ ასპექტში, რადგან შრომის კოდექსი ითვალისწინებს ლიბერალურ პროცედურებს არა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და კონტროლის, არამედ თავისუფალი ნების გამოხატვისა და შეთანხმების პრინციპების საფუძველზე. გარდა ამისა, ხდება დამსაქმებლის მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდასა და დაკავებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მკაცრი დაცვა და მონიტორინგი საგადასახადო ორგანოების მიერ - ამგვარად, საერთო რისკი ამ კატეგორიასთან მიმართებაში უნდა შეფასდეს, როგორც დაბალი.

რომ შევაჯამოთ - არ არსებობს *„შრომის ან დასაქმების სფეროში კანონმდებლობის სისტემატური ან მასშტაბური დარღვევის“* (ფრაზა დოკუმენტიდან FSC-PRO-60-002A V1-0 EN, გვ 19; ინგლისურ ენაზე) ფაქტები - სამუშაოს ზოგადი პირობების, შესაძლო იძულებითი შრომის, ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და გადასახადების გადახდის თავიდან არიდების კუთხით.

თუმცა, სიტუაცია განსხვავებულია ასოციაციის თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების კუთხით. გარდა შრომის კოდექსის, აღნიშნული უფლლებები რეგულირდება პროფესიული კავშირების შესახებ კანონით (1997). კერძოდ, სახელმწიფო ატარებს ზედმეტად მკაცრ სამოქალაქო და საჯარიმო სანქციებს მუშებისა და მათი კავშირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არასანქცირებულ გაფიცვებში. ასევე, მთავრობა ხშირად ერევა პროფესიული კავშირების საქმიანობაში. ასევე არის პოტენციური პრობლემები არასრულწლოვანთა შრომის კუთხით. შრომის კოდექსი (2010) აზუსტებს დასაქმების მინიმალურ ასაკს (მათ შორის სატყეო სექტორში) – 16 წელი. პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ 14 წელი (თუმცა არიან 16 წელზე უფრო ახალგაზრდები) შეუძლიან იმუშავონ კანონიერად, მათი კანონით

განსაზღვრული წარმომადგენლის (ან სამეურვეო ორგანიზაციის) ნებართვით, თუ შესაბამისი სამუშაო არ არის საზიანო არასრულწლოვანის ინტერესებისადმი, ან ამ უკანასკნელის ფიზიკური, გონებრივი, მორალური განვითარებისადმი და არ ზღუდავს არასრულწლოვანის უფლებას, მიიღოს განათლება. ნებისმიერ გარემოებაში დაუშვებელია არასრულწოვანის ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემოში მუშაობა. ბავშვთა შრომა საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო სფეროში. არ არსებობს უტყუარი ინფორმაცია ბავშვთა შრომის თაობაზე სატყეო ოპერაციებში, თუმცა ამის ალბათობა მნიშვნელოვანია. შესაბამისად, უნდა მოხდეს სპეციფიური რისკის მინიჭება ასოცირების თავისუფლებისა და ბავშვთა შრომის კუთხით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ინდიკატორ 2.2-ის შეფასებაში.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 2-ის კრიტერიუმებს (განხილული კანონმდებლობის მოთხოვნები ვერ სრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ და ხშირად ხდება ამ კანონების უგულვებელყოფა). შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

1.13 ტრადიციული უფლებები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს მერქნის დამზადების საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრადიციულ უფლებებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება სარგებლის განაწილებას და აბორიგენული მოსახლეობის უფლებებს.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

ტყის კოდექსი (1999 წ.) - [მუხლი 88, თავი XXIV] / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითუერთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

ტყის კოდექსი (1999 წ.) - [მუხლი 88, თავი XXIV] / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითუერთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო *(ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)*
ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

არ მიესადაგება

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი https://matsne.gov.ge

სხვა წყაროები

„ტყეების მართვის დღევანდელი ვითარება და მისი გავლენა მოსახლეობაზე“. ანგარიში მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის (CENN) მიერ 2013 წლის გაზაფხულზე (ძირითადად ეხება 2010-2012 წწ პერიოდს); ანგარიში მომზადდა პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით.
http://environment.cenn.org/app/uploads/2016/09/%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
საქართველოში არ არსებობს მერქნის დამზადების აქტივობებთან დაკავშირებით (სარგებლის

განაწილებასა და აბორიგენული მოსახლეობის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით) ტრადიციული უფლებების მქონე ჯგუფები.
თუმცა არსებობს ტრადიციული უფლებები მეორეხარისხოვან (მეორად/ მცირე/ დამატებით) მერქნულ მასალებთან და ტყის არამერქნულ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია ტყის კოდექსში (1999 წ.).
ტყის კოდექსის (1999 წ.) 88-ე მუხლის (თავი XXIV) თანახმად, ტყეში მოსახლეობის (ინდივიდების) ყოფნა ნებადართულია. იმავე მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია ტყეებში თავისუფალი გადაადგილება; მეორეხარისხოვანი მერქნული მასალების (როგორიცაა ხეების გამხმარი ტოტები და ფესვები, ხის კუნძები და მკვდარი მერქანი (ქერქი) და ბუჩქები) შეგროვება პირადი მოხმარებისთვის; არა-მერქნული პროდუქტების შეგროვება პირადი მოხმარებისთვის და ტყით სარგებლობა რეკრეაციისა და ტურიზმისთვის.

რისკის აღწერა
წარსულში იყო ცნობები იმის თაობაზე, რომ ტყითსარგებლობის ლიცენზიების მფლობელები ადგილობრივ მოსახლეობას არ უშვებდნენ ტყის იმ უბნებზე რომლებზედაც ვრცელდებოდა ლიცენზიები. ეს ცნობები ეყრდნობოდა თავად ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვებს. 2009 წელს „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებსა და პირობებში“ (2005) მოსახლეობის ზემოაღნიშნული უფლებების მკაფიოდ გაწერის შემდეგ, აღარ ფიქსირდება ინფორმაცია ამ უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით. ყოველწლიურად, ათიათასობით ადამიანი (როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხოელი ტურისტები) სარგებლობენ საქართველოს ტყეებით რეკრეაციისა და ტყის არამერქნითი პროდუქტების შეგროვების მიზნით პირადი მოხმარებისათვის, უსასყიდლოდ. ეს ასევე მოიცავს ტყითსარგებლობის ლიცენზიების ტერიტორიებს. უკანასკნელ პერიოდში (სულ მცირე ბოლო 2-3 წლის განმავლობაში) არ მოიპოვება ცნობები ტყეში თავისუფალი შესვლის კუთხით მოსახლეობის უფლებების ნებისმიერი ფორმით დარღვევის თაობაზე, მათ შორის ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების ფართობებზე. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.14 თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც ეხება „თავისუფალ წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას“ მერქნის დამზადების ოპერაციებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის ტყის მართვის უფლებებისა და ტრადიციული უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005 წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 40, 18.07.2005 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 30.06.2015 წ. მდგომარეობით / 60 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 12.06.2015 წ. კანონით # 3704-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 30.06.2015 წ.

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით

• ზოგადი და სპეციალური ტყით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული ტყის ფონდის გადაცემისა და მიღების წესები (2009 წ.) - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2009 წ. 10 სექტემბრის #33 ბრძანების „ზოგადი და სპეციალური ტყით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული ტყის ფონდის გადაცემისა და მიღების წესებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ დანართი #1 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 112, 14.09.2010 წ.) / 2 შემასწორებელი ბრძანებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 18.11.2010 წ. #59 ბრძანებით

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005 წ.) / საქართველოს 2005 წ. 24 ივნისის კანონი # 1775-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 40, 18.07.2005 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 30.06.2015 წ. მდგომარეობით / 60 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 12.06.2015 წ. კანონით # 3704-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 30.06.2015 წ. [ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/26824

• ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) - საქართველოს მთავრობის 2005 წ. 11 აგვისტოს განკარგულება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 94, 08.12.2005 წ., მუხლი 1066) / 61 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია მთავრობის 16.07.2015 წ. #351 განკარგულებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/10234

• ზოგადი და სპეციალური ტყით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული ტყის ფონდის გადაცემისა და მიღების წესები (2009 წ.) - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2009 წ. 10 სექტემბრის #33 ბრძანების „ზოგადი და სპეციალური ტყით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული ტყის ფონდის გადაცემისა და მიღების წესებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ დანართი #1 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 112, 14.09.2010 წ.) / 2 შემასწორებელი ბრძანებით შეტანილი ცვლილებებითურთ /

ბოლო შესწორება შეტანილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 18.11.2010 წ. #59 ბრძანებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/85996

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)
არ მიესადაგება

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) ლიცენზია
• ტყის მართვის გენერალური გეგმა - (უნდა მომზადდეს სატყეო ადმინისრაციის მიერ ტყის დიდი ტერიტორიისთვის / სატყეო ადმინისტრაციული ერთეულისთვის)
• ტყით სარგებლობის (ხე-ტყის დამზადების) გეგმა - (უნდა მომზადდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ ტყის დიდი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილი ლიცენზირებული ადგილისთვის)

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
საქართველოს სატყეო სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი
http://forestry.gov.ge/

არასამთავრობო წყაროები
ტყით სარგებლობა საქართველოში - პრობლემები და გამოწვევები. გამოცემულია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით.

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი შესაბამის კანონმდებლობაში აისახება მხოლოდ არაპირდაპირი გზით – ასევე იხ. კანონმდებლობის მოთხოვნების მიმოხილვა 1.13 ქვე-კატეგორიაში (ტრადიციული უფლებები).

ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებსა და პირობებში (2005 წ.) მოცემულია გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ტყით სარგებლობის (დამზადების) გეგმებთან მიმართებაში, რომლებიც უნდა მოამზადოს ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელმა და დაამტკიცოს სატყეო ადმინისტრაციამ ლიცენზიასთან დაკავშირებული სატყეო ოპერაციების დაწყებამდე. პროცედურა გულისხმობს გეგმის პროექტის საჯარო კონსულტაციებს, თუკი არაპირდაპირი სახით წარმოდგენილია თავისუფალი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ელემენტები -

რადგანაც ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია ინფორმაციის წინასწარ მიღების და ტყის მართვის/ ექსპლუატაციის უფლებების (და ზოგიერთი ტრადიციული სარგებლობის უფლების) გადაცემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების იმ ორგანიზაციისთვის გამოთქმის უფლება, რომელიც პასუხისმგებელია მერქნის დამზადების ოპერაციებზე განსაზღვრულ ლიცენზირებულ ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის (2005 წ.) მე-3 მუხლის შესაბამისად (პ. „ა.ა“), ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დაყოს და/ან მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ლიცენზია სხვა პირს, მათ შორის, მემკვიდრეობითაც. ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) უფრო დეტალურად ითვალისწინებს ტყით სარგებლობის (დამზადების) ლიცენზიის სხვა პირისთვის სრულ ან ნაწილობრივ გადაცემას. ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებისა და პირობების (2005 წ.) მე-8 მუხლის (პ. “I”) თანახმად, პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ გადასცა ტყით სარგებლობის (დამზადების) ლიცენზია, ვალდებულია მოამზადოს და სატყეო ადმინისტრაციას განსახილველად და შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგინოს ტყით სარგებლობის (დამზადების) ახალი გეგმა. თავის მხრივ, ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესები და პირობები (2005 წ.) ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ტყით სარგებლობის (დამზადების) ახალ გეგმებთან მიმართებაში.

მთლიანობაში საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირ განხორციელებას თავისუფალი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობისა, რომელიც, საერთაშორისო კანონმდებლობით (გაეროს დეკლარაცია აბორიგენული ხალხების უფლებების შესახებ/ დამტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის მიერ 2007 წ. 13 სექტემბერს) დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, აბორიგენული მოსახლეობის უფლებებთან. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ საქართველოში ტრადიციული უფლებები პირდაპირ არ უკავშირდება ტყის მართვის უფლებების სრულ სპექტრს. აღნიშნული უფლებები წარმოდგენილია მხოლოდ ტყით სარგებლობის გარკვეული კატეგორიების კუთხით (დეტალები იხ. ქვ-კატეგორიაში 1.13 - ტრადიციული უფლებები).

რისკის აღწერა

სახელმწიფო ორგანოები ზოგადად ასრულებენ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს ტყით სარგებლობის/ მერქნის დამზადების გეგმებთან (სადაც თავისუფალი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ელემენტები წარმოდგენილია არაპირდაპირი სახით) მიმართებაში. კერძოდ, ტყის მართვის ყოველი გეგმის სამუშაო ვერსია განიხილება საჯაროდ. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ საზოგადოების მონაწილეობის დონე არ არის საკმარისი. აღნიშნულის ახსნა შეიძლება საზოგადოების ჯერ კიდევ დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერებით და ასევე იმით, რომ მცირე დრო არის გამოყოფილი კომენტარების წარმოდგენისათვის მართვის გეგმების შინაარსზე, მათი გამოქვეყნებიდან (15 კალენდარული დღე). თუმცა, ცნობილია რამდენიმე შემთხვევა (2009 წლიდან დღემდე), როდესაც საჯარო განხილვების შედეგად მართვის გეგმების სამუშაო ვერსიები უკან უბრუნდებოდა ავტორებს

შესწორების მიზნით. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი ზოგადად მუშაობს საქართველოში.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.15 აბორიგენული/ტრადიციული მოსახლეობის უფლებები (არ მიესადაგება საქართველოს პირობებს და, შესაბამისად, არ განიხილება)

აბორიგენული მოსახლეობა არ ცხოვრობს საქართველოში. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ინდიკატორ 2.3-ის შეფასებაში.

1.16 სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კლასიფიკაცია (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მოპოვებული მასალების კლასიფიცირებას სახეობების, მოცულობის და ხარისხის თვალსაზრისით, ვაჭრობასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. დამზადებული მასალების არასწორი კლასიფიკაცია კანონით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირების/ გადახდისგან თავის არიდების ფართოდ ცნობილი მეთოდია.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) /საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) /კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით /21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• კანონი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლების შესახებ (2004 წ.) / საქართველოს 2014 წ. 29 დეკემბრის კანონი # 946-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 41, 30.12.2004 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.06.2015 წ. მდგომარეობით / 24 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 29.05.2015 წ. კანონით

3674-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.06.2015 წ.
• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)
• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• კანონი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლების შესახებ (2004 წ.) / საქართველოს 2014 წ. 29 დეკემბრის კანონი # 946-rs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტ. 41, 30.12.2004 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.06.2015 წ. მდგომარეობით / 24 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს 29.05.2015 წ. კანონით # 3674-IIs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.06.2015 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28948

• ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულება #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 19.07.2013 წ.)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1971205

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

- *ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები*
- *ტყით სარგებლობის ლიცენზიები და მერქნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები*
- *მერქნისა და პირველადი მერქნული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები*
- *სატრანსპორტო ზედდებული (ნებართვა ხე-ტყის ტრანსპორტირებაზე)*
- *სატყეო ოპერაციებისა და ტყეკაფის მონიტორინგის დოკუმენტაცია*

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
ხე-ტყის რესურსების მართვის ოფიციალური ელექტრონული სისტემა (წვდომა ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოებისთვის)
http://ms.anr.ge

მერქნული რესურსების მართვის ოფიციალური ელექტრონული სისტემა (წვდომა რეგისტრირებული ტყის ოპერატორებისთვის)
http://portal.anr.ge

საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ელექტრონული სისტემა – El-Services (წვდომა ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოებისთვის და რეგისტრირებული გადასახადების გადამხდელებისთვის)
https://www.rs.ge

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები
იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
1999 წ. ტყის კოდექსის (მუხლები 93 და 93/1) მიხედვით, ეროვნული სატყეო სააგენტო პასუხისმგებელია იმ კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაზე, რომელიც არეგულირებს მოპოვებული მერქნის კლასიფიცირებას სახეობების, მოცულობის და ხარისხის

მიხედვით, ვაჭრობასა და ტრანსპორტირებასთან მიმართებაში. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტები (ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესები, 2013 წ. და ტყით სარგებლობის წესები, 2010 წ.) აღნიშნულია, როგორც ინფორმაციის წყარო. გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების შესახებ კანონი (2004 წ.) ითვალისწინებს მოპოვებული მასალის კლასიფიკაციას სახეობების, მოცულობისა და ხარისხის მიხედვით.

ზემოაღნიშნული კანონები და რეგულაციები განსაზღვრავს, თუ რა უნდა იქნას განსაზღვრული (გაზომილი) და კლასიფიცირებული (მაგ. ზეზემდგომი და დამზადებული მერქნის კლასიფიკაცია საჭიროა სახეობების, ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით), თუმცა ისინი არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ზეზემდგომი მერქნისა და მერქნის სხვა პროდუქტების (მორების, დახერხილი მერქნის, კომერციული მერქნის და ა.შ.) სახეობების, მოცულობისა და ხარისხის გაანგარიშება და არ იძლევა მორების მოცულობის გაანგარიშების შესაბამის ცხრილებს, სხვა ფორმულებს გაანგარიშებისა და იდენტიფიცირებისთვის, აგრეთვე სხვა ტექნიკურ ინსტრუქციებს, მითითებას სხვა ტექნიკურ სტანდარტებზე და/ ან დეტალებზე. გაზომვებისა და გაანგარიშების ტექნიკური წესები და სტანდარტები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება სატყეო დაგეგმვის, მონიტორინგისა და სამართალდაცვის პრაქტიკაში, არ არის სამართლებრივად მავალდებულებელი და ეფუძნება ოდნად მოდიფიცირებულ და გადაკეთებულ ძველ საბჭოთა წესებსა და სტანდარტებს.

რისკის აღწერა

ზემოაღნიშნული სამართლებრივად სავალდებულო წესებისა და სტანდარტების საფუძველზე, პრაქტიკულად ყოველთვის, ხდება მერქნის გადაზიდვა და ყიდვა-გაყიდვა ყველა საჭირო თანმხლები დოკუმენტაციით (შემდგომი დეტალები იხ. ქვე-კატეგორიაში 1.17 - ვაჭრობა და ტრანსპორტი), რომლებიც შეიცავს ყველა საჭირო დეტალს, როგორიცაა სახეობები,მოცულობა, ხარისხი და ა.შ.

აღინიშნება ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების ნაკლებობა, რაც პასუხისმგებელ სახელმწიფო სააგენტოებსაც და სატყეო ოპერატორებსაც ტექნიკურ სირთულეებს უქმნის შესაბამისი წესებისა და სტანდარტების მიხედვით გაზომვებსა და გაანგარიშებებთან დაკავშირებული მოთხოვნების მთლიანი სპექტრის სრულფასოვნად დაკმაყოფილებაში. თუმცა, რამდენადაც ისინი არ არის იურიდიულად სავალდებულო, კანონის დარღვევის რისკი ითვალება დაბალ რისკად.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით

არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.17 ვაჭრობა და ტრანსპორტირება (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - უნდა არსებობდეს როგორც საჭირო სავაჭრო ნებართვები, ასევე კანონით მოთხოვნილი სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც თან ახლავს მერქნის ტრანსპორტირებას სატყეო ოპერაციების ადგილიდან.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*

• ტექნიკური რეგულაციები, რომლებიც აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებსა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგულაციები (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წ. 10 იანვრის დადნენილება #46 "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 15.01.2014 წ.) / 3 შემასწორებელი დადგენილებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 10.12.2014 წ. %675 დადგენილებით

• სამუშაო ინსტრუქციები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოებისთვის (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება # 118 " მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 10.05.2014 წ.) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 23.09.2015 წ. #224 განკარგულებით

• ინსტრუქცია გადასახადების ადმინისტრირების შესახებ (2010 წ.) – ფინანსთა მინისტროს 2010 წ. 31 დეკემბრის ბრძანება # 996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 03.10.2010 წ.) / 122 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია ფინანსთა მინისტრის 22.10.2015 წ. ბრძანებით # 339

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი

განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

• *ტყის კოდექსი (1999 წ.) / საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლებებითურთ / უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. კანონით # 1031-Is, - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ.*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228

• ტექნიკური რეგულაციები, რომლებიც აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებსა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგულაციები (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წ. 10 იანვრის დადნენილება #46 "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2193366

• სამუშაო ინსტრუქციები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოებისთვის (2014 წ.) - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება # 118 " მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 10.05.2014 წ.) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 23.09.2015 წ. #224 განკარგულებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2309913

• ინსტრუქცია გადასახადების ადმინისტრირების შესახებ (2010 წ.) – ფინანსთა მინისტროს 2010 წ. 31 დეკემბრის ბრძანება # 996 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 03.10.2010 წ.) / 122 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია ფინანსთა მინისტრის 22.10.2015 წ. ბრძანებით # 339
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887

• ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 20 აგვისტოს განკარგულება #242 „ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 103, 24.08.2010 წ., მუხლი 1533) /40 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 04.09.2015 წ. #455 განკარგულებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025889

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (ექვემდებარება უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; სამმართველო, თავის მხრივ პირდაპირ ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას)

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად); მოქმედი კანონებისა და რეგულაციების იდენტიფიცირება ემატება CNRA შაბლონს

- *სატრანსპორტო ზედდებული*
- *მერქნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები*
- *მერქნისა და პირველადი მერქნული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება*
- *მერქნის მარკირება*

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები
ეროვნული სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ელექტრონული სისტემა – ელ-სერვისები (წვდომი მხოლოდ ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოებისთვის და გადასახადების რეგისტრირებული გადამხდელებისთვის https://www.rs.ge

მერქნული რესურსების მართვის ოფიციალური ელექტრონული სისტემა (წვდომა მხოლოდ ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოებისთვის) http://ms.anr.ge

მერქნული რესურსების მართვის ოფიციალური ელექტრონული სისტემა (წვდომა რეგისტრირებული სატყეო ოპერატორების მიერ)
http://portal.anr.ge

სამთავრობო წყაროები

“გურიაში სახერხი საამქროს რეგლამენტის პირობების დარღვევის ფაქტი გამოვლინდა” (ელექტრონული საგაზეთო სტატია, მომზადდა 2015 წლის 11 ნოემბერს) http://kvira.ge/220198

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

სატყეო კოდექსის მიხედვით (მუხლები 93 და 931) სატყეო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია იმ კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაზე, რომელიც არეგულირებს მერქნული ოპერაციების მართვასა და მერქნულ პროდუქტებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება-შეტანასა და გაზიარებას ვაჭრობასა და ტრანსპორტთან მიმართებაში. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებული ნორმატული აქტები და სხვა შესაბამისი რეგულაციები მითითებულია ინფორმაციის წყაროებში. სახელდობრ, ტექნიკური რეგულაციები, რომლებიც აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებსა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგულაციები (2014 წ.) [შემდგომში „ტექნიკურ რეგლამენტად“ (2014 წ.) წოდებული], ინსტრუქცია გადასახადების ადმინისტრირების შესახებ (2010 წ.), სამუშაო ინსტრუქციები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების შესახებ (2014 წ.) [შემდგომში „სამუშაო ინსტრუქციებად“ (2014 წ.) წოდებული] და ტყით სარგებლობის წესები (2010 წ.) აწესებს წესებსა და მოთხოვნებს მერქნისა და პირველადი მერქნული პროდუქტების ტრანსპორტირებასა და ვაჭრობასთან მიმართებაში.

<u>სამართლებრივი მოთხოვნები ტრანსპორტირებასთან მიმართებაში</u>

მერქნის (მრგვალი მორების) დამზადების ადგილიდან კონკრეტული დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვასთან მიმართებაში სამართლებრივი მოთხოვნების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგნაირად:

1. მერქნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოითხოვება ყველა სახის სარგებლობის შედეგად მოპოვებული ყველა ტიპის მერქნისთვის, ყველა ტიპის სატყეო ოპერატორისგან, მიუხედავად იმისა არის ეს კომერციული მერქანი თუ შეშა, მოპოვებულია სახელმწიფო ტყის სავარგულებში თუ მათ ფარგლებს გარეთ). დოკუმენტის აღება, მცირე გამონაკლისებით, ხდება უშუალოდ სატყეო ადმინისტრაციისგან (ეროვნული სატყეო სააგენტო, ხოლო აჭარაში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო); დოკუმენტი გაიცემა არსებული ლიცენზიების, მერქნის მოპოვების ბილეთის (საშეშე მერქნის შემთხვევაში), ტყით სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულებების და სატყეო ოპერაციებისა და ტყეკაფების მონიტორინგის დოკუმენტაციის საფუძველზე, ტყით სარგებლობის წესების (2010 წ.) შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებს გარეთ მერქნის მოპოვების შემთხვევაში - სხვა დოკუმენტების საფუძველზე. დოკუმენტია საჭირო ასევე იმპორტირებული მერქნის ტრანსპორტირებისთვის - ამ შემთხვევაში დოკუმენტი გაიცემა შესაბამისი საიმპორტო დოკუმენტების საფუძველზე (კონტრაქტები, საბაჟო დოკუმენტაცია და ა.შ.) – [ტყის კოდექსის 93-ე მუხლი / ტექნიკური რეგლამვენტის მე-3 მუხლი (2012 წ.)].

2. ხე-ტყის სატრანსპორტო ზედდებული - (იმ შემთხვევაში თუ მერქანი განკუთვნილია

კომერციული მიზნებისთვის/ სავაჭროდ, მოითხოვება ყველა სახის სარგებლობის შედეგად მოპოვებული ყველა ტიპის მერქნისთვის, ყველა ტიპის სატყეო ოპერატორისგან, მიუხედავად იმისა არის ეს კომერციული მერქანი თუ შეშა, მოპოვებულია სახელმწიფო ტყის სავარგულებში თუ მათ ფარგლებს გარეთ) - სატრანსპორტო ზედდებულს გასცემს საგადასახადო ადმინისტრაცია (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) საგადასახადო სერვისების ელექტრონული სისტემის საშუალებით და მისი აღება ხდება ელექტრონულად , რეგისტრირებული ოპერატორების - გადასახადების გადამხდელების მიერ (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიერ. სატრანსპორტო ზედდებული საჭიროა იმპორტირებული მერქნის გადაზიდვის შემთხვევაშიც [გადასახადების ადმინისტრირების ინსტრუქციის მუხლები 24 და 252 (2010 წ.)].

3. მერქნის მარკირება – (მოითხოვება ყველა ტიპის მერქნისთვის, გარდა საშეშე მორებისა / საშეშე მორები უნდა დაიჭრას და გადაიზიდოს მხოლოდ არაუმეტეს 1 მ სიგრძის კოტრების სახით) - ყოველ იარლიყს გააჩნია უნიკალური კოდი და ყოველი მორი ექვემდებარება მარკირებას - იარლიყები, მცირეოდენი გამონაკლისებით, აიღება უშუალოდ სატყეო ადმინისტრაციისგან (ეროვნული სატყეო სააგენტოსგან, ხოლო აჭარაში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოსგან) – [სამართლებრივი ლიტერატურა 0 ტყის კოდექსის 93-ე მუხლი / ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლი (2014 წ.)].

<u>სამართლებრივი მოთხოვნები ვაჭრობასთან მიმართებაში</u>

1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი – [ტყის კოდექსი / ტექნიკური რეგლამენტი (2014 წ.)]
3. მორის პლასტიკური ნომერი - (მოითხოვება უშუალოდ ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელისგან შეძენილი ხე-ტყის შემთხვევაში) [ტყის კოდექსი/ ტექნიკური რეგლამენტი (2014 წ.)]
4. ხე-ტყის ყიდვა-გაყიდვის პირველადი ხელშეკრულება – (მოითხოვება მეორადი გაყიდვის ან ექსპორტის შემთვევაში)
5. აკრძალულია სოციალური მიზნებისთვის განკუთვნილი ხე-ტყით ვაჭრობა ტყით სარგებლობის ბილეთების და/ ან ტყით სპეციალური სარგებლობის ხელშეკრულებების საშუალებით. ასევე აკრძალულია ზემოთ აღნიშნული ხე-ტყის დამუშავებით მიღებული მერქნული პროდუქტებით ვაჭრობა.

რისკის აღწერა

ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან, ვაჭრობასა და პირველად დამუშავებასთან დაკავშირებული მონაცემები და დოკუმენტები, აგრეთვე სატყეო ოპერაციებსა და ტყეკაფების მონიტორინგის დოკუმენტაცია, ტყით სარგებლობის წესების (2010 წ.) მიხედვით, აიტვირთება და ინტეგრირდება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, სამუშაო ინსტრუქციებში (2014 წ.) მოცემული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ელექტრონულ სისტემას აწარმოებს ეროვნული სატყეო სააგენტო, თუმცა სხვა შესაბამის სააგენტოებს და აგრეთვე სატყეო ოპერატორებს (მაგ, ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს) გააჩნიათ თავის მხრივ დოკუმენტაციის ატვირთვის ავტორიზაცია. 2014 წ. მისი დანერგვისა და შემდგომი დახვეწის გათვალისწინებით, ელექტრონული სისტემა თანდათანობით ეფექტიანი ინსტრუმენტი ხდება სატყეო ოპერაციების მონიტორინგისა და მერქნის თვალყურის დევნებისთვის ეროვნულ და

ადგილობრივ დონეზე. ეს სისტემა ითვლება ეფექტიან ინსტრუმენტად იმის გამო, რომ საჭირო სატრანსპორტო და სავაჭრო დოკუმენტები დოკუმენტირებულია; მოცულობები, სახეობები და ხარისხი კლასიფიცირებულია და ტრანსპორტირებასთან, ვაჭრობასთან, იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტები გარკვევითაა დაკავშირებული შესაბამის კონკრეტულ მასალასთან. შესაბამისად, კორუფციული გარიგებების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე.

ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის წესებისა და მოთხოვნების აღსრულებას მკაცრად უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოები, როგორიცაა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ეროვნული სატყეო სააგენტო და აჭარის სატყეო სააგენტო ტრანსპორტირების თვალსაზრისით და შემოსავლების სამსახური ვაჭრობის თვალსაზრისით. ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. დღესდღეობით, ამ წესების დარღვევის მხოლოდ მცირე რაოდენობის შემთხვევები თუ შეინიშნება. ამ შემთხვევებში, კანონაღსრულების შესაბამისი ორგანო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) იღებს დაუყოვნებლივ და ეფექტიან ზომებს უკანონო ქმედებების შეჩერებისა და დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

ზოგადად, მერქნის მართვის კომბინირებული ელექტრონული სისტემა და მერქნის თვალყურის დევნება და სავალდებულო „ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი“ ახლად შემოღებული ინსტრუმენტებია. სისტემა განუწყვეტლივ იხვეწება და ამიტომ კანონის იგნორირებისა და შეუსრულებლობის რისკი დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ იყო მცირე პრობლემები პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მოხდა მისი გაუმჯობესება, და ამჟამად მიჩნეულია, რომ სისტემა გამართულად მუშაობს. ერთის მხრივ კანონაღსრულების მაღალი დონის, და მეორეს მხრივ ქვეყანაში კორუფციის ძალზედ დაბალი დონის გამო (მათ შორის სატყეო სექტორში), ამ ინდიკატორს ენიჭება დაბალი რისკის კატეგორია.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.18 ოფშორული ვაჭრობა და გადარიცხვები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - ოფშორული ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ოფშორული ვაჭრობა, საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე შესაბამისი კომპანიებით, ერთმანეთთან იურიდიულად დაკავშირებულ (მაგალითად სათაო ოფისსა და ფილიალს შორის) კომპანიათა შორის

გადარიცხვებთან (transfer pricing) კომბინაციაში, ქვეყნისთვის (სადაც ხდება მერქნის მოპოვება) კანონით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდისგან თავის არიდების კარგად ცნობილი გზაა და ითვლება სატყეო ოპერაციებში ჩართული მხარეებისთვის ქრთამისა და შავი ფულის გენერირების მნიშვნელოვან წყაროდ. მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს transfer pricing-ს და ოფშორულ ვაჭრობას. უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება განვიხილოთ transfer pricing და ოფშორული ვაჭრობა კონკრეტულ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონით აკრძალულია ამ ქვეყანაში.

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• *საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.*
- მუხლი 22, საქონლის (მომსახურების) ფასების დადგენის პრინციპები გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის
- მუხლი 23, ურთიერთდაკავშირებული მხარეები; ქმნის საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ transfer pricing კონტროლის საფუძველს.
- თავი XVII. მუხლები 126, 127, 128, 129. (შესწორებულია 2011 წ.). transfer pricing კონკრეტული რეგლამენტი

• ინსტრუქცია საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 18 დეკემბრის დადგენილება #423 "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვარდი, 18.12.2013 წ., 190040000.22.033.016592)

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე
საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.[ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

• ინსტრუქცია საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ (2013 წ.) - საქართველოს მთავრობის 2013 წ. 18 დეკემბრის დადგენილება #423 "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს

საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვარდი, 18.12.2013 წ., 190040000.22.033.016592) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2078069

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

სავაჭრო კონტრაქტები

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო http://investingeorgia.org/en/georgia/taxation

არა-სამთავრობო წყაროები

UHY transfer pricing გლობალური სახელმძღვანელო, 2015 წ. იანვარი: http://www.uhy.com/wp-content/uploads/Global-Transfer-Pricing-Guide-January-2015.pdf

PWC transfer pricing საერთაშორისო სახელმძღვანელო 13/14:
http://www.pwc.com/gx/en/international-transfer-pricing/assets/itp-2013-final.pdf
EOI 2015 - საგადასახადო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პორტალი: http://www.eoi-tax.org/jurisdictions/GE#agreements

ფონდი "თბილისის ლიბერალური აკადემია" (2012). საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. მომზადდა საქართველოში USAID-ის ოფისის დახმარებით.

http://www.ei-lat.ge/images/doc/the%20economic%20transformation%20of%20georgia%20-%2020%20years%20of%20independence%20eng.pdf

სრული ვერსია ქართულად:

http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
1993 წ. საქართველომ ზოგად საგადასახადო კანონმდებლობაში (ამჟამად 2010 წ. საგადასახადო კოდექსი) შეიტანა transfer pricing კონცეფცია. transfer pricing კონკრეტული რეგლამენტი ძალაში შევიდა 2011 წ. 1 იანვრიდან. კანონი შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპებს (OECD). საგადასახადო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეკრულებები (TIEAs) ხელმოწერილი არ არის, თუმცა 49 იურისდიქციასთან ხელმოწერილია 50 ორმაგი საგადასახადო კონვენცია.

საგადასახადო კოდექსში მითითებულია, რომ საგადასახადო ადმინისტრაციას შეუძლია გადაიანგარიშოს გადასახადები, თუ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ შესაბამისი მხარეების მიერ გამოყენებული გადარიცხვების (ტრანზაქციების) ფასები განსხვავდება საბაზრო ფასებისგან.

საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციას შეუძლია შეაფასოს გადარიცხვის განფასება კონტროლირებად ტრანზაქციებში, რომელშიც სხვადასხვა იურისდიქციის წარმომადგენელი მხარეები მონაწილეობენ, ან საერთაშორისო კონტროლირებად ტრანზაქციებში. transfer pricing რეგლამენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას კონტროლირებად ტრანზაქციაში საქართველოს კომპანიებს შორის ან დამოუკიდებელი მხარეების ტრანზაქციებში, თუ ერთერთი მხარე დაბალი გადასახადების მქონე ზონის რეზიდენტია ან რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში (FIZ). საგადასახადო ადმინისტრაციამ შეიძლება გამოიყენოს transfer pricing რეგლამენტი იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზაქცია სრულდება ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათი ურთიერთობა ზემოქმედებას არ ახდენს ტრანზაქციის შედეგებზე), ან ისეთი ტრანზაქციებში, როდესაც საგადასახადო ადმინისტრაციას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ტრანზაქციის მონაწილე მხარეების მიერ დეკლარირებული ფასი განსხვავდება საბაზრო ფასისგან (UHY 2015).
„ურთიერთდაკავშირებული მხარეების“ განმარტება მოცემულია საგადასახადო კოდექსის (2011 წ. 1 იანვარი) მე-19 მუხლში. მხარეები ითვლებიან ურთიერთდაკავშირებულად, თუ მათ ურთიერთობას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

დამოუკიდებელ კონტრაგენტებს შორის [ტრანზაქციები] ადმინისტრაციის მიერ შეიძლება შეფასდეს შემდეგი მეთოდებით: შედარებითი არაკონტროლირებადი მეთოდით; გადაყიდვის ფასის მეთოდით; დამატებითი ხარჯების (Cost plus) მეთოდით; სუფთა მოგების მარჟის მეთოდით ან მოგების დანაწილების მეთოდით. Cost plus მეთოდის შერჩევის შემთხვევაში კანონი მიუთითებს, რომ ფასის გაზრდის კოეფიციენტის საბაზისო დონე უნდა განისაზღვროს არა-ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის ანალოგიური ტრანზაქციების მიხედვით. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ ეცდება მთავრობა აღნიშნული საბაზისო დონის მოთხოვნის შესრულებას. მტკიცების ვალდებულება ეკისრება გადასახადის გადამხდელს, რათა დააკმტკიცოს, რომ დაცულია ფასების მისაღებობა.

საგადასახადო ადმინისტრაციისთვის transfer pricing დოკუმენტაციის წარდგენის წესები და ინსტრუქციები განსაზღვრულია ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, სადაც ასევე აღწერილია ადმინისტრაციის მიერ შეფასების მეთოდები. მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულება და

ფასების სამართლიანობის მამტკიცებელი შესაბამისი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნას შემოსავლების სამსახურში.

რისკის აღწერა
transfer pricing რეგულირება ხდება ზოგადი საგადასახადო აუდიტის დროს შესაბამისი კონტროლის საშუალებით. აუდიტის ჩატარება შეიძლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ, თუ არ არსებობს სარწმუნო ინფორმაცია გადასახადისგან თავის არიდების შესახებ.

PWC, 2013/14 წ.წ. transfer pricing საერთაშორისო წიგნში მიუთითებს, რომ ექსპორტი და იმპორტი ტრანზაქციების სარისკო სფეროებს წარმოადგენს. კომპანიებში ტარდება ზოგადი საგადასახადო აუდიტი, და გადასახადისგან თავის არიდებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში მათ უნდა წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია. ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე (არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციები, მაგ. თბილისის ლიბერალური აკადემია) თვლის, რომ საგადასახადო კანონმდებლობა კარგად სრულდება. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ უკანასკნელ წლებში არ მოიპოვება რეალური ფაქტები ან სხვა სახის ცნობები მექრთამეობის შემთხვევების თაობაზე საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების თავიდან არიდების მიზნით. არ ყოფილა transfer pricing გამოვლენილი შემთხვევები ხე-ტყით ვაჭრობასთან მიმართებაში და ზოგადად ითვლება, რომ მერქნისა და მერქნის პროდუქციის სავაჭრო ღირებულება არის დაბალი.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.19 საბაჟო რეგულაციები (დასკვნა: დაბალი რისკი)

კონტექსტი - საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა საექსპორტო/ საიმპორტო ლიცენზიები, პროდუქტის კლასიფიკაცია (კოდები, რაოდენობა, ხარისხი და სახეობები).

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs of - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.

• ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ (2012 წ.) - ფინანსთა მინისტრის 2012 წ. 26 ივლისის ბრძანება # 179 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკსნონმდებლო მაცნეს ოფციიალური ვებ-გვერდი, 31.07.2012 წ.) / 64 შემასწორებელი ბრძანებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია ფინანსთა მინისტრის 01.09.2015 წ. # 285 ბრძანებით.

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

საქართველოს სადაგასახადო კოდექსი (2010 წ.) / საქართველოს 2010 წ. 17 სექტემბრის კანონი # 3591-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I,ტ. 54, 12.10.2010 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 04.08.2015 წ. მდგომარეობით / 94 შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ/ უკანასკნელი შესწორება შეტანილია საქართველოს 22.07.2015 წ. კანონით # 4088-rs - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 04.08.2015 წ.[ინგლისურენოვანი ვერსია]
https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717

• ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ (2012 წ.) - ფინანსთა მინისტრის 2012 წ. 26 ივლისის ბრძანება # 179 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკსნონმდებლო მაცნეს ოფციიალური ვებ-გვერდი, 31.07.2012 წ.) / 64 შემასწორებელი ბრძანებით შეტანილი ცვლილებებითურთ/ ბოლო შესწორება შეტანილია ფინანსთა მინისტრის 01.09.2015 წ. # 285 ბრძანებით.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1709684

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

• საბაჟო დეკლარაცია
• სატრანსპორტო ზედდებული
• მერქნისა და მერქნის პირველადი პროდუქტების წარმოშობის სერტიფიკატი
• ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი მერქანსა და მერქნის პირველად პროდუქტებზე

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -

სამთავრობო წყაროები

საქართველოს სატყეო სააგენტოს 2014 წ. და 2015 წ. პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებები
http://forestry.gov.ge/ge/public-information/general-information

პერსონალური კომუნიკაცია მერაბ არახამიასთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან და მიხეილ ქავთარაძესთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელთან, 2015 წლის 4 ოქტომბერს.

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა

2015 წლის აგვისტოდან საქართველოდან მერქნის და მერქნული პროდუქტების ექსპორტის მიმართ დაწესებულია სპეციალური მოთხოვნები.

2010 წლის საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება და რეგისტრაცია რეგულირედება 2012 წლის ინსტრუქციით (ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და რეგისტრაციის შესახებ, 2012 წ.).

2012 წ. ინსტრუქციაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და რეგისტრაციის შესახებ მოცემულია საბაჟო ფორმალობების ზოგადი წესები (2012 წ. ინსტრუქციის მუხლი 4). ზემოთ მითითებული წესების მიხედვით ნებისმიერი საექსპორტო და იმპორტირებული საქონლის საბაჟო ფორმალობებისთვის საჭიროა ზოგადი საბაჟო დეკლარაციის, სატრანსპორტო ზედდებულის და სახელშეკრულებო და ფინანსური ინფორმაციის წარდგენა. დამატებითი დოკუმენტაცია (სპეციალური ნებართვების, სერტიფიკატების) შეიძლება მოთხოვნილ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის ექსპორტი ან იმპორტი დაკავშირებულია, სხვა გარემოებებთან ერთად, დაუმუშავებელ მორებთან და პირველად მერქნულ პროდუქტებთან. ეს დოკუმენტაცია (საბაჟო დეკლარაციასთან ერთად) მოიცავს:

• მერქნის და პირველადი მერქნული პროდუქტების წარმოშობის სერტიფიკატს (გაიცემა სატყეო ადმინისტრაციის - ეროვნული სატყეო სააგენტო მიერ, დოკუმენტი იძლევა ხე-ტყის პირველადი წყაროს მიკვლევის შესაძლებლობას)

• მერქნისა და პირველადი მერქნული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას

იგივე პროცედურას დაქვემდებარებული სხვა პროდუქტებია: CITES -ის დანართებში ჩამოთვლილი სახეობები; მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება ფიტოსანიტარულ კონტროლს; არა-იოდიზირებული მარილი; საიმპორტო ნებართვა ვეტერინარულ კონტროლ დაქვემდებარებული პროდუქტებისთვის; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები; საბრძოლო იარაღი, საბრძოლო მასალები; ორმაგი გამოყენების პროდუქტები.

საბაჟო დეკლარაცია შეიძლება შეივსოს ელექტრონულად ან ხელით საზღვარზე, და სისტემა დაკავშირებულია საგადასახადო სისტემასთან.

ამგვარად, საქართველოდან მერქნისა და მერქნული პროდუქტების ექსპორტისადმი სპეციალური მოთხოვნები (როგორიცაა წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ხელშეკრულება - ყიდვის შემთხვევაში) მოქმედებს აღნიშნული საბაჟო რეგულაციების ფარგლებში. ხე-ტყის ექსპორტი და იმპორტი რეგისტრირდება წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დონეზე და იზომება როგორც კუბური მეტრებით, ასევე ტონებით. დოკუმენტების გადამოწმება შეიძლება განხორციელდეს საბაჟო პუნქტში, ობიექტურად გამართლებული ეჭვის შემთხვევაში. საჭირო დოკუმენტების არ-წარდგენის შემთხვევაში ექსპორტი არ არის ნებადართული.

რისკის აღწერა
არ არსებობს ჩანაწერები, რომლებიც მიუთითებს არსებული საბაჟო მოთხოვნების დარღვევაზე მერქნისა და მერქნული პროდუქტების ექსპორტთან მიმართებაში. ჯერ არ ყოფილა მიკვლეული შეუსაბამობა დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის გადამოწმებისას.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.20 CITES (დასკვნა: დაბალი რისკი)

Context - CITES ნებართვები (კონვენცია ასევე ცნობილია როგორც ვაშინგტონის კონვენცია).

მოქმედი კანონები და რეგულაციები (მითითება მუხლზე, პუნქტზე ან მოთხოვნის დონეზე, სადაც შესაძლებელია)

სრული იურიდიული სათაური და შესაბამისი თავის, ნაწილის ან მუხლის მითითება საჭიროებისამებრ

• საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 12 აგვისტოს განკარგულება #524 „გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციასთან (CITES) მიერთების შესახებ / საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებისა და ბრძანებულებების კრებული, 30.08.1996 წ.)

• საქართველოს მთავრობის დადგენილება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2007 წ. 6 თებერვლის დადგენილება #18 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 20, 13.02.2007 წ.) / 6 შემასწორებელი დადგენილებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია მთავრობის 19.03.2015 წ. #119 დადგენილებით

ვებგვერდი მოქმედ კანონმდებლობაზე

• საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 12 აგვისტოს განკარგულება #524 „გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციასთან (CITES) მიერთების შესახებ / საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებისა და ბრძანებულებების კრებული, 30.08.1996 წ.)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/108562

• საქართველოს მთავრობის დადგენილება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2007 წ. 6 თებერვლის დადგენილება #18 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 20, 13.02.2007 წ.) / 6 შემასწორებელი დადგენილებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია მთავრობის 19.03.2015 წ. #119 დადგენილებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/8140

იურიდიული ორგანო (შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენტური ორგანო)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

იურიდიულად მოთხოვნილი დოკუმენტები ან ჩანაწერები (ფორმალურად საჭირო დოკუმენტები ან ჩანაწერები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონიერების მისათითებლად)

CITES -ის დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რე-ექსპორტისა და შემოტანის ნებართვა.

ინფორმაციის წყაროები (რისკის აღწერის, იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, როგორიცაა ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებ-გვერდები, საგაზეთო სტატიები და ა.შ.) -
სამთავრობო წყაროები

• CITES საკონტროლო ჩამონათვალი, წვდომა განხორციელდა 2015 წ. 1 ოქტომბერს
http://checklist.cites.org/#/en/search/country_ids%5B%5D=240&output_layout=alphabetical&level_of_listing=0&show_synonyms=1&show_author=1&show_english=1&show_spanish=1&show_french=1&scientific_name=&page=1&per_page=20

• საქართველოს 2011-2012 წ.წ. ორწლიანი საანგარიშო მოხსენება CITES -ის სამდივნოს
https://cites.org/sites/default/files/reports/11-12Georgia.pdf

რისკის დადგენა - აღწერა, ზღვარი და დასაბუთება: აღწერეთ რისკის შეფასების მოსაზრებები და ინფორმაციის წყაროები

იურიდიული მოთხოვნების მიმოხილვა
საქართველო გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES) კონვენციას მიუერთდა 1996 წ.; საქართველოს ტერიტორიაზე კონვენცია ძალაში შევიდა 1996 წ. 12 დეკემბერს.

2007 წ. შესრულების რეგულაციაში (მთავრობის 2007 წ. 6 თებერვლის დადგენილება #18) მოცემულია CITES -ის დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რე-ექსპორტისა და შემოტანის ნებართვების გაცემის წესები და პირობები.

რისკის აღწერა
CITES -ში ჩამოთვლილი ცხოველებისა და მცენარეების, მათი ნაწილებისა და მათგან დამზადებული ნივთების მესამე ქვეყანაში ექსპორტისთვის CITES-ის კონვენციაში მითითებული ნებართვები და სხვა დოკუმენტები გაიცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის (2012 წ.) მე-4 მუხლის (ნაწ. 4, ქვე-პუნქტი „ა.ა.ი“) შესაბამისად საბაჟო ფორმალობებისთვის საჭიროა CITES-ის ნებართვები და სერტიფიკატები და ამიტომ საბაჟო ფორმალობების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ზემოთ მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

საქართველოში არ არის CITES-ის ჩამონათვალში მითითებული მერქნული სახეობები. გარდა ამისა, CITES-ის სამდივნოსადმი საქართველოს ყოველწლიური ანგარიშებიდან გამომდინარე, არ არის საქართველოდან ექსპორტირებული (არ რე-ექსპორტირებული) ხის სახეობები.

დასკვნა რისკთან დაკავშირებით
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელი 1-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალის რისკის კატეგორია.

1.21 კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების (due diligence / due care) პროცედურებს (არ მიესადაგება საქართველოს პირობებს და, შესაბამისად, არ განიხილება)

სათანადო გულმოდგინების პროცედურების მომცველი კანონმდებლობა, მათ შორის სათანადო გულმოდგინების სისტემები, ვალდებულებათა დეკლარირება და/ ან ვაჭრობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შენახვა, რომელიც აწესებს უკანონოდ დამზადებული მერქნით და ასეთი მერქნისგან მიღებული პროდუქტებით ვაჭრობის პრევენციის პროცედურებს.

ზემოაღნიშნული კანონებიდან და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან არც ერთი შეიცავს ჩანაწერებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხება სათანადო სიფრთხილის პროცედურებს. საქართველოს კანონმდებლობის მონაცემთა ბაზების შემდგომი კვლევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მსგავსი ჩანაწერების პოვნა.

რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები

ინდიკატორი	რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები
1.4 ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე	ზოგადი რეკომენდაციები: - უნდა არსებობდეს ნებართვა ხე-ტყის დამზადებაზე (ლიცენზია ან მსგავსი იურიდიული საბუთი, რომელიც არეგულირებს ტყის რესურსების მოპოვებას). სპეციალურად ქვეყნისთვის: ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ტყეებისათვის – შესწავლილი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს არსებული უახლესი სამთავრობო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ან ეროვნული სატყეო სააგენტო) მონიტორინგის ანგარიშები ტყით სპეციალური სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების თაობაზე. თუ აღნიშნული სახის ანგარიშები არ მოიპოვება, მაშინ დამოუკიდებელმა საველე ინსპექტირებამ უნდა გამოავლინოს/დაადასტუროს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მერქანი დამზადებულია „სპეციალური სარგებლობის ლიცენზიის“ საფუძველზე), რომ ა) ხე-ტყის დამზადების მოცულობა ექცევა ნებართვით გათვალისწინებულ ფარგლებში და ბ) ინფორმაცია ფართობის, სახეობების, მოცულობების, და სხვ. თაობაზე რომელიც მოცემულია ხე-ტყის დამზადების ნებართვაში შეესაბამება რეალურად მოპოვებული რესურსის მაჩვენებლებს და კანონით დადგენილი ლიმიტების ფარგლებშია.
1.8 მერქნის მოპოვების რეგულაციები	ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ტყეებისათვის – შესწავლილი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს არსებული უახლესი სამთავრობო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ან ეროვნული სატყეო სააგენტო) მონიტორინგის ანგარიშები ტყით სპეციალური სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების თაობაზე. თუ აღნიშნული სახის ანგარიშები არ მოიპოვება, მაშინ დამოუკიდებელმა საველე ინსპექტირებამ უნდა გამოავლინოს/დაადასტუროს (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მერქანი დამზადებულია „სპეციალური სარგებლობის ლიცენზიის“ საფუძველზე), რომ ტყის ჭრის წესები და შესაბამისი შეზღუდვები დაცულია (მერქნის დამზადება მოხდა შესაბამისი ტყეკაფის ფარგლებში; ხეების ჭრა არ განხორციელდა იმ ადგილებში, სადაც ეს კანონით აკრძალულია; ხის სახეობები ან ცალკეული ხეები სატყეო უბნის ფარგლებში, რომელთა ჭრაც აკრძალულია, აღნიშნულია საოპერაციო გეგმაში და მონიშნულია ველზე. იხილეთ ასევე სპეციალურად ქვეყნისთვის შემუშავებული პროცედურები ინდიკატორ 1.4-ში - ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე
1.9 დაცული ჰაბიტატები და	- კანონის საფუძველზე შექმნილი ყველა დაცული ტერიტორია (მათ შორის სახეობათა ჰაბიტატები) უნდა აღინიშნოს მართვის გეგმაში ან მსგავს დოკუმენტაციაში.

ინდიკატორი	რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები
სახეობები	ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ტყეებისათვის – შესწავლილი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს არსებული უახლესი სამთავრობო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ან ეროვნული სატყეო სააგენტო) მონიტორინგის ანგარიშები ტყით სპეციალური სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების თაობაზე. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვის ქვეშ დაცულ ტერიტორიებში არსებული სახელმწიფო ტყეებისათვის - გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელმისაწვდომი მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები. იხილეთ ასევე სპეციალურად ქვეყნისთვის შემუშავებული პროცედურები ინდიკატორებში 1.4 - ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე და 1.8 - მერქნის მოპოვების რეგულაციები
1.10 გარემოსდაცვითი მოთხოვნები	ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ტყეებისათვის – შესწავლილი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს არსებული უახლესი სამთავრობო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ან ეროვნული სატყეო სააგენტო) მონიტორინგის ანგარიშები ტყით სპეციალური სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების თაობაზე. თუ აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვება, მაშინ უნდა განხორციელდეს საველე ინსპექტირება/შეფასება (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მერქნის პირველადი წყარო არის „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია“), რამაც უნდა დაადასტუროს, რომ გარემოსდაცვითი მოთხოვნები (ნიადაგის დაცვა, ბუფერული ზონები, შესანარჩუნებელი ხეები, სეზონური ხასიათის შეზღუდვები) შესრულებულია იხილეთ ასევე სპეციალურად ქვეყნისთვის შემუშავებული პროცედურები ინდიკატორ 1.9-ში - დაცული ჰაბიტატები და სახეობები
1.11 ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება გადამოწმებულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ყველა იმ პერსონალთან ვინც მონაწილეობს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებში და ასევე საშტატო თანამშრომლებთან და კონტრაქტორებთან ინტერვიუების გზით, რაც ადასტურებს, რომ კანონით მოთხოვნილი დამცავი აღჭურვილობა სათანადოდ არის გამოყენებული ორგანიზაციის მიერ
1.12 დასაქმება კანონიერი გზით	დამოუკიდებელი შემფასებელი უნდა დააკვირდეს მოთხოვნების შესრულებას ასოციაციის თავისუფლების, ერთობლივი მოლაპარაკების, დისკრიმინაციის არარსებობისა და ბავშვთა შრომის თავიდან აცილების კუთხით, ხე-ტყის დამზადებაში მონაწილე ყველა მუშაკის გამოკითხვით და ინტერვიუების მეშვეობით შესაბამისი სატყეო მეურნეობის/უბნის თანამშრომლებთან (როგორც საშტატო ერთეული, ისე კონტრაქტორები); აღნიშნულმა დაკვირვებამ უნდა ცხადყოს, რომ ეს მოთხოვნები სათანადოდ სრულდება შესაბამის სატყეო მეურნეობაში/უბანზე.

რისკების კატეგორია 2: ხე-ტყის დამზადება ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევის გზით

რისკების შეფასება

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[2]	რისკების შეფასების ფუნქციონალური დონე	რისკის განსაზღვრა და სპეციფიკაცია (თუ არ არის დაბალი რისკი). მიუთითეთ ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც დაკმაყოფილდა. დაასაბუთეთ შედეგი (ყოველი ზღვრული მნიშვნელობისთვის).
2.1. სატყეო სექტორი არ არის დაკავშირებული ძალადობრივ შეიარაღებულ კონფლიქტთან, მათ შორის ისეთთან, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ან რეგიონალ უშიშროებას და/ან უკავშირდება სამხედრო კონტროლს.	იხილეთ დეტალური ანალიზი ქვემოთ.	ქვეყანა	რისკის განსაზღვრა: დაბალი რისკი დასაბუთება: დაკმაყოფილებულია „დაბალი რისკის ყველა ზღვრული მნიშვნელობება“ (1, 2, 3, 4 და 5) და არ არსებობს „სპეციფიური რისკის“ სხვა მტკიცებულება. არ ესადაგება „სპეციფიური რისკის ზღვრული მნიშვნელობები“.
2.2. სამუშაოზე ხდება შრომის უფლებების გათვალისწინება, მათ შორის ILO-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებში მითითებული უფლებებისა.	იხილეთ დეტალური ანალიზი ქვემოთ.	ქვეყანა	რისკის განსაზღვრა: სპეციფიური რისკი დასაბუთება: მიესადაგება სპეციფიური რისკის ზღვრული მნიშვნელობები 14 და 15. დაბალი რისკია იძულებით შრომასთან მიმართებაში
2.3. აბორიგენული და ტრადიციული მოსახლეობის უფლებები დაცულია.	იხილეთ დეტალური ანალიზი ქვემოთ.	ქვეყანა	რისკის განსაზღვრა: დაბალი რისკი დასაბუთება: მიესადაგება დაბალი რისკის ზღვრული მნიშვნელობები 16 და 21.

[2] წარმოადგინეთ დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამოყენებული შეფასებაში მხოლოდ ეს წყაროები.

რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები

ინდიკატორი	რეკომენდებული კონტროლის ღონისძიებები
2.2	კონტროლის ღონისძიებები მიზნად ისახავს, რომ მოხდეს შრომასთან დაკავშირებული უფლებების სრულფასოვნად დაცვა სატყეო ოპერაციების განხორციელებისას მითითება კონტროლის ღონისძიებებისათვის: ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მერქნის დამზადება ხდება ისეთი პრინციპების პატივისცემით, როგორიცაა ასოცირების თავისუფლება, კოლექტიური მოლაპარაკება დამსაქმებელთან, დისკრიმინაციის არარსებობა, ბავშვთა შრომის პრევენცია. ორგანიზაციამ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ მან მიიღო ზომები, რომ არ მოხდეს მერქნის დამზადება აღნიშნული შრომითი პრინციპების მნიშვნელოვანი დარღვევით. არ შეეხება ძალდატანებით შრომას სატყეო სფეროში, რადგან ამ მხრივ საქართველოში პრობლემები არ დაფიქსირებულა

დეტალური ანალიზი

ინფორმაციის წყარო	მტკიცებულება	რისკის შეფასების დონე	რისკის მითითება[3]
კონტექსტი (ქვემოთ მოყვანილი ინდიკატორები გვეხმარება სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის კონტექსტუალიზაციაში) • მონაცემთა ძიება: კორუფციია დონის, მმართველობის, უკანონობის, სახელმწიფოს სისუსტის, ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების, მშვიდობის, ადამიანთა უფლებების, ქვეყნის მიერ ან ქვეყანაში შეიარაღებული ან ძალადობრივი კონფლიქტების შესახებ და ა.შ.			
მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორები მსოფლიოს მასშტაბით - WGI-ებში მოცემულია აგრეგირებული და ინდივიდუალური მმართველობის ინდიკატორები 215 ქვეყნისთვის (უკანასკნელი პერიოდი - 1996- 2012 წ.წ.) მმართველობის ექვსი პარამეტრისთვის: ხმის უფლება და ანგარიშმგებლობა; პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა; მმართველობის ეფექტიანობა; რეგულირების ხარისხი; კანონის უზენაესობა; კორუფციის კონტროლი http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home	http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports (დააწკაპუნეთ ცხრილის დათვალიერების ღილაკზე და აირჩიეთ ქვეყანა) 2013 წ. (უკანასკნელი ხელმისაწვდომი წელი) ექვსივე პარამეტრში ყველა ქვეყანას შორის პროცენტული რანჟირებით საქართველოს ქულა შეადგენდა 30.81-სა (პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობის/ ტერორიზმის არარსებობისთვის) და 73.68-ს შორის (რეგულირების ხარისხისთვის). (ქულების დიაპაზონია 0-დან (ყველაზე დაბალი რანგი) 100-მდე (ყველაზე მაღალი		

[3]რისკის მითითება მოცემულია ყოველი გაანალიზებული წყაროსთვის, გარდა პირველი ნაწილისა, რომელიც შეეხება ქვეყნის ზოგად კონტექსტს, რადგან იგი არ წარმოადგენს რისკის ინდიკატორს. რისკის ჯამური შეფასება რისკის ყოველი ინდიკატორისთვის მოცემულია მწკრივში რისკის ყოველი ინდიკატორის თაობაზე დასკვნასთან ერთად, ყოველი გაანალიზებული წყაროსა და ყოველი მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე.

	რანგი), სადაც მაღალი ქულები შეესაბამება უკეთეს შედეგებს).		
მსოფლიო ბანკის არასტაბილური სიტუაციების ჰარმონიზებული ჩამონათვალი: http://siteresources.worldbank.org/EXTLICUS/Resources/511777-1269623894864/Fragile_Situations_List_FY11_%28Oct_19_2010%29.pdf	ამ ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს		
ჟურნალისტების დაცვის კომიტეტი: დაუსჯელობის ინდექსი ითვლება ჟურნალისტების მკვლელობის გაუხსნელი საქმეების პროცენტული მაჩვენებლით ყოველი ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში. ამ ინდექსის მისაღებად CPJ-მ შეისწავლა ჟურნალისტთა მკვლელობები, რომლებიც მოხდა 2004 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და ჯერ კიდევ გაუხსნელია. ინდექსში შეტანილია მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც ხუთი ან მეტი გაუხსნელი შემთხვევა მოხდა. http://cpj.org/reports/2014/04/impunity-index-getting-away-with-murder.php	ამ ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს		
კარლტონის უნივერსიტეტი: ქვეყნების ინდიკატორები საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში: კარლტონის უნივერსიტეტის წარუმატებელი და არასტაბილური ქვეყნების პროექტი, სტრუქტურული მონაცემებისა და მიმდინარე მოვლენების მონიტორინგის კომბინაციის გამოყენებით, შეისწავლის სახელმწიფოების არასტაბილურობას http://www4.carleton.ca/cifp/ffs.htm	http://www4.carleton.ca/cifp/app/ffs_ranking.php საქართველოს 2012 წლის რანჟირების ცხრილში საშუალო ქულები აქვს (წინასწარი მონაცემები)		
ადამიანთა უფლებების სადარაჯოზე: http://www.hrw.org	https://www.hrw.org/world-report/2015/country-chapters/georgia "საქართველოს მმართველმა კოალიციამ 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება, თუმცა არსებობდა გარკვეული შეშფოთება ოპოზიციის კანდიდატებზე წინასაარჩევნო ზეწოლასთან დაკავშირებით. შეშფოთების გამომწვევი სხვა სფეროებია უმცირესობათა და ქალთა უფლებები. საქართველომ გააღრმავა კავშირები ევროკავშირთან, მოაწერა რა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას (და მოახდინა რატიფიცირება), რაც მჭიდრო კავშირშია პროგრესთან მმართველობისა და ადამიანის უფლებების სფეროში. [..] მაისში პარლამენტმა მიიღო ანტი-დისკრიმინაციული კანონპროექტი რომელიც ითვალისწინებს რასის, სქესის, ასაკის,		

	სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტურობის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვას. ზოგიერთი აკრიტიკებდა კანონპროექტს ეფექტიანი განხორციელების მექანიზმების - მათ შორის დამრღვევებისთვის ფინანსური ჯარიმების დაკისრების არქონის გამო. […] მედიის რეპორტაჟების მიხედვით, 2014 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში სულ ცოტა 23 ქალი დაიღუპა ოჯახური ძალადობისგან. […] განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2011-2013 წ.წ. 7,367 გოგონამ შეწყვიტა სკოლაში სიარული ადრეული ქორწინების გამო. […] ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) მიმდინარეობის მარტის ანგარიშში ევროკავშირი აღნიშნავდა, რომ საქართველო „განაგრძობს რეფორმებისა და დაახლოვების ღონისძიებების განხორციელებას“, თუმცა ასევე აღინიშნა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, შერჩევითი მართლმსაჯულების მოლოდინის თავიდან აცილების, და სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშგებისა და დემოკრატიული ზედამხედველობის საჭიროება.“		
US AID: www.usaid.gov მოძებნეთ [ქვეყნის] ვებ-საიტზე + ‘ადამიანთა უფლებები’ ‘კონფლიქტები’ ‘კონფლიქტური ხე-ტყე’ აფრიკისა და აზიისთვის ასევე გამოიყენეთ: http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnact462.pdf	https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1863/conflict%20mitigation%20factsheet.pdf *USAID კონფლიქტის შერბილება საქართველოში - 2013* “გაზრდილი ჩართულობა და ნდობის დამყარების ღონისძიებები შეამცირებს დაძაბულობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და შესაძლოა დაეხმაროს საქართველოს მშვიდობისა და საბოლოო შერიგებისკენ წინსვლაში.”		
მსოფლიო მოწმე (Global Witness): www.globalwitness.org მოძებნეთ [ქვეყნის] ვებ-საიტზე + ‘ადამიანთა უფლებები’ ‘კონფლიქტები’ ‘კონფლიქტური ხე-ტყე’	www.globalwitness.org საქართველო+ „ადამიანთა უფლებები“ „კონფლიქტები“ „ხე-ტყესთან დაკავშირებული კონფლიქტები“ კრიტერიუმებით ძებნისას სპეციფიურ რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ მოიძებნა		
http://wwf.panda.org/about_our_earth/about_forests/deforestation/forest_illegal_logging/	სტატიაში საქართველო არ არის ნახსენები. http://wwf.panda.org/_core/general.cfc?method=getOriginalImage&uImgID=%26*R\%27!%3EW5%0A საქართველო არ არის აღნიშნული რუქაზე: ქვეყნები, სადაც მერქნის უკანონო დამზადება		

	უფრო დიდი მოცულობით მიმდინარეობს.		
„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის მოლოდინის ინდექსი http://www.transparency.org/cpi2015#results-table	2014 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის მოლოდინის ინდექსის (CPI) მიხედვით საქართველო მსოფლიოში 50-ე იყო, 52 ქულით (0 - ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა - 100 - ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა). ამავე CPI-ის მიხედვით, 2015 წელს საქართველო იყო 48-ე ადგილზე 52 ქულით, ხოლო 2016 წელს, 44-ე ადგილზე 57 ქულით.		
ლონდონის Chattam House-ის ხე-ტყის უკანონო დამზადების ინდიკატორების კონკრეტულ ქვეყანასთან დაკავშირებით მომზადებული მოხსენებითი ბარათი http://www.illegal-logging.info	http://www.illegal-logging.info/content/world-bank-assess-fleg-programme-fulfillment-belarus 2010 წ. 24 მაისი “FLEG [სატყეო კანონაღსრულება და მმართველობა] პროგრამაში მონაწილეობენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია.” http://www.illegal-logging.info/content/georgia-new-phase-forest-reform 2009 წ. 10 მარტი “ეკონომიკის სამინისტრო მარტის ბოლოს აუქციონზე გამოიტანს ლიცენზიებს ტყეების გრძელვადიან ექსპლუატაციაზე - თქვა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, ლაშა ჟვანიამ სატელევიზიო პროგრამა ბიზნეს-კურიერში 2 მარტს. გარემოს დამცველები უკმაყოფილონი არიან, აღნიშნავენ რა, რომ მთავრობა კვლავ იგნორირებას უკეთებს მათ მოწოდებას, რომ დისკუსიებში ჩაერთოს ადგილობრივი მოსახლეობა და სამოქალაქო საზოგადოება. […] საქართველოს ტყის კოდექსის (1999 წ. 22 ივნისი) მიხედვით, ტყის მართვის დაგეგმვა წინ უნდა უსწრებდეს ტყის ნებისმიერი სახით ექსპლუატაციას; თავის მხრივ, ეს ავალდებულებს საქართველოს მთავრობას, რომ უზრუნველყოს საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა მიმდინარე მოვლენების და იმის შესახებ, რომ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საქართველოს სატყეო დეპარტამენტის უფროსმა, პაპუნა ხაჩიძემ, უთხრა GT-ს რომ მიმდინარეობს ამაზე მუშაობა და მარტის ბოლოსთვის დასრულდება ინვენტარიზაცია. […] ბოლო წლებამდე, საქართველოს სატყეო დეპარტამენტი ახორციელებდა ტყის მართვას		

	და გასცემდა ლიცენზიებს მხოლოდ ტყის ერთწლიანი პერიოდით ექსპლუატაციაზე. თუმცა, არასწორმა მართვამ, უკანონო ქმედებებმა და კორუფციამ ბოლო 20 წლის მანძილზე გამოიწვია მერქნის მასიური უკანონო დამზადება და სტიქიური უბედურებები. ამგვარად, სატყეო სექტორში რეფორმების განხორციელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.“		
„საერთაშორისო ამნისტიის“ ყოველწლიური ანგარიში: მსოფლიოში ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა - ინფორმაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების შესახებ, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების; საერთაშორისო მართლმსაჯულების; კორპორატიული ანგარიშმგებლობის; სიკვდილით დასჯის; და რეპროდუქციის უფლებების შესახებ.	https://www.amnesty.org/en/documents/pol10/0001/2015/en/ *„საერთაშორისო ამნისტიის“ 2014-15 წ.წ. ანგარიში: ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა მსოფლიოში* “რელიგიური და სექსუალური უმცირესობები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას და ძალადობას, და, რამდენიმე შემთხვევაში, ვერ შეძლეს შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობა. კვლავ აცხადებენ პოლიციისა და სასჯელაღსრულების ოფიცრების მხრიდან არასათანადო მოპყრობის და ხშირად ასეთი შემთხვევების არასადანადო გამოძიების შესახებ. ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული ოჯახური ძალადობა ქალების წინააღმდეგ. […] 2 მაისს მიღებულ იქნა ანტი-დისკრიმინაციული კანონი, თუმცა ისეთი დებულებების გარეშე, რომლებიც შედიოდა ადრეულ მუშა ვერსიაში. მათ მიხედვით შემოღებულ იქნებოდა ზედამხედველობის დამოუკიდებელი მექანიზმი და ფინანსური ჯარიმები დამრღვევებისთვის. გაიზარდა განხცადებების რაოდენობა ძალადობრივი რელიგიური არა-ტოლერანტობის შემთხვევების შესახებ. ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა, 160 „საერთაშორისო ამნისტიის“ 2014/15 წ.წ. ანგარიში აღნიშნავს განმეორებად ძალადობას და ეფექტიანად იძიებს თავდასხმებს.“		
თავისუფლების სახლი http://www.freedomhouse.org/	http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-world#.U-3g5fl_sVc საქართველოს სტატუსი თავისუფლებასთან დაკავშირებით მსოფლიოში არის „ნაწილობრივ თავისუფალი“. http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-net#.U-3hUvl_sVc საქართველოს სტატუსი ქსელში თავისუფლებასთან დაკავშირებით არის		

	"თავისუფალი". http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-press#.U-3hkvl_sVc საქართველოს სტატუსი პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით არის "ნაწილობრივ თავისუფალი".		
რეპორტიორები საზღვრებს გარეშე: პრესის თავისუფლების ინდექსი	მსოფლიოს პრესის თავისუფლების ინდექსებში საქართველო 30.09 ქულით არის 179-დან მე-100 ადგილზე, რაც ნიშნავს, რომ იგი არის იმ ქვეყნებს შორის მსოფლიოში, რომლებსაც გააჩნიათ „შეზღუდულად კარგი" პრესის თავისუფლება.		
მშვიდობის ფონდი - წარუმატებელი სახელმწიფოების უმაღლესი საგანგაშო ინდექსი - მშვიდობის ფონდი წარმოადგენს ამერიკაში ბაზირებულ არა-კომერციულ კვლევით და საგანმანათლებლო ორგანიზაციას, რომლის მუშაობის მიზანს წარმოადგენს ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია და უსაფრთხოების ხელშეწყობა. წარუმატებელი ქვეყნების ინდექსი არის 177 ქვეყნის წლიური რანჟირება მათი სტაბილურობისა და პოტენციალის საფუძველზე, რომელიც პირველად 2005 წელს გამოქვეყნდა http://www.fundforpeace.org/global/?q=cr-10-99-fs 2014 წ. FFP-მ წარუმატებელი ქვეყნების ინდექსი შეცვალა არასტაბილური ქვეყნების ინდექსით: http://ffp.statesindex.org/rankings-2013-sortable	http://fsi.fundforpeace.org/ წარუმატებელი სახელმწიფოების ინდექსებში საქართველოარის 70-ე ადგილზე 178 სახელმწიფოს შორის (#1 ყველაზე წარუმატებელი სახელმწიფოა). ეს აყენებს საქართველოს კატეგორიაში „გაფრთხილება".		
გლობალური მშვიდობის ინდექსი. ქვეყნდება რა ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მიერ, ეს ინდექსი ეროვნული მშვიდობიანობის წამყვას საზომს წარმოადგენს მსოფლიოში. იგი ახდენს 162 ქვეყნის რანჟირებას ძალადობის არარსებობის მიხედვით. იგი შედგება 23 ინდიკატორისგან, ქვეყნის სამხედრო ხარჯების დონიდან მეზობელ ქვეყნებთან მის ურთიერთობებამდე და ადამიანის უფლებათა პატივისცემამდე. წყარო: „გარდიანი": http://economicsandpeace.org/research/iep-indices-data/global-peace-index	http://static.visionofhumanity.org/sites/default/files/Global%20Peace%20Index%20Report%202015_0.pdf საქართველოში მშვიდობის მდგომარეობა აღნიშნულია როგორც „საშუალო"; საქართველოს 1.973 ქულით (გვ.9) 79-ე ადგილი უკავია 162 ქვეყანას შორის (#1 ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანაა).		

ინფორმაციის დამატებითი წყაროები (ეს წყაროები ნაწილობრივ მოძიებულ იქნა შემდეგი ტერმინების Google-ით ძებნისას" '[ქვეყანა]', 'ხე-ტყე', 'კონფლიქტი', 'მერქნის უკანონო დამზადება')	**მტკიცებულება**	**რისკის შეფასების დონე**	**განსაზღვ-რული რისკი**
https://en.wikipedia.org/wiki/Russo-Georgian_War	"**რუსეთ-საქართველოს ომი** იყო შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოს, რუსეთს და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ თვით-გამოცხადებულ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის. ომი მიმდინარეობდა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთსა და საქართველოს (ადრე ორივე		

	შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში) შორის ურთიერთობის გამწვავების შედეგად. ბრძოლები მიმდინარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამიერკავკასიის რეგიონში, რომელიც ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს. იგი მიჩნეულ იქნა 21-ე საუკუნის პირველ ევროპულ ომად. [...] რუსეთის სამხედრო ძალებს, 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევით, ოკუპირებული აქვთ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი.”		
http://www.illegal-logging.info/regions/georgia	“საქართველოს მთელი ტერიტორიის 39% ტყითაა დაფარული და მისი ფართობი ბოლო ათწლეულის განმაბლობაში წლიურად საშუალოდ 0.1%-ზე ნაკლებით მცირდება (FAO 2010). ქვეყნის ტყიანი ტერიტორიების უმეტესი ნაწილის აღდგენა ბუნებრივად ხდება, 18% პირველადი ტყეებია ხოლო 7% - ტყის კულტურები. (FAO 2010). საქართველოს მთავრობა მონაწილეობს EU-ის ENPI FLEG პროგრამაში – სატყეო კანონაღსრულების და მმართველობის გაუმჯობესება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში – რათა მოაგვაროს ქვეყანაში მერქნის უკანონო დამზადების პრობლემა (ENPI FLEG 2013 წ.).”		
http://www.enpi-info.eu/library/sites/default/files/attachments/4.02.04.Final_Report_Executive_Summary_Georgia_ENG.pdf.	“სატყეო დეპარტამენტის ინფორმაციით, მერქნის უკანონო დამზადების მოცულობა ოთხ საპილოტე მუნიციპალიტეტში [აღმოსავლეთი საქართველო: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, თიანეთის მუნიციპალიტეტი; დასავლეთი საქართველო: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი] 2008-2010 წ.წ. შეადგენდა (ათასი კუბ. მ): • თიანეთის მუნიციპალიტეტი: 2008 წ. – 47.32 ათასი მ3; 2009 წ. – 65.38 ათასი მ3; 2010 წ. – 3.65 ათასი მ3; • ხარაგაულის მუნიციპალიტეტი: 2008 წ. – 85.39 ათასი მ3; 2009 წ. – 32.78 ათასი მ3; 2010 წ. – 18.58 ათასი მ3; • ბორჯომის მუნიციპალიტეტი: 2009 წ. – 13.0 ათასი მ3; 2010 წ. –		

	9.71 ათასი მ3; • საგარეჯოს მუნიციპალიტეტი: 2008 წ. – 40.59 ათასი მ3; 2009 წ.– 67.50 ათასი მ3. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მერქნის უკანონო დამზადების შესახებ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მერქნის **უკანონო** დამზადების ტალღის გამომწვევი ძირითადი **ფაქტორები:** ტყეკაფების შეფერხებით გამოყოფა, ხე-ტყის კანონიერი გზით მოპოვების მოუქნელი ბიუროკრატიული მექანიზმები, ადამიანური რესურსების და ცოდნა-გამოცდილების ნაკლებობა რეგიონალურ სატყეო სამსახურებში, შეშის სიძვირე (პ. 8).		
ეროვნული CW RA-დან: ინფორმაცია ხე-ტყის უკანონო დამზადების შესახებ	არ არის		
დასკვნა ქვეყნის კონტექსტთან დაკავშირებით: საქართველოს საშუალო ქულები გააჩნია კონტექსტის ამ ნაწილში განხილული ინდიკატორების უმეტესობაში, როგორიცაა სტაბილურობა და მმართველობა და იგი ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყანაა საკუთარი მოქალაქეებისთვის. 2008 წ. ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ძალადობრივ და შეიარაღებულ კონფლიქტს რუსეთთან ორი რეგიონის გამო, რომლებიც ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არის სერიოზული პრობლემები ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში, განსაკუთრებით რელიგიურ და სექსუალურ ნიადაგზე დისკრიმინაციასთან, პოლიტიკურ საკითხებთან და ქალთა წინააღმდეგ ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში. მეორე მხრივ, საქართველომ გააღრმავა კავშირები ევროკავშირთან, ხელი მოაწერა რა ასოცირების ხელშეკრულებას (და მოახდინა მისი რატიფიცირება), რომელიც მჭიდრო კავშირშია მმართველობასა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან და ხელს უწყობს ბრძოლას მერქნის უკანონო დამზადებასთან ევროკავშირის ENPI FLEG პროგრამის – სატყეო კანონაღსრულებისა და მმართველობის გაუმჯობესება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან - საშუალებით.	ქვეყანა	
ინდიკატორი 2.1. სატყეო სექტორი არ არის დაკავშირებული ძალადობრივ შეიარაღებულ კონფლიქტთან, მათ შორის ისეთთან, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ ან რეგიონალურ უშიშროებას და/ან დაკავშირებული იქნებოდა სამხედრო კონტროლთან.			
სახელმძღვანელო პრინციპები • ეხება თუ არა ქვეყანას გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა მერქნის ექსპორტთან დაკავშირებით? • ეხება თუ არა ქვეყანას რაიმე სხვა საერთაშორისო აკრძალვა მერქნის ექსპორტთან დაკავშირებით? • არიან თუ არა სატყეო სექტორში ისეთი ადამიანები ან საწარმოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გაეროს სანქციები?			
გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების ჩამონათვალთა სრული კრებული http://www.un.org/sc/committees/list_compend.shtml US AID: www.usaid.gov	არ არსებობს გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა საქართველოდან მერქნის ექსპორტზე. საქართველოს არ ეხება მერქნის ექსპორტის არცერთი სხვა საერთაშორისო აკრძალვა.	ქვეყანა	დაბალი რისკი

„მსოფლიო მოწმე“: www.globalwitness.org	საქართველოს სატყეო სექტორში არ არიან ისეთი ადამიანები ან საწარმოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გაეროს სანქციები.		
ეროვნული CW RA-დან	არ არის ხელმისაწვდომი		
სახელმძღვანელო პრინციპები • წარმოადგენს თუ არა ქვეყანა კონფლიქტური მერქნის წყაროს? თუ ასეა, ეს ქვეყნის დონეზე ხდება, თუ მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში წარმოადგენს პრობლემას? თუ ასეა, რომელ რეგიონებში? • უკავშირდება თუ არა კონფლიქტური მერქანი კონკრეტულ საწარმოებს? თუ ასეა, რომელ საწარმოებს ან რა ტიპის საწარმოებს?			
www.usaid.gov http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnact462.pdf US AID-ის მიერ კონფლიქტური მექანი განისაზღვრება, როგორც: - კონფლიქტი, დაფინანსებული ან არსებული მერქნის მოპოვებისა და რეალიზაციის პროცესში (ტიპი 1), - კონფლიქტი, წარმოშობილი მერქანთან ან ტყის სხვა რესურსებთან დაკავშირებული კონკურენციის შედეგად (ტიპი 2) ასევე გადაამოწმეთ გადაფარვა 2.3 ინდიკატორთან	ვერ მოიძებნა ინფორმაცია რომელიც განაპირობებდა სპეფიციური რისკის კატეგორიის მინიჭებას შემდეგი კრიტერიუმებით ძებნისას: საქართველო + ‘კონფლიქტები’ ‘მერქანთან დაკავშირებული კონფლიქტები’	ქვეყანა	დაბალი რისკი
www.globalwitness.org/campaigns/environment/forests	ვერ მოიძებნა ინფორმაცია რომელიც განაპირობებდა სპეფიციური რისკის კატეგორიის მინიჭებას შემდეგი კრიტერიუმებით ძებნისას: საქართველო + ‘კონფლიქტები’ ‘მერქანთან დაკავშირებული კონფლიქტები’	ქვეყანა	დაბალი რისკი
ადამიანთა უფლებების სადარაჯოზე: http://www.hrw.org/	ვერ მოიძებნა ინფორმაცია რომელიც განაპირობებდა სპეფიციური რისკის კატეგორიის მინიჭებას შემდეგი კრიტერიუმებით ძებნისას: საქართველო + ‘კონფლიქტები’ ‘მერქანთან დაკავშირებული კონფლიქტები’	ქვეყანა	დაბალი რისკი
მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი: ტყეების მართვის ინიციატივის ინდიკატორების ჩარჩოები (ვერსია 1) http://pdf.wri.org/working_papers/gfi_tenure_indicators_sep09.pdf Now: PROFOR http://www.profor.info/node/1998	http://www.profor.info/node/1998 ამ ნაშრომის შედეგად გამოქვეყნდა პუბლიკაცია: ტყის მმართველობის შეფასება და მონიტორინგი: მომხმარებლის სახელმძღვანელო დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის გამოსაყენებლად (მოცემულია ამ გვერდზე), გამოქვეყნებული PROFOR-ის მიერ 2012 წლის ივნისში. ეს ინსტრუმენტი საქართველოში ჯერ არ გამოიყენება	ქვეყანა	დაბალი რისკი
საერთაშორისო ამნისტიის ყოველწლიური	https://www.amnesty.org/en/documents/pol10/000	ქვეყანა	დაბალი

ანგარიში: მსოფლიოში ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა - ინფორმაცია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემების, მათ შორის: გამოხატვის თვისუფლების, საერთაშორისო მართლმსაჯულების; კორპორატიული ანგარიშგების; სასიკვდილო განაჩენის; და რეპროდუქციის უფლებების შესახებ http://www.amnesty.org	1/2015/en/ ინფორმაცია საქართველოასთან დაკავშირებული კონფლიქტური მერქნის შესახებ არ არსებობს		რისკი
მსოფლიო ბანკი: მმართველობის მსოფლიო ინდიკატორები - WGI-ის ანგარიში - ზოგადი და ინდივიდუალური მმართველობის ინდიკატორები 213 ქვეყნისთვის (უკიანასკნელი პერიოდი - 1996–2012 წ.წ.), მმართველობის ექვსი პარამეტრით: ხმის უფლება და ანგარიშმგებლობა; პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა; მთავრობის ეფექტიანობა; რეგულირების ხარისხი; კანონის უზენაესობა; კორუფციის კონტროლი http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home გამოყენებულ იქნა ინდიკატორი 'პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა', რომელიც მიესადაგება ინდიკატორს 2.1	http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#reports 2013 წ. (ბოლო ხელმისაწვდომი წელიწადი) საქართველოს ქულა პოლიტიკურ სტაბილურობასა და ძალადობის არქონაში შეადგენს 30.81 ყველა ქვეყნის პროცენტულ რანჟირებაში (ქულები 0-დან (ყველაზე დაბალი რანგი) 100-მდე (ყველაზე მაღალი რანგი), სადაც ყველაზე მაღალი მნიშვნელობები შეესაბამება უკეთეს შედეგებს).	ქვეყანა	სპეციფიური რისკი
გრინპისი: www.greenpeace.org განხორციელდა 'კონფლიქტური მერქნის [ქვეყანა]' ძიება	ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებული კონფლიქტური მერქნის შესახებ არ არსებობს	ქვეყანა	დაბალი რისკი
CIFOR: http://www.cifor.org/; http://www.cifor.org/publications/Corporate/FactSheet/forests_conflict.htm	საქართველო არ არის ნახსენები ამ დოკუმენტში *ტყეებისა და კონფლიქტების შესახებ*	ქვეყანა	დაბალი რისკი
Google-ით განხორციელდა შემდეგი ტერმინების ძიება '[ქვეყანა]' და ერთერთი შემდეგი ტერმინი ან კომბინაციაში 'კონფლიქტური მერქანი', 'მერქნის უკანონო დამზადება'	ინფორმაცია საქართველოასთან დაკავშირებული კონფლიქტური მერქნის შესახებ არ არსებობს	ქვეყანა	დაბალი რისკი
ეროვნული CW RA-დან	არაა ხელმისაწვდომი		
დასკვნა 2.1 ინდიკატორთან დააკავშირებით: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წყაროში აღნიშნული იყო მერქნის უკანონო დამზადება საქართველოში, არ არსებობდა ინფორმაცია საქართველოს, როგორც კონფლიქტური მერქნის წყაროს შესახებ და სატყეო სექტორი არ არის დაკავშირებული რაიმე სახის ძალადობრივ შეიარაღებულ კონფლიქტთან. **მიესადაგება დაბალი რისკის შემდეგი ზღვრული მნიშვნელობები:** (1) შესაფასებელი ტერიტორია არ წარმოადგენს კონფლიქტური მერქნის წყაროს; და (2) ქვეყანას არ ეხება გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა მერქნის ექსპორტზე; და (3) ქვეყანას არ ეხება რაიმე სხვა საერთაშორისო აკრძალვა მერქნის ექსპორტზე; და (4) ოპერატორები შესაფასებელ ტერიტორიაზე არ არიან ჩართული კონფლიქტური მერქნის		ქვეყანა	დაბალი რისკი

მოწოდება/ ვაჭრობაში; და (5) სხვა არსებული მტკიცებულებები არ აყენებს ეჭვქვეშ „დაბალი რისკის“ მინიჭებას.		

ინდიკატორი 2.2. პატივს სცემენ შრომის უფლებებს, იმ უფლებების ჩათვლით, რომლებიც მითითებულია ILO-ს ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებზე სამუშაო ადგილზე.

სახელმძღვანელო პრინციპები

- მოიცავს თუ არა სოციალურ უფლებებს შესაბამისი კანონმდებლობა მოცემულ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილია თუ არა ამ უფლებებით სარგებლობა? (იხ. კატეგორია 1)
- დაცულია თუ არა ისეთი უფლებები, როგორიცაა შეკრებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები?
- არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს იძულებითიდა/ან ძალდატანებითი შრომის არარსებობას?
- არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დისკრიმინაციის არარსებობას დასაქმებასთან და/ან პროფესიასთან, და/ან სქესთან მიმართებაში?
- არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ბავშვთა შრომის არარსებობას?
- წარმოადგენს თუ არა ქვეყანა ILO -ს შესაბამისი კონვენციების ხელმომწერ მხარეს?
- არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ ნებისმიერი ჯგუფები (მათ შორის ქალები)სათანადოდ დაცულად გრძნობენ თავს ზემოთ აღნიშნულ უფლებებთან მიმართებაში?
- არის თუ არა შრომის უფლებების დარღვევის შემთხვევები კონკრეტულ სექტორებში?

ზოგადი წყაროები FSC-PRO-60-002a V1-0 EN-დან	მოძიებული ინფორმაცია და კონკრეტული წყაროები	რისკის შეფასების დონე	რისკის მითითება
ILO-ს ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირების სტატუსი: http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11001:0::NO:: ან გამოიყენეთ: ILO-ს კონვენციების ძირითადი მონაცემთა ბაზა: http://www.ilo.org/ilolex/english/docs/declworld.htm C29 კონვენცია ძალდატანებითი შრომის შესახებ, 1930 წ. C87 კონვენცია შეკრებისა და ორგანიზების უფლებების შესახებ, 1948 წ. C98 კონვენცია ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების შესახებ, 1949 წ. C100 კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ, 1951წ. C105 კონვენცია ძალდატანებითი შრომის გაუქმების შესახებ, 1957 წ. C111 კონვენცია დისკრიმინაციის (დასაქმება და პროფესიული საქმიანობა) შესახებ, 1958 წ. C138 კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ, 1973 წ. C182 კონვენცია ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდი ფორმების შესახებ, 1999 წ. რატიფიკაცია, როგორც ასეთი, უნდა გადამოწმდეს 1-ლი კატეგორიის მიხედვით. მე-2 კატეგორიაში ჩვენ ვითვალისწინებთ შედეგს. მიუთითეთ მასზე.	http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11200:0::NO:11200:P11200_COUNTRY_ID:102639 საქართველომ მოახდინა ILO -ს რვავე ფუნდამენტური კონვენციის რატიფიცირება. ILO-ს ვებ-გვერდზე რვავე კონვენციის სტატუსია ‘ძალაშია’. http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3191791:NO *პირდაპირი მოთხოვნა (CEACR) - მიღებულია 2014, გამოქვეყნებულია ILC-ს 104-ე სესიაზე (2015 წ.)* *კონვენცია შეკრების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ ,1948 წ. (No. 87) - საქართველო (რატიფიკაცია: 1999 წ.)* “კომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პროფკავშირების ფედერაცია (GTUC) აცხადებს, რომ კოლექტიურ შრომასთან დაკავშირებული დავების მიზეზების (შემზღუდველი) განმარტება, რომელიც მოცემულია კოდექსის 47 (3) მუხლში, პირდაპირ ზღუდავს გაფიცვის უფლებას, რადგან, კოდექსის მიხედვით, გაფიცვა წარმოადგენს კოლექტიური დავის შედეგს. შემდგომ GTUC დამატებით აღნიშნავს, რომ 47 (3) მუხლით, ზოგადი გაფიცვები, გაფიცვები სოლიდარობის მიზნით ან პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან	ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა	დაბალი რისკი სპეციფიური რისკი გაფიცვის უფლებას-თან დაკავ-შირებით სპეციფიური რისკი შეკრების

	დაკავშირებული გაფიცვები ითვლება უკანონოდ. **კომიტეტი თხოვნით მიმართავს მთავრობას, რათა მიუთითოს, შეიძლება თუ არა გაფიცვების კანონიერად ჩატარება იმ მიზეზებით, რომლებიც არ არის ზუსტად ჩამოთვლილი 47 (3) მუხლში და შეიძლება თუ არა კანონიერად ჩატარდეს გაფიცვები, რომლებიც არაა უშუალო კავშირში დავასთან დამსაქმებელსა და მის მიერ დასაქმებულთა შორის, როგორიცაა ქვეყნის ერონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დააკვირებული ზოგადი გაფიცვები.**” http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3191794:NO *დაკვირვების შედეგი (CEACR) - მიღებულია 2014 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 104-ე სესიაზე (2015 წ.)* *კონვენცია შეკრების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ, 1948 წ. (No. 87) - საქართველო (რატიფიკაცია: 1999 წ.)* “ადრინდელ კომენტარებში, კომიტეტმა თხოვნით მიმართა მთვრობას, რათა შეესწორებინა პროფკავშირების შესახებ კანონის 2 (9) მუხლი, რათა შემცირებულიყო პროფკავშირების შესაქმნელად მინიმალური მოთხოვნები წევრების რაოდენობისადმი, რომელიც დაწესებული იყო 100 წევრის ოდენობით. ამასთან მიმართებაში კომიტეტი აღნიშნავს მთავრობის მითითებას, რომ აღნიშნული დებულება შესწორდა 2012 წლის 22 ივნისს და აღნიშნული მოთხოვნა შემცირებულ იქნა 50 წევრამდე. მიესალმება რა ამ პოზიტიურ ნაბიჯს, კომიტეტი იმავდროულად აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად წევრების მინიმალური რაოდენობის მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი კონვენციასთან, ეს რაოდენობა გონივრულად ფიქსირებული უნდა იყოს, რათა არ შეფერხდეს ორგანიზაციების შექმნა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. ***ამიტომ კომიტეტი მიმართავს მთავრობას თხოვნით, რათა გადახედოს, მშრომელებისა და დამსაქმებლების ყველაზე წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, ამ ცვლილების პრაქტიკულ ზემოქმედებას და გადადგას ნაბიჯები მის შესასწორებლად, თუ აღმოაჩენს, რომ ახალი მოთხოვნა მინიმალური ოდენობისადმი მაინც***	ქვეყანა	თავისუფ-ლებასა და ორგანიზე-ბის უფლე-ბასთან დაკავშირე-ბით სპეციფიური რისკი შეკრების თავისუფ-ლებასა და ორგანიზე-ბის უფლე-ბასთან დაკავშირე-ბით

	აფერხებს პროფესიული კავშირების შექმნას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში.“ http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3191575:NO *პირდაპირი თხოვნა (CEACR) - მიღებულია 2014 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 104-ე სესიაზე (2015 წ.)* *კონვენცია ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ, 1949 (No. 98) - საქართველო (რატიფიკაცია: 1993 წ.)* “კონვენციის მუხლი 1. დაცვა დისკრიმინაციისგან კავშირების შექმნასთან დაკავშირებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების ფედერაციის (GTUC) დაკვირვების შედეგები, რომლის მიხედვითაც ხშირად არ ხდება მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების განახლება კავშირის შექმნის ხელის შეშლის მიზნით და აღნიშნავს, რომ ასეთი პრაქტიკა ადვილად განხორციელებადია იმის გამო, რომ შრომის კოდექსში არ არსებობს დებულება, რომელიც დაავალდებულებდა დამსაქმებელს დაასაბუთოს მოკლევადიანი ხელშეკრულების არ-განახლება. იხსენებს რა, რომ კონვენციის 1-ლი მუხლი შეეხება ხელშეკრულებების არ-განახლებას კავშირების არ-შექმნის მიზნით, **კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიუთითოს, მიესადაგება თუ არა შრომის კოდექსის დებულებები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას კავშირის შექმნასთან მიმართებაში მოკლევადიან ხელშეკრულებებს.** მუხლი 4. კოლექტიური მოლაპარაკების ხელშეწყობა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ შესწორებული შრომის კოდექსის 38 (5) მუხლი, რომელიც დაკავშირებულია კოლექტიური შრომითი დავების განხილვასა და მოგვარებასთან, ითვალისწინებს, რომ დავის ნებისმიერ ეტაპზე მინისტრს შეუძლია შეწყვიტოს მორიგების პროცედურები. იმის გათვალისწინებით, რომ შრომით დავებთან დაკავშირებული პროცედურები ისე უნდა იქნას შემუშავებული, რომ ხელი შეუწყოს კოლექტიურ მოლაპარაკებას, კომიტეტი თვლის, რომ მხარეებს უნდა შეეძლოთ მორიგების გაგრძელება, თუ გააჩნიათ ასეთი სურვილი. **კომიტეტი მიმართავს მთავრობას თხოვნით, რომ გადახედოს შრომის კოდექსის 48 (5) მუხლს, მშრომელებისა და**	ქვეყანა	სპეციფიური რისკი თანასწორ ანაზღაუ-რებასთან დაკავშირე-ბით

	დამსაქმებლების შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენელთან კონსულტაციებით, რათა უზრუნველყოს, რომ მისი შინაარსი ხელს უწყობს კოლექტიური შრომითი დავების მოგვარებას მოლაპარაკებების გზით. კომიტეტი სთხოვს მთავრობას, რათა აცნობოს ამ რევიზიის შედეგი.“ http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3145924:NO *დაკვირვების შედეგები (CEACR) - მიღებულია 2013 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 103-ე სესიაზე (2014 წ.)* *კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ, 1951 წ. (No. 100) - საქართველო (რატიფიკაცია: 1993)* “კონვენციის 1 და მე-2 მუხლები. კანონმდებლობა. კომიტეტი წლების განმავლობაში გამოხატავს შეშფოთებას იმ კანონმდებლობის არარსებობის გამო, რომელიც სრულად ასახავდა თანასწორი ანაზღაურების პრინციპს ქალებისა და მამაკაცებისთვის ერთნაირი ღირებულების სამუშაოს შესრულებისთვის. კომიტეტი იხსენებს, რომ კონვენციის პრინციპი არ არის მკაფიოდ ასახული 2006 წლის შრომის კოდექსში, 2 (3) მუხლში, რომელიც შეიცავს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას, კონსტიტუციის მე-14 მუხლში, რომელიც ზოგადად ითვალისწინებს თანასწორობას კანონის წინაშე, ან 2019 წლის 26 მაისს მიღებულ კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთავრობა მიუთითებს თანასწორობასთან დაკავშირებულ დებულებებზე კონსტიტუციაში, შრომის კოდექსსა და სხვა კანონებში, ასევე გენდერული თანასწორობის 2011-2013 წ.წ. სამოქმედო გეგმაზე. კომიტეტი კიდევ ერთხელ იხსენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი არა-დისკრიმინაციული და თანასწორობის დებულებები მნიშვნელოვანია, ისინი, ჩვეულებრივ, არაა საკმარისი კონვენციის ასამოქმედებლად, რადგან მათში არ არის ჩადებული „თანაბარი ღირებულების სამუშაოს“ კონცეფცია. ეს კონცეფცია წარმოადგენს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის ქალებისა და მამაკაცებისთვის თანასწორი ანაზღაურების	ქვეყანა	სპეციფიური რისკი ხელფასის გენდერულ განსხვავე-ბასთან დაკავშირე-ბით

	ფუნდამენტური უფლების და თანასწორობის ხელშეწყობის საფუძველს. ქალთა მისწრაფებების, პრეფერენციებისა და უნარებისადმი ისტორიული მიდგომებისა და სტერეოტიპების გამო, ზოგიერთი სამუშაო უპირატესად ქალებისთვისაა განკუთვნილი (მაგალითად, მოვლასთან დაკავშირებული პროფესიები), ხოლო ზოგიერთი - კაცებისთვის (როგორიცაა მაგ. მშენებლობა). ხშირად, სახელფასო განაკვეთების დადგენისას, „ქალურ სამუშაოებს“ არასათანადოდ აფასებენ მამაკაცის მიერ შესრულებულ იგივე ღირებულების სამუშაოსთან შედარებით. „თანაბარი ღირებულების სამუშაოს“ კონცეფცია უმნიშვნელოვანესია პროფესიის სქესის საფუძველზე დაყოფის საკითხის მოსაგვარებლად, რადგან იგი იძლევა ფართომასშტაბიანი შედარების შესაძლებლობას, მათ შორის, და არა მხოლოდ, თანასწორ ანაზღაურებასთან დაკავშირებით „თანაბარი“, „იგივე“, ან „ანალოგიური“ სამუშაოსთვის, და ასევე მოიცავს სამუშაოს, რომელიც სრულიად სხვა ხასიათისაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, თანაბარი ღირებულებისაა (იხ. ფუნდამენტური კონვენციების ზოგადი მიმოხილვა, 2012 წ., პ.პ. 672 – 670). *ამიტომ კომიტეტი კიდევ ერთხელ დაჟინებით სთხოვს მთავრობას, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას , რათა თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის ქალებისა და მამაკაცებისთვის თანასწორი ანაზღაურების კონცეფცია სრულად აისახოს კანონმდებლობაში, **რათა უზრუნველყოფილ იქნას კონვენციის სრულფასოვანი და ეფექტიანი შესრულება. კომიტეტი კიდევ ერთხელ მიმართავს მთავრობას თხოვნით, რომ მოაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ შორის გენდერული თანასწორობის კომიტეტის მიერ შემუშავებული ნებისმიერი წინადადებები.*** ანგარიშის ფორმის III და IV ნაწილები. აღსრულების უზრუნველყოფა. კომიტეტი ***შეშფოთებით*** აღნიშნავს მთავრობის მითითებას, რომ 2006 წელს შრომის ინსპექციის გაუქმების შემდეგ, აღარ არსებობს შრომის ზედამხედველობის ორგანო. როგორც კომიტეტმა გაიგო მთავრობის მოხსენებიდან, ზედამხედველობის ორგანო, რომელიც მომავალში უნდა შეიქმნას, პასუხისმგებელი	ქვეყანა	სპეციფიური რისკი შრომით ბაზარზე დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირე-ბით

	იქნება მხოლოდ პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის დებულებების აღსრულების უზრუნველყოფაზე. კომიტეტი მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს აღსრულების უზრუნველყოფის ადექვატური და ეფექტიანი მექანიზმების დანერგის საჭიროებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის ქალებისა და მამაკაცებისთვის თანასწორი ანაზღაურების პრინციპის შესრულება პრაქტიკაში და მშრომელებისთვის საკუთარი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. *კომიტეტი სთხოვს მთავრობას, რომ მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს კონვენციის ამ პრინციპის ეფექტიანი აღსრულების უზუნველყოფას. კომიტეტი ასევე მიმართავს მთავრობას თხოვნით, რომ მიიღოს ზომები, რათა აამაღლოს მშრომელთა , დამსაქმებელთა და მათი ორგანიზაციების ცნობიერების დონე არსებულ კანონებსა და პროცედურებთან დაკავშირებით და განამტკიცოს მოსამართლეების, შრომის სფეროში მომუშავე მოხელეებისა და სხვა კომპეტენტური ორგანოების პოტენციალი უთანასწორო ანაზღაურების შემთხვევების მიკვლევასა და მოგვარებაში. გთხოვთ მოგვაწოდოთ ნებისმიერი ინფორმაცია სასამართლოების ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით დაშვებულ გადაწყვეტილებებზე."* http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3145921:NO *პირდაპირი მოთხოვნა (CEACR) - მიღებულია 2013 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 103-ე სესიაზე (2014 წ.)* *კონვერცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ, 1951 წ. (No. 100) - საქართველო (რატიფიკაცია: 1993 წ.)* "ღონისძიებები ხელფასის გენდერული განსხვავების პრობლემის მოგვარებისა და თანაბარი ანაზღაურების ხელშეწყობისთვის. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ მამაკაცებისა და ქალების ნომინალურ ხელფასებთან დაკავშირებით მიწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, მთლიანობაში,2013 წლის პირველ კვარტალში ქალებმა გამოიმუშავეს მამაკაცების ხელფასის 62.3%, რაც შეესაბამება ხელფასის გენდერულ განსხვავებას 37.7%-ით მამაკაცთა	ქვეყანა	სპეციფიური რისკი შრომით ბაზარზე ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

	სასარგებლოდ, რაც წარმოადგენს მცირეოდენ კლებას 2012 წელთან შედარებით, თუმცა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველი, 2012 წლის ანგარიშში, ხაზს უსვამს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გენდერული დაყოფა შრომის ბაზარზე, რადგან, მიუხედავად თავისი კვალიფიკაციისა და განათლებისა, ქალები ჭარბობენ არა-კომერციულ სფეროებში, სადაც ხელფასი შედარებით დაბალია. კომიტეტს სურს გაიხსენოს, რომ ხელფასში გენდერული განსხვავების ხანგრძლივი არსებობა მოითხოვს, რომ მთავრობებმა, დამსაქმებელთა და მშრომელთა ორგანიზაციებთან ერთად, უფრო პროაქტიური ღონისძიებები გაატარონ ცნობიერების ასამაღლებლად, გააკეთონ შეფასებები, და ხელი შეუწყონ და აამოქმედონ ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპების ცხოვრებაში გატარებას. *კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიიღოს ზომები, რათა განსაზღვროს და აღმოფხვრას სახელფასო უთანასწორობის მიზეზები, როგორიცაა გენდერული დისკრიმინაცია, გენდერული სტერეოტიპები ქალთა მისწრაფებებთან მიმართებაში, პრეფერენციებსა და უნარ-შესაძლებლობებთან მიმართებაში, და ვერტიკალური და ჰორიზონტალური პროფესიული სეგრეგაცია, და ხელი შეუწყოს ქალთათვის დასაქმების შესაძლებლობების უფრო ფართო ხელმისაწვდომობას ყველა დონეზე, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მაღალანაზღაურებად სამსახურებში.*	ქვეყანა	სპეციფიური რისკი შრომის ბაზარზე ქალთა დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირე-ბით
	კომიტეტი ასევე სთხოვს თავრობას მიაწოდოს ინფორმაცია ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის დამსაქმებლებისა და მშრომელთა ორგანიზაციებთან ერთად გატარებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისა და თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ. გთხოვთ განაგრძოთ სტატისტიკური მონაცემების მოწოდება მამაკაცებისა და ქალების ყოველთვიური ხელფასების შესახებ ეკონომიკური სექტორების მიხედვით, ასევე ასეთ სექტორებში დასაქმებული მამაკაცებისა და	ქვეყანა	სპეციფიური რისკი სასოფლო-სამეურნეო სექტორში ბავშვთა შრომის გამოყენე-ბასთან დაკავშირე-ბით

	ქალების რაოდენობის შესახებ.“ http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3146413:NO *პირდაპირი მოთხოვნა (CEACR) - მიღებულია 2013 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 103-ე სესიაზე (2014 წ.)* *კონვენცია დისკრიმინაციის შესახებ (დასაქმება და პროფესია), 1958 წ. (No. 111) - საქართველო (რატიფიკაცია: 1993 წ.)* “კონვენციის 1-ლი მუხლი. დისკრიმინაციის აკრძალვა. კომიტეტი იხსენებს, რომ შრომის კოდექსი, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რიგი მიზეზებით შრომით ურთიერთობებში (ნაწ. 2 (3)) კონკრეტულად არ მოიცავს დისრიმინაციას სამსახურში აყვანის ან შერჩევის ეტაპზე და არც განმარტავს დისკრიმინაციას. კომიტეტს ესმის, რომ მიმდინარეობს შრომის კოდექსის რევიზიის პროცესი. ***კომიტეტი სთხოვს მთავრობას, გამოიყენოს შრომის კოდექსის განხილვისა და რევიზიის პროცესის შესაძლებლობები, რათა, კონკრეტული განმარტების მითითებისა და დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის სამსახურში მიღებისა და შერჩევის ეტაპებზე პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აკრძალვის გზით, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს არსებული არა-დისკრიმინაციული დებულებები, და მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულთან მიმართებაში წინსვლის შესახებ.*** სექსუალური შევიწროვება. სექსუალურ შევიწროვებასთან დაკავშირებით კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2010 წლის კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ კრძალავს „სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არა-სასურველ ვერბალურ, არა-ვერბალურ ან ფიზიკურ აქტს, რომლის მიზანს წარმოადგენს ან რომელიც იწვევს პიროვნების ღირსების დაკნინებას ან ქმნის დამამცირებელ, მტრულ ან შეურაცხმყოფელ პირობებს მისთვის“ (ნაწ. 6(1)(ბ)). კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიაწოდონ ინფორმაცია, თუ როგორ, და რომელი ორგანოს მიერ ხდება გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის 6(1)(ბ) ნაწილის ცხოვრებაში გატარება, სანქციებისა და კომპენსაციის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ	ქვეყანა	სპეციფიური რისკი 14-დან 16 წლამდე ბავშვების შრომასთან დაკავშირე-ბით

	ინფორმაცია სექსუალური შევიწროვების იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლოების ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ. მუხლი 1 და 2. ეთნიკური უმცირესობების შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობა. ადრინდელ კომენტარებში კომიტეტმა აღნიშნა ეთნიკური უმცირესობების რაოდენობრივად დაბალი წარმომადგენლობა სახელმწიფო დაწესებულებებში და საჯარო ადმინისტრაციაში, ასევე მათ მიერ ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ შესაძლებლობაზე, რომ შევიდნენ შრომით ბაზარზე. კომიტეტი ითვალისწინებს მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებისთვის გატარებული ღონისძიებების და სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსების პროგრამების შესახებ. *წაახალისებს რა მთავრობას, რომ განაგრძოს ძალისხმევა ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის და მათ მიერ ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებისთვის, კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიაწოდოს ინფორმაცია ასეთი ღონისძიებების შედეგების შესახებ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების დასაქმებასთან მიმართებაში, მათ შორის სტატისტიკური ინფორმაცია საჯარო და კერძო სექტორში მათი წარმომადგენლობის შესახებ. კომიტეტი ასევე სთხოვს მთავრობას მიაწოდოს ინფორმაცია მშრომელთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით თანასწორობის პოლიტიკის ფორმულირებისა და განხორციელების მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯების შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანასწორი შესაძლებლობები და მოპყრობა ეთნიკური უმცირესობებისთვის და ბრძოლა ეთნიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია დასაქმების სფეროში ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი შემთხვევების შესახებ, რომლის თაობაზეც მიმართეს სახალხო დამცველს ან სასამართლოს.* თანასწორი შესაძლებლობები და მოპყრობა მამაკაცებისა და ქალებისთვის. კომიტეტი		

	აღნიშნავს მთავრობის მითითებას იმის თაობაზე, რომ განათლება და საზოგადოების ცნობიერება პრიორიტეტული საკითხებია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში (2011-2013 წ.წ.), რათა მოგვარდეს გენდერული სტერეოტიპების საკითხი. კომიტეტი მიესალმება დეტალურ ინფორმაციას გენდერულ საკითხებზე ჩატარებულ სასწავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ ტრენინგი გენდერულ თანასწორობაზე 2011 წელს გაიარა 575 მასწავლებელმა, ხოლო მედია-კამპანიების, აგრეთვე სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება სისტემატურად ხდებოდა. კომიტეტი ასევე აღნიშნავს მთავრობის მითითებას, რომ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტრო (MoLHSA) აქტიურად იყო ჩართული სემინარში, რომელიც, სხვებთან ერთად, ორგანიზებული იყო გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ „შრომის შესახებ კანონის გენდერულ ასპექტებზე“. **კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიიღოს ზომები, რათა ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას კონკრეტულად დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, ქალთა პროფესიული მისწრაფებების, პრეფერენციებისა და უნარ-შესაძლებლობების სტერეოტიპების პრობლემის მოგვარების ჩათვლით.** **ქალების დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების დონის გათვალისწინებით (შესაბამისად, 57.4% და 49.5% 2012 წ., მაშინ როდესაც კაცების მონაცემები შეადგენდა 78.2% და 65.6%), კომიტეტი სთხოვს მთავრობას მიიღოს ზომები იმ სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ქალებს ხელს უშლის სექტორებისა და დარგების რაც შეიძლება ფართო ასპექტის წვდომაში, და ასევე პასუხისმგებლობის ყველა დონეზე. გთხოვთ განაგრძოთ ინფორმაციის მოწოდება გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების და მისი შედეგების შესახებ, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ დასაქმების სფეროში, მათ შორის, ინფორმაციისა „შრომის შესახებ კანონის გენდერულ ასპექტებზე“ ჩატარებული სემინარიდან გამომდინარე შედეგების შესახებ.”** http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:1310		

	0:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3076087:NO *დაკვირვების შედეგები (CEACR) - მიღებულია 2012 წ., გამოქვეყნებულია ILC-ის 102-ე სესიაზე (2013 წ.)* *კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ, 1973 წ. (No. 138) - საქართველო (რატიფიკაცია: 1996)* "[…] კომიტეტი აღნიშნავს, რომ UNICEF -ის მოხსენების „საქართველო და 2011 წ. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ" მიხედვით, დაწყებით სკოლაში დასწრების სუფთა მაჩვენებელი 2010 წლისთვის იყო 93%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 20,000 დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვი არ იყო შესული სკოლაში; ხოლო საშუალო დონეზე დასწრების სუფთა მაჩვენებელი 86% იყო. შემდგომ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ UNICEF-ის 2009 წ. ქუჩის ბავშვების კვლევის ანგარიშის თანახმად, ოთხ ქალაქში, სადაც კვლევა ჩატარდა - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში საშუალოდ 1,049 ქუჩის ბავშვი იყო, რომელთაგან 66% 5-დან 14 წლამდე ბავშვი იყო. **კომიტეტი წაახალისებს მთავრობას განაგრძოს ძალისხმევა განათლების დარგში ისეთი ღონისძიებების გატარების გზით, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ბავშვებს იარონ სკოლაში და დაასრულონ სავალდებულო განათლება, და უზრუნველყოს უფასო საბაზისო განათლება ყველა ბავშვისთვის, განსაკუთრებით ქუჩის ბავშვებისთვის. იგი სთხოვს მთავრობას მიაწოდოს ინფორმაცია ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების და მიღწეული შედეგების შესახებ.** კომიტეტი აღნიშნავს GTUC -ის მიერ გაკეთებულ კომენტარებს, რომ სტატისტიკური დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, თვითდასაქმებული მცირეწლოვნების რაოდენობა ბევრად მაღალია, ვიდრე ოფიციალურ სექტორში დასაქმებულებისა. შემდგომ, GTUC აღნიშნავს, რომ ბავშვთა შრომა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სასოფლო სამეურნეო სექტორში მოსავლის აღების პერიოდში. კომიტეტი აღნიშნავს მთვრობის მითითებას იმის თაობაზე, რომ ბავშვთა უფლებების განმტკიცების მიზნით ამჟამად მთავრობა შეისწავლის საქართველოს შრომის კანონმდებლობაში მინიმალური ასაკის, ასევე		

	ბავშვთა სამუშაო საათების დებულებების უფრო ზუსტად ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. **კომიტეტი გამოხატავს მტკიცე იმედს, რომ შრომის კოდექსში მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული დებულებების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების მცდელობისას მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყოს კონვენციის გამოყენება ეკონომიკის ყველა დარგში, საოჯახო საწარმოების და მცირე საწარმოების ჩათვლით და მოიცავს ყველა სახის შრომას, იქნება ეს თვითდასაქმება თუ დაქირავებული შრომა, რათა ეროვნული კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. იგი სთხოვს მთავრობას მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი წინსვლის შესახებ ამ მიმართულებით.** […] კომიტეტი აღნიშნავს მთავრობის მითითებას, რომ იგი ცდილობს მოახდინოს შრომის კოდექსის რევიზია ბავშვებისთვის სამუშაო საათების შეზღუდვასთან დაკავშირებული დებულებების შემდგომი განმტკიცების მიზნით. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას, რადგან ეროვნული კანონმდებლობა უფლებას აძლევს 14-დან 16 წლამდე ბავშვებს, იმუშაონ დღეში რვა საათის განმავლობაში. **ამიტომ კომიტეტი დაჟინებით სთხოვს მთავრობას მიიღოს საჭირო ზომები უახლოეს მომავალში, რათა განსაზღვროს მსუბუქი შრომითი საქმიანობა, რომელიც შეიძლება განახორციელონ 14 წელზე უფროსმა ბავშვებმა, და საათების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც, და პირობები, რომლებშიც ასეთი საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს.**"		
ILO-ს დეკლარაცია ფუნდამენტური პრინციპებისა და სამუშაო ადგილზე უფლებების შესახებ. ქვეყნების ანგარიშები. http://www.ilo.org/declaration/lang--en/index.htm წყარო სხვადასხვა ანაგრიშიდან. ძიება სიტყვებით: „რასობრივი დისკრიმინაცია", „ბავშვთა შრომა", „ძალდატანებითი შრომა", „გენდერული თანასწორობა", „გაერთიანების თავისუფლება".	http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_mas/---eval/documents/publication/wcms_374259.pdf *ILO-ს ფუნდამენტური პრინციპებისა და სამუშაო ადგილზე უფლებების დანართებთან დაკავშირებული სტრატეგიების დამოუკიდებელი შეფასება, რევიზირებული რედაქცია 2015 წ. - დანართი 1. კონკრეტული შემთხვევების კლასტერული შესწავლა: კავკასია (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი).* ამ ანგარიშში ძირითადად ციტირებულია წინა სექციებში მოცემული მიგნებები. „რასობრივი დისკრიმინაციის", „ბავშვთა შრომის", „ძალდატანებითი შორმის",	ქვეყანა	-

	„გენდერული თანასწორობის“, „გაერთიანების თავისუფლების“ ძიების შედეგად საქართველოში განსაზღვრულ რისკებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია არ მოიძებნა		
ILO-ს „ბავშვთა შრომის“ ქვეყნის პანელი: http://www.ilo.org/ipec/Regionsandcountries/lang--en/index.htm	http://www.ilo.org/ipec/Regionsandcountries/europe-and-central-asia/georgia/WCMS_201633/lang--en/index.htm საქართველო არ გააჩნია ეროვნული პროგრამები სამართლიანი სამუშაოს სფეროში (DWCP). საქართველოს არ გააჩნია ეროვნული სამოქმედო გეგმა ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელად ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით ვერ მოიძებნა ინფორმაცია, რომელიც განაპირობებდა განსაზღვრულ რისკს.	ქვეყანა	დაბალი რისკი
მსოფლიო მარში ბავშვთა შრომის წინააღმდეგ: http://www.globalmarch.org/	ბავშვთა შრომასთან ან ბავშვებით ტრეფიკინგთან დაკავშირებით ვერ მოიძებნა ინფორმაცია, რომელიც განაპირობებდა განსაზღვრულ რისკს.	ქვეყანა	დაბალი რისკი
გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისარიატის ოფისი (OHCHR), ბავშვთა უფლებების კომიტეტი: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRC/Pages/CRCIndex.aspx	http://tbinternet.ohchr.org/_layouts/TreatyBodyExternal/Countries.aspx?CountryCode=GEO&Lang=EN უფლებათა კომიტეტის უკანასკელი ხელმისაწვდომი დაკვირვების შედეგები CRC-სა და ფაკულტატურ პროტოკოლებთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმართებაში დათარიღებულია 2008 წლით - მოძველებულია. ქვეყნის უკანასკნელი ანგარიშის წარდგენის ვადა იყო 2011 წლის 1 ივლისი, თუმცა ჯერ არ წარდგენილა.	ქვეყანა	-
ILO-ს დახმარების მაგიდა შრომის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ბიზნესის წარმოების საკითხებში: http://www.ilo.org/empent/areas/business-helpdesk/lang--en/index.htm	საქართველოში შრომის უფლებების სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ვერ მოიძებნა	ქვეყანა	-
ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი http://www.ohchr.org/en/hrbodies/cedaw/pages/cedawindex.aspx (გამოიყენეთ ბმული ‘ძირითად დოკუმენტებზე’, მარჯვენა მხარეს. შედით „დაკვირვების შედეგებში: და მოძებნეთ ქვეყანა.) (იხ. CW კატ. 1) ან: მარჯვნივ ზემოთ აირჩიეთ ქვეყანა დააწკაპუნეთ CEDAW შეთანხმებაზე, დააწკაპუნეთ უკანასკენლ საანგარიშო პერიოდზე და აირჩიეთ შესაბამისი დაკვირვების შედეგები	http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en *ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს გაერთიანებულ მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით - 2014 წლის 24 ივლისი.* “10. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დისკრიმინაცია სქესის და გენდერის საფუძველზე აკრძალულია კონსტიტუციით, გენდერული თანასწორობის აქტით,	ქვეყანა	სპეციფიური რისკი ქალთა დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირე-

	დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის აქტით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით. თუმცა კომიტეტი შეშფოთებულია, რომ ამ კანონების არასათანადო შესრულებით, რაც განპირობებულია აღსრულების უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმების არქონით და მათ დებულებებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების არარსებობით. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის აპარატი, ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის აქტის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო, განიცდის სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობას და მისი ბიუჯეტის დაგეგმილი ზრდა უმნიშვნელოა. (გვ. 3) […]16. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის 4 (1) მუხლის შესაბამისი დროებითი სპეციალური ზომების მიზნებისა და საჭიროების არასაკმარისი გაგებით. ამასთან მიმართებაში, იგი შეშფოთებულია სავალდებულო ქვოტების და სხვა ზომების არარსებობით კონვენციის შესაბამისად ყველა სფეროში ქალებისა და მამაკაცების არსებითი დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად, აგრეთვე უნარშეზღუდულ და მარგინალიზირებულ ქალებზე - რომლებიც მრავალი ფორმის დისკრიმინაციას ექვემდებარებიან, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სოფლად მცხოვრები ქალები, უნარშეზღუდული ქალები და ხანში შესული ქალები - მიმართული დროებითი სპეციალური ზომების არარსებობით. (გვ. 5) […]18. კომიეტი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მონაწილე სახელმწიფოს ძალისხმევისა, რომ შეესრულებინა მის ადრინდელ მოსაზრებებში შეტანილი რეკომენდაციები (CEDAW/C/GEO/CO/3, პ. 18), ქალებისა და მამაკაცების როლებიც შესახებ პატრიარქალური მიდგომები და სტერეოტიპები კვლავ ღრმად ფესვგადგმულია საზოგადოებაში და მძიმდება მედიაში ქალების გაზრილი სექსუალიზაციით, რაც საფრთხეს უქმნის ქალების სოციალურ სტატუსს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და პროფესიულ კარიერას. (გვ. 5) […] 28. კომიტეტი შეშფოთებულია ქალების უმუშევრობის არაპროპორციულად მაღალი	ქვეყანა ქვეყანა	ბით სპეციფიური რისკი შრომის ბაზარზე ქალების დისკრიმინა-ციასთან მიმართებაში, განსაკუთრე-ბით ეთნიკუ-რი და რელი-გიური უმცი-რესობის წარმომადგე-ნელი და უნარშზღუ-დული ქალებისა სპეციფიური რისკი შრომის ბაზარზე ქალების დისკრიმინა -ციასთან მიმართებაშ ი

	დონით, სახელფასო განაკვეთის მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებით და კვლავ არსებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციით შრომის ბაზარზე, სადაც ქალები კონცენტრირებულნი არიან დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე. აღნიშნავს რა მონაწილე სახელმწიფო ძალისხმევას ორსული და დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალების დაცვას 2013 წლის შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით, კომიტეტი კვლავ შეშფოთებული რჩება სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ნაკლებობით. კომიტეტი ასევე შეშფოთებით აღნიშნავს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების ამკრძალავი და დეკრეტულ შვეულებაში მყოფი ქალების დამცავი კანონების აღსრულების არასაკმარისი უზრუნველყოფით, რაც განპირობებულია შრომის ეროვნული ინსპექციების ან ანალოგიური აღმასრულებელი მექანიზმების არარსებობით. (გვ. 8) […]34. კომიტეტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ: […] (b) ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა და უნარშეზღუდულ ქალთათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ადექვატური ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება; "(გვ. 10) http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT_CEDAW_NGO_GEO_17610_E.pdf *ალტერნატიული ანგარიში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CEDAW) საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერული პრობლემების შესახებ, მომზადებული ქალთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე 13 ორგანიზაციის და ქალთა 2 ქსელის მიერ - 2014 წლის ივნისი.* "86. 2013 წლის მდგომარეობით, ქალების ეკონომიკური საქმიანობა და მონაწილეობა სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. „გენდერული განსხვავებების მსოფლიო ინდექსების" მიხედვით, საქართველოს 64-ე ადგილი უკავია 164 სახელმწიფოს შორის. იგივე მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით, საქართველო, წინსვლის		

	ნაცვლად, უფრო დაბალ ადგილზე ჩამოვიდა, რადგან 2012 წლის მონაცემებით საქართველო 57-ე, ხოლო 2011 წ. – 54-ე ადგილზე იყო. 87. იგივე მონაცემებით, თანასწორი სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების ინდიკატორის საფუძველზე, საქართველო 14-ე ადგილზეა, ხოლო ქალებისა და მამაკაცების წლიური შემოსავლის პროპორციის მიხედვით - 114-ე ადგილზე. შემოსავლის საშუალო დონე ასევე განსხვავებულია გენდერულ საფუძველზეც. ქალების საშუალო შემოსავალი 2012 წ. სახელმწიფო სექტორში იყო 456.6 ლარი (დაახლოებით 256 USD); ხოლო მამაკაცების - 833.8 ლარი (470.1USD); კერძო სექტორში ქალებს ჰქონდათ 583.9 (328 USD); მამაკაცებს - 968 (545 USD).” (გვ. 12)		
ადამიანთა უფლებების სადარჯოზე: http://www.hrw.org/	მითითებები საქართველოსა და შრომის კანონებთან დაკავშირებით მითითებები არ მოიძებნა	ქვეყანა	დაბალი რისკი
ბავშვთა შრომის ინდექსი-2014 Maplecroft-ის მიხედვით. http://maplecroft.com/portfolio/new-analysis/2013/10/15/child-labour-risks-increase-china-and-russia-most-progress-shown-south-america-maplecroft-index/	2014 წ. ბავშვთა შრომის ინდექსების მიხედვით საქართველოს ქულაა ‘დაბალი რისკი’	ქვეყანა	დაბალი რისკი
http://www.verite.org/Commodities/Timber (სასარგებლო, კონკრეტულად ხე-ტყესთან დაკავშირებით)	ამ საიტზე საქართველო ნახსენები არ არის.	ქვეყანა	დაბალი რისკი
ITUC-ის უფლებების მსოფლიო ინდექსებით რანჟირებულია 139 ქვეყანა საერთაშორისო დონეზე აღიარებული 97 ინდიკატორის გამოყენებით, რათა შეფასდეს, თუ სად არის უკეთ დაცული მშრომელთა უფლებები, კანონით და პრაქტიკულად. კვლევაში მოცემულია ინფორმაცია გაერთიანებების შექმნის, კოლექტიური მოლაპარაკებების და გაფიცვის - როგორც მოცემულია ILO -ს კონვენციებში, კერძოდ, ILO -ს 87-ე და 98-ე კონვენციებში, ასევე ILO-ს საზედამხედველო მექანიზმების მიერ შემუშავებულ სამართლებრივ აქტებში - თავისუფლებასთან მიმართებაში უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. http://www.ituc-csi.org/new-ituc-global-rights-index-the?lang=en	საქართველო კლასიფიცირებულია მე-3 კატეგორიაში – “უფლებების სისტემატიური დარღვევა“ • ქულა: 18-26 • მთავრობა და/ან კომპანიები სისტემატურად ერევიან კოლექტიური შრომის უფლებებში ან სრულად ვერ უზრუნველყოფენ ამ უფლებების მნიშვნელოვან ასპექტებს. კანონებში და/ან პრაქტიკაში არსებობს ხარვეზები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ხშირ დარღვევებს. (გვ. 15)	ქვეყანა	სპეციფიური რისკი გაერთიანე-ბის შექმნის, კოლექტი-ური მოლაპარა-კების და გაფიცვის თავიუფლე-ბასთან და-კავშირებით
ტერმინების '[ქვეყანა]' და შემდეგი ტერმინებიდან ერთერთის - 'შრომის უფლებების დარღვევა', 'ბავშვთა შორიმა', 'ძალდატანებითი შრომა', 'მონური შრომა', 'დისკრიმინაცია', 'გენდერული განსხვავება შრომაში', 'შრომითი კავშირების	http://www.ituc-csi.org/eu-must-act-now-on-labour-rights - 2011 წ. ნოემბერი “საქართველოში თავად მთავრობა ცდილობდა გაეუქმებინა პროფესიული კავშირები, ზოგ შემთხვევაში ძალდატანებით პროპაგანდას	ქვეყანა	სპეციფიური რისკი გაერთიანე-ბის შექმნის, კოლექტი-

უფლებების დარღვევა' 'გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკების თვისუფლების დარღვევა' ძიება Google-ით	უწევდა სახელმწიფო პროფკავშირებს და აკრძალა ნებაყოფლობითი საწევრო გადასახადების გადარიცხვა, რათა გადაეკეტა პროფკავშირების ფინანსური რესურსები. საქართველოს სასამართლოებმა უარყვეს პროფკავშირების აშკარა დისკრიმინაცია, იმის ნაცვლად, რომ გაემართლებინათ პროფკავშირების ხელშეწყობა," განმარტა ITUC-ის გენერალურმა მდივანმა შარან ბაროუმ. „ევროკავშირს არ შეუძლია დართოს ნება, რომ ასეთი ქცევა წახალისდეს." file:///C:/Users/leo2/Downloads/ituc_roadmap_for_georgia_final.pdf *გზამკვლევი საქართველოს საერთაშორისო პროფკავშირების ფედერაციისთვის - ევროპის პროფკავშირების ფედერაციისთვის - 2012 წ. ოქტომბერი* […] საქართველოში ასევე ზედმეტი სამოქალაქო და საჯარიმო სანქციებია არა-ავტორიზებულ გაფიცვებში მონაწილე მშრომელებისა და კავშირებისთვის. გაფიცვის წესების დარღვევისთვის გაფიცვის ორგანიზატორებს შესაძლოა ორი წლით პატიმრობა მიესაჯოთ. საჯარიმო სანქციები მშვიდობიანი თუმცა უკანონო გაფიცვებისთვის ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს. (გვ. 5) […] მთავრობის წარმომადგენლები ღიად ერევიან პროფკავშირების საქმეებში. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ბოლოდროინდელი მაგალითი: <u>განათლება</u>: ESFTUG-ის ლიდერის მანანა ღურჭუმელიძის შევიწრივებამ და დაშინებამ გამოიწვია მისი გადადგომა და კანადისთვის თავშესაფრის მოთხოვნით მიმართვა. ESFTUG -ის წევრებს ძალას ატანდნენ რათა გამოსულიყვნენ კავშირიდან და შესულიყვნენ ყვითელ კავშირში ან დამდგარიყვნენ სამსახურიდან გათავისუფლების რისკის ქვეშ. […] <u>რკინიგზა</u>: 2011 წლის 8 აპრილს ხაშურში, საქართველოს სახელმწიფო რკინიგზის ხაშურის სავაგონო დეპოს უფროსმა უთხრა დელეგატებს, რომ არ დასწრებოდნენ რკინიგზის მშრომელთა პროკავშირის კონგრესს და დაემუქრა სამსახურიდან გათავისუფლებით. […] <u>სამედიცინო სფერო:</u> ამჟამად საავადმყოფოების სექტორს აკონტროლებს ორი კომპანია: ს/ს ალდაგი ბი სი აი და ჯი პი აი ჰოლდინგი. პრივატიზებული საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ამ	ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა	ური მოლაპარა-კების თავიუფლე-ბასთან და-კავშირებით სპეციფიური რისკი გაფიცვის უფლებასთან დაკავშირებით სპეციფიური რისკი გაერთიანე-ბის შექმნის, კოლექტი-ური მოლაპარა-კების თავიუფლე-ბასთან და-კავშირებით დაბალი რისკი გაერთიანებ-ის თავისუფ-ლებასთან,

	ორმა ახალმა მფლობელმა უარი განაცხადა კავშირებთან მოლაპარაკებებზე და აქტიურად მიმართავენ ნებისმიერი ისეთი თანამშრომლის დაშინებას, რომელიც თანამშრომლობს პროფკავშირებთან. […] საჯარო მოხელეები: 2011 წ. აგვისტოში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევის შედეგად, არსებობა შეწყვიტა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის 14-მა ორგანიზაციამ ქალაქისა და რაიონის დონეზე, რაც უდრიდა 2,350 წევრის დაკარგვას. 4 რაიონულ მუნიციპალიტეტში შეწყდა 4 ხელშეკრულება და ვადა გაუვიდა 4 ხელშეკრულებას. (გვ. 10-11).		კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავ-შირებით
	file:///C:/Users/leo2/Downloads/survey_ra_2013_eng_final%20(1).pdf *პროფესიული კავშირების უფლებათა დარღვევის რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნები - 2013 წ.* "2012 წლის საპარლამენტი არჩევნებში გაიმარჯვა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ", რომელსაც სათავეში მილიარდერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ედგა და 150-დან 85 ადგილი მოიპოვა, გამოუცხადა რა მკვეთრი საყვედური პრეზიდენტი	რკინიგზის სექტორი	დაბალი რისკი გაერთიანებ-ის თავისუფ-ლებასთან, კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავ-შირებით
	საკაშვილის გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას. არჩევნებმა შეცვალა მთავრობის დამოკიდებულება პროფკავშირებისადმი. გაგრძელდა მუშაობა დიდი ხნით შეჩერებულ მოლაპარაკეებზე საქართველოს 31 რეფორმებთან დაკავშირებით | რომლებიც შეეხებოდა შრომის შესახებ კანონს და ILO -ს მონაწილეობით შემუშავლა ცვლილებების პროექტი, რომელზეც ამჟამად პარლამენტი გადის პროცედურებს." შემდგომ ამ ანგარიშში აღნიშნულია იგივე დარღვევები, რომლებიც ნახსენები იყო წინა წყაროში.	ქვეყანა	დაბალი რისკი ხელშეკ-რულების-წინა ურთიერ-თობებში დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირე-ბით
	http://www.ituc-csi.org/important-union-victory-in-georgia *კავშირის მნიშვნელოვანი გამარჯვება საქართველოში - 2013 წლის 15 ნოემბერი* "საქართველოს კავშირებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობაზე, რომელიც უარს აცხადებდა მოლაპარაკებაზე სამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რითიც მოახდინა 6,000 თანამშრომლის გაფიცვის პროვოცირება 14 ნოემბერს. გაფიცვის	ქვეყანა	დაბალი რისკი კოლექ-ტიურ მოლაპარა-კებებთან დაკავშირე-ბით

	დაწყების შემდეგ დამსაქმებელი დათანხმდა მოლაპარაკებაზე და 6-საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ მიღწეულო იქნა შეთანხმება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, სამართლიანი ბონუსების სისტემისა და სტაჟისა და კვალიფიკაციის შესაბამისი ბონუსების თაობაზე." http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/Reporting/StateReports/CommentsGTUCGeorgia7_en.pdf *საქართველოს პროფკავშირების ფედერაციის (GTUC) კომენტარები მე-7 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის რევიზირებული სოციალური ქარტიის შესრულებასთან დაკავშირებით - 28/11/2014 წ.* 2013 წ. 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა გარკვეული ცვლილებები და შესწორებები შეიტანა საქართველოს შრომის კოდექსში. საწყის ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციები და სოციალური პარტნიორები, პროფკავშირების ჩათვლით, მონაწილეობდნენ კანონპროექტის შემუშავების მუშა პროცესში. ამ თანამშრომლობის შედეგად პარლამენტის მიერ 2013 წლის 16 მაისს პირველი მოსმენით მიღებული დოკუმენტი ზოგადად შესაბამისობაში იყო შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა, ამ ეტაპის შემდეგ ამ პროცესის ირგვლივ მიმდინარე პროცესები სოციალური პარტნიორობის ფორმატის დარღვევით განვითარდა, რადგან მთავრობამ კონსულტაციები განაგრძო მხოლოდ დამსაქმებლებთან. ამან გამოიწვია მუშა ვერსიის შეცვლა უარესობისკენ მშრომელებისთვის. პროფკავშირმა მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ ინფორმაცია მიიღო ცვლილებების შესახებ. საბოლოოდ, მიღებულ იქნა დოკუმენტი, რომელმაც გარკვეულწილად გააუმჯობესა მშრომელთა მდგომარეობა. სახელდობრ: დისკრიმინაცია აიკრძალა ხელშეკრულების გაფორმების-წინა ურთიერთობებში (მუხლი 2 პ. 3); ზუსტად განისაზღვრა შრომითი ურთიერთობების სუბიექტები; დადგინდა დამსაქმებლების ვალდებულებები; მნიშვნელოვნად შეიზღუდა ზეპირი და მოკლევადიანი ხელშეკრულებები; განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, რომელთა შეცვლა არ შეიძლება დამსაქმებლის ერთპიროვნული	ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა	სპეციფიური რისკი თანასწორ ანაზღაუ-რებასთან დაკავშირე-ბით სპეციფიური რისკი გაერთიანებ-ის თავისუფ-ლებასთან და კოლექტიურ მოლაპარაკებ ებთან დაკავ-შირებით სპეციფიური რისკი ბავშვთა შრომასთან დაკავშირები თ სპეციფიური რისკი შრომის ბაზარზე ქალების დისკრიმი-ნაციასთან დაკავში-რებით სპეციფიური რისკი შრომის ბაზარზე ქალების დისკრიმი-ნაციასთან დაკავშირე-ბით

	გადაწყვეტილებით; ინდივიდუალური ხელშეკრულების ვადა გაუქმებულად ჩაითვლება, თუკი იგი ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს ან კოლექტიურ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს მშრომელის პირობებს. […] მიუხედავად ზემოთ აღწერილი წინსვლისა, კიდევ ბევრი პრობლემური საკითხია კოდექსში და არის შეუსაბამობები ევროპის სოციალურ ქარტიასთან. სხვებთან ერთად, შეიძლება ყველაზე შემაშფოთებლების გამოყოფა: […] <u>მუხლი 4 – სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება</u> […] ქარტიის 4 (3) მუხლი საქართველოსგან ითხოვს ერთნაირი ღირებულების სამუშაოს შესრულებისთვის ქალებისა და მამაკაცების შრომის თანასწორ ანაზღაურებას. საქართველოს შრომის კოდექსის 2 (3) მუხლი ითვალისწინებს დასაქმებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის - მათ შორის სქესის საფუძველზე - ზოგად აკრძალვას. შესაბამისად, ამ დებულებიდან გამომდინარე, აკრძალულია ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დიფერენციაცია მამაკაცსა და ქალს შორის. თუმცა ეს ზოგადი დებულება შეიძლება არ ჩაითვალის საკმარის სამართლებრივ მექანიზმად ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ყოველმხრივი და ეფექტიანი განხორციელებისთვის. გარდა ამისა, დებულება არ იძლევა არაპირდაპირი დისკრიმინაციის განმარტებას. საქართველოს შრომის კოდექსის 2 (3) მუხლიდან გამომდინარე, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა არ არის საკმარისი სამართლებრივი მექანიზმი თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისთვის მამაკაცებისა და ქალებისთვის თანასწორი ანაზღაურების უფლების გარანტიის უზრუნველსაყოფად. <u>მუხლი 5 – ორგანიზების უფლება და მუხლი 6 – კოლექტიური მოლაპარაკების უფლება.</u> სოციალური დიალოგის განვითარება გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების ეფექტური განხორციელების გზით არ არის წახალისებული საწარმოო ურთიერთობების ყველა დონეზე. ასეთი განვითარება გულისხმობს დამსაქმებელსა და მშრომელს შორის შრომითი ურთიერთოებების	ქვეყანა ქვეყანა	სპეციფიური რისკი სასოფლო-სამეურნეო სექტორში (მათ შორის სატყეო) ბავშვთა შრომასთან დაკავშირე-ბით სპეციფიური რისკი იძულებით

	განსაზღვრას კოლექტიური ხელშეკრულებით. ეს წარმოადგენს ILO-ს 87-ე და 98-ე კონვენციების, ევროპის სოციალური ქარტიის მე-5 და მე-6 მუხლების და მრავალი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტისდ მოთხოვნას […] <u>მუხლი 7 ბავშვთა და ახალგაზრდათა დაცვის უფლება.</u> საქართველოს შრომის კოდექსი ადექვატურად ვერ არეგულირებს ბავშვთა შრომის პრინციპებს. მაგალითად, ახალგაზრდა მშრომელების სამართლიანი ანაზღაურების უფლება და შეგირდების სამართლიანი ხელფასის უფლება გარანტირებულია ამ მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტებით. <u>მუხლი 8 - დასაქმებული ქალის დედობის დაცვის უფლება.</u> შრომის კოდექსის 35.7 მუხლის თანახმად, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა სამუშაოსგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის და ნაყოფის ფიზიკურ და ფსიქიურ ჯარნმთელობას, თუმცა არ არის იგივე აკრძალვა იმ ქალებთან მიმართებაში, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ბავშვი გააჩინეს და მეძუძურ ქალებთან მიმართებაში, რაც ეწინააღმდეგება ქარტიის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტს. კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას გაატაროს ღონისძიებები რათა უზრუნველყოს: 1) დამსაქმებლის ვალდებულება, რომ შეუნარჩუნოს ორსულ ქალს ხელფასი დეკრეტული შვებულების აღებამდე, თუ საჭიროა სამუშაო ადგილის შეცვლა ან სამუშაო საათების შეკვეცა, 2) გონივრული დროის განმავლობაში ქალის დაცვა სამუშაოდან გათავისუფლებისგან დეკრეტული შვებულების გამოყენების შემდეგ, 3) დამსაქმებლის/ სახელმწიფოს ვალდებულება, რომ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შემდეგ ქალს ჩაუტაროს უფასო პროფესიული ტრენინგი, რათა აღიდგინოს/ გაიუმჯობესოს პროფესიული უნარები ობიექტური მიზეზების გამო ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. […] <u>მუხლი 27 – ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მშრომელების თანასწორი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება.</u> შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს საკმარის მექანიზმებს ოჯახური პასუხისმგებლობების მქონე მშრომელების თანასწორი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყობის უფლების რეალიზაციისთვის, გათვალისწინებული არ	ქვეყანა ქვეყანა	შრომასთან დაკავშირე-ბით დაბალი რისკი შრომის საფასურის გენდერულ განსხვავე-ბასთან დაკავშირე-ბით სპეციფიური რისკი გაერთიანე-ბის თავი-სუფლებასა და კოლექ-ტიურ მოლაპარა-კებასთან დაკავშირე-ბით

	არის ამ კატეგორიის მშრომელთა ინტერესები შრომის და სოციალური პირობების დადგენის პროცესში. არც შრომის კოდექსი და არც რომელიმე სხვა ნორმატული აქტი არ ითვალისწინებს რაიმე შეღავათს ოჯახური პასუხზისმგებლობის მქონე მშრომელი ქალებისთვის. http://www.dol.gov/ilab/reports/child-labor/georgia.htm 2013 წელს საქართველომ ოდნავი პროგრესი განიცადა ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდი ფორმების აღმოფხვრის ძალისხმევაში. […] თუმცა ბავშვები საქართველოში კვლავაც ჩართულნი არიან ბავშვთა შრომაში სოფლის მეურნეობაში და ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდ ფორმაში - იძულებით მათხოვრობაში. გარღვევები რჩება აღსრულების უზრუნველყოფასა და მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებაში, რაც აფერხებს პოლიტიკისა და პროგრამების უკეთ მიმართვას ბავშვთა შრომის ყველაზე ცუდი ფორმების პრობლემის მოსაგვარებლად. http://www.gfb.org/aboutus/georgia_agriculture.html **2013 წ. საქართველოს პროდუქციის რანჟირება** (ადგილზე გასაყიდი ღირებულების მიხედვით) **1. ბროილერი** **2. ბამბა** **3. კვერცხი** **4. საქონლის ხორცი** **5. ხე-ტყე** **6. სიმინდი** **7. მიწის თხილი** **8. რძის პროდუქტები** **9. ცხენები** **10. ამერიკული თხილი** **11. მოცვი** **12. სათბური** ***ინფორმაცია აგრობიზნესისა და ეკონომიკური განვითარების UGA ცენტრიდან*** სასოფლო-სამეურნეო სექტორი მოიცავს ხე-ტყეს და ამგვარად მეტყევეობასაც.		

	http://www.refworld.org/topic,50ffbce582,50ffbce5b2,55b73beec,0,,,GEO.html *აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წ. ანგარიში ადამიანებით ტრეფიკინგის შესახებ - საქართველო* საქართველო არის წყარო, სატრანზიტო ქვეყანა და დანიშნულების ქვეყანა ქალებისა და გოგონების სექს-ტრეფიკინგისთვის და მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების იძულებითი შრომისთვის. […] ქართველი მამაკაცები და ქალებიც ექვემდებარებიან იძულებით შრომას საქართველოს ფარგლებში და თურწეთში, ერაყში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში. ქართველი მიგრანტები, რომლებიც ეძებენ დასაქმებას სოფლიოს მეურნეობაში და სხვა დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე, პირდაპირ უკავშირდებიან დამსაქმებლებს ან აგენტებს, და მხოლოდ შემდეგ, დანიშნულების ქვეყანაში ხდებიან მსხვერპლნი. ბოლო წლებში ხდება სხვა ქვეყნის მოქალაქეების ექსპლუატაცია საქართველოში სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, და სახლის საქმეში. http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2014/economies/#economy=GEO საქართველო 85-ე ადგილზეა (ქულა: 0.6855) 142 ქვეყანას შორის 2014 წლის გენდერული განსხვავების მსოფლიო ინდექსების მიხედვით. ყველაზე მაღალი ქულაა 1 (თანასწორობა), ხოლო ყველაზე დაბალი შესაძლო ქულა - 0 (უთანასწორობა). თუმცა საქართველო 29-ე ადგილზეა 0.72 ქულით ერთნაირი სამუშაოსთვის ანაზღაურების თანასწორობის საკითხში. საქართველო 66-ე ადგილზეა 0.675 ქულით ეკონომიკური მონაწილეობის საკითხში. file:///C:/Users/leo2/Downloads/survey_global_rights_index_2015_en.pdf *ITUC-ის 2015 წლის უფლებების მსოფლიო ინდექსები* ამ ანგარიშში ჩამოთვლილია შრომითი კავშირების უფლებების რამდენიმე დარღვევა საქართველოში: “კომპანიების RMG Gold და RMG Copper ჩარევის აქტები: კომპანიები RMG Gold და RMG Copper ჩართულნი არიან ჩარევის სერიოზულ აქტში, რათა საფრთხე შეექმნას		

	საქართველოს მეტალურგიის, სამთო მოპოვებისა და ქიმიის დარგის მშრომელთა პროფკავშირს (TUMMCWG). [...] დამოუკიდებელი კავშირისთვის საფრთხის შექმნის მცდელობა: საქართველო რკინიგზა ბონუსებს აძლევდა თანამშრომლებს, რომლებიც შედიოდნენ დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ ყვითელ კავშირში. […] საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი არღვევს კოლექტიურ ხელშეკრულებას: მას შემდეგ, რაც ლევან ჩიკვაიძე გახდა „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი, მან გაათავისუფლა 120-ზე მეტი თანამშრომელი და ჩაანცვლა ისინი მეგობრებით და ნათესავებით. […] თბილისის მერია უარს აცხადებს მოლაპარაკებაზე: 2013 წლის 24 იანვარს თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს თანამშრომლებმა შექმნეს პროფკავშირი. თუმცა ხელმძღვანელობა უარს აცხადებს პროფკავშირის აღიარებაზე კოლექტიური მოლაპარაკების მიზნებისთვის. […] კავშირის შექმნასთან დაკავშირებული დისკრიმინაცია ბათუმის ავტოტრანსპორტში: ბათუმის ავტოტრანსპორტი არის ბათუმის მუნიციპალიტეტის კუთვნილი კომპანია და ჩართულია დისკრიმინაციულ პრაქტიკაში პროფკავშირის წევრების წინააღმდეგ.		
დამატებითი ზოგადი წყაროები	**დამატებითი კონკრეტული წყაროები**		
	დამატებითი რესურსები არ მოიძებნა	ქვეყანა	-
ეროვნული CW RA-დან	არ არის		
დასკვნა 2.2 ინდიკატორისთვის: • საქართველოში მოქმედ შესაბამის კანონმდებლობაში ყველა სოციალური კანონი არ არის შესული: შრომის კოდექსი, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რიგი შრომითი ურთიერთობების ნიადაგზე (ნაწ. 2(3)) გარკვევით არ მოიცავს დისკრიმინაციას სამუშაოზე მიღების ან შერჩევის ეტაპზე და არც განმარტავს დისკრიმინაციას. ეროვნული კანონმდებლობა ნებას რთავს 14-დან 16 წლამდე ბავშვებს რომ იმუშავონ დღეში რვა საათი. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელშიც სრულყოფილად გამოიხატებოდა თანაბარი ღირებულიბის სამუშაოს შესრულებისთვის ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი ანაზღაურების გაცემის პრინციპი. მას შემდეგ, რაც 2006 წელს გაუქმდა შრომის ინსპექციის სამსახურიაღარ არსებობს შრომის ზედამხედველობის ორგანო. (იხ. კატეგორია 1). • არ სრულდება გაერთიანების შექმნისა და კოლექტიური მოლაპარაკების თავისუფლების უფლებები: ხშირია დასაქმების მოკლევადიანი ხელშეკრულებების არ-განახლების შემთხვევები, მიმართული გაერთიანების წინააღმდეგ; ITUC-ის უფლებების მსოფლიო ინდექსებში საქართველო კლასიფიცირებულია მე-3 კატეგორიაში: „გაერთიანების, კოლექტიური მოლაპარაკებისა და გაფიცვის თავისუფლების უფლებათა სისტემატური დარღვევა.“ საქართველოს გააჩნია ზედმეტი სამოქალაქო და საჯარიზო სანქციები არა-ავტორიზებულ გაფიცვებში მონაწილე მშრომელებისა და კავშირების წინააღმდეგ. მთავრობის წარმომადგენლები ღიად ერევიან პროფკავშირების საქმეებში	ქვეყანა	სპეციფიური რისკი

დავის ნებისმიერ ეტაპზე, მინისტრს შეუძლია მორიგების პროცედურების შეწყვეტა. • არსებობს იძულებითი და/ან ძალდატანებითი შრომის მტკიცებულება, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ფართოდაა გავრცელებული, რადგან მხოლოდ ერთი წყარო აღნიშნავს ამას ციფრებისა და კვალიფიკაციის გარეშე, რაც ამართლებს დაბალ რისკს ამ საკითხთან დაკავშირებით. • არსებობს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დისკრიმინაციას დასაქმებასთან და/ან პროფესიულ საქმიანობასთან და/ან გენდერთან მიმართებაში: ქალების უმუშევრობის არაპროპორციულად მაღალი დონე, ხელფასის მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება და ჯერ კიდევ არსებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია შრომის ბაზარზე, სადაც ქალები თავმოყრილნი არიან დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე. თუმცა გენდერული განსხვავების მსოფლიოს ინდექსების (2014 წ.) მიხედვით საქართველო ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის თანასწორი ანაზღაურების საკითხში 29-ე ადგილზეა 142 ქვეყანას შორის 0.72 ქულით. უმაღლესი ქულაა 1 (თანასწორობა) ხოლო ყველაზე დაბალი ქულაა 0 (უთანასწორობა), რაც ამ რისკს საერთაშორისო თვალსაზრისით დაბალ კატეგორიას ანიჭებს. კონსტიტუციის, გენდერული თანასწორობის აქტის, ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის აქტის და სქესისა და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციის პრევენციისკენ მიმართული სხვა სათანადო კანონების ცუდი შესრულება მათი აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობის გამო და მათი დებულებების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობის გამო. ნაკლებად ხელმისაწვდომია ჯანდაცვა, განათლება და დასაქმება იმ ქალებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს და უნარშეზღუდული ქალებისთვის. არ არსებობს სავალდებულო ქვოტები და სხვა ზომები ქალებისა და მამაკაცების არსებითი ან დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად ყველა სფეროში კონვენციის ფარგლებში, აგრეთვე შესაძლებლობა-შეზღუდულ და მარგინალიზირებულ იმ ქალებზე მიმართული დროებითი სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც ექვემდებარებიან მრავალი ფორმის დისკრიმინაციას, როგორიცაა სოფლად მაცხოვრებელი ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, უნარშეზღუდული ქალები და ხანში შესული ქალები; • არსებობს ბავშვთა შრომის დამადასტურებელი მტკიცებულებები: ბავშვთა შრომა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს რეგიონებში მოსავლის აღების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სექტორში (რომელიც სატყეო სექტორსაც მოიცავს). სატყეო სექტორში ბავშვთა შორმის კონკრეტული შემთხვევების მტკიცებულებები მოძიებულ ვერ იქნა. • ქვეყანა წარმოადგენს ILO-ს რვავე ფუნდამენტური კონვენციის ხელმომწერს, და ყველა მათგანი ძალაშია შესული. • არსებობს მტკიცებულება, რომ ნებისმიერი ჯგუფები (მათ შორის ქალები) ვერ გრძნობენ თავს სათანადოდ დაცულად ზემოთ აღნიშნულ უფლებებთან მიმართებაში: ცუდად სრულდება კანონები, რომლებიც კრძალავს სექსუალურ შევიწროვებას სამუშაო ადგილზე და იცავს დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ქალებს, რადგან არ არსებობს შრომის ეროვნული ინსპექციები ან აღსრულების უზრუნველსაყოფი ანალოგიური მექანიზმები. • შრომის უფლებების დარღვევები არ შემოიფარგლება კონკრეტული სექტორებით: დარღვევების მაგალითები აღმოჩნდა მეტალურგიის, სამთო მოპოვებისა და ქიმიის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, საჯარო სამსახურის, ტრანსპორტირების, განათლების, სოფლის მეურნეობის (რომელიც მოიცავს სატყეო სექტორს) და ჯანდაცვის სფეროში. მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენება სპეციფიური რისკის შემდეგი ზღვრული მნიშვნელობები: (14) შესაფასებელ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ინდიკატორის მოთხოვნას/მოთხოვნებს; და (15) არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომ ფართოდაა გავრცელებული დარღვევები ILO -ს „ფუნდამენტური პრინციპები და უფლებები სამუშაო ადგილზე“-ს უმთავრესი დებულებები.		
ინდიკატორი 2.3. აბორიგენული და ტრადიციული მოსახლეობის უფლებების დაცვა ხორციელდება. სახელმძღვანელო პრინციპები:		

- არის თუ არა აბორიგენული მოსახლეობა (IP), და/ან ტრადიციული მოსახლეობა (TP) შესაფასებელ ტერიტორიაზე?
- მოქმედებს თუ არა ამ ტერიტორიაზე ILO -ს კონვენციაში (169) შესული რეგულაციები და UNDRIP? (იხ. კატეგორია 1)
- არსებობს თუ არა IP/TP-ის სამართლებრივი და ჩვეულებითი უფლებების დარღვევის მტკიცებულებები?
- არის თუ არა მნიშვნელოვანი მასშტაბის კონფლიქტები [სქოლიო 6] აბორიგენული და/ან ტრადიციული მოსახლეობის უფლებებთან ან ტრადიციული უფლებებით მოსარგებლე ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით?
- არსებობს თუ არა აღიარებული კანონები და/ან რეგულაციები და/ან პროცესები, რათა მოგვარდეს აბორიგენული და/ან ტრადიციული მოსახლეობის უფლებებთან ან ტრადიციული უფლებებით მოსარგებლე ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტები?
- რა მტკიცებულებები ახდენს ზემოთ აღნიშნული კანონებისა და რეგულაციების აღსრულების უზრუნველყოფის დემონსტრირებას? (იხ. კატეგორია 1)
- მიიჩნევენ თუ არა დაზარალებული მხარეები კონფლიქტის მოგვარებას სამართლიანად და თანასწორად?

ზოგადი წყაროები FSC-PRO-60-002a V1-0 EN-დან	მოძიებული ინფორმაცია და კონკრეტული წყაროები	რისკის შეფასების დონე	რისკის მითითება
ILO უმთავრესი კონვენციების მონაცემთა ბაზა http://www.ilo.org/ilolex/english/docs/declworld.htm - ILO კონვენცია 169	http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11200:0::NO:11200:P11200_COUNTRY_ID:102639 საქართველოს არ მოუხდენია 169 კონვენციის რატიფიკაცია. ამიტომ ეს წყარო არ იძლევა ინფორმაციას საქართველოს მიერ მისი შესრულების თაობაზე.	ქვეყანა	დაბალი რისკი
საერთაშორისო გადარჩენა: http://www.survivalinternational.org/	*http://www.minorityrights.org/1909/georgia/georgia-overview.html* *უმცირესობათა და აბორიგენული ხალხების მსოფლიო ცნობარი - საქართველო: მიმოხილვა - განახლებულია: 2011 წ. ოქტომბერი* "2002 წ. სახელმწიფო აღწერის მიხედვით, ძირითადი უმცირესობათა ჯგუფები მოიცავს აზერბაიჯანელებს 285,000 (6.5%), სომხებს 249,000 (5.7%) და რუსებს 68,000 (1.5%). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმონაქმნების მოსახლეობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ცალკე ჩანაწერები. 2002 წლის აღწერის თანახმად, ოსების რაოდენობა საქართველოში სამხრეთ ოსეთს ფარგლებს გარეთ შეადგენს 38,000 (0.9%), მაშინ როდესაც 1989 წ., კონფლიქტამდე. შეადგენდა 100,000. ასევე 2002 წლის აღწერის თანახმად, აფხაზების რაოდენობა საქართველოში აფხაზეთის ფარგლებს გარეთ შეადგენდა 3,500 (.08%). ოსებისა და აფხაზების რაოდენობა საქართველოს არა-სადავო ტერიტორიაზე უდავოდ შემცირდა 2008 წლის აფვისტოს ომის შედეგად, თუმცა გადანაცვლების მასშტაბი და ხანგრძლივობა ძნელი დასადგენია. ქართულ ენაზე, ქართლური დიალექტის საფუძველზე, რომელზეც საუბრობენ აღმოსავლეთ საქართველოში, ქართველები	ქვეყანა	დაბალი რისკი
ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე: http://www.hrw.org/			
საერთაშორისო ამნისტია http://amnesty.org			
აბორიგენული მსოფლიო http://www.iwgia.org/regions			
გაეროს სპეციალური რეპორტიორი აბორიგენული ხალხების უფლებებთან დაკავშირებით http://www.ohchr.org/en/issues/ipeoples/srindigenouspeoples/pages/sripeoplesindex.aspx			
გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/Documentation.aspx			
გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CCPR/Pages/CCPRIndex.aspx ქვეყნის ძიება ასევე გადაამოწმეთ: გაეროს ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CERD/Pages/CERDIndex.aspx			
კონტინენტთაშორისი ძახილი http://intercontinentalcry.org/			
ტყის ხალხების პროგრამა: www.forestpeoples.org			

FPP-ის აქცენტი აფრიკაზე, აზიასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე და ცენტრალურ ამერიკაზე focus. საფრთხის ქვეშ მყოფი ხალხების საზოგადოება: http://www.gfbv.de/index.php?change_lang=english ადამიანის უფლებათა რეგიონალურ სასამართლოები და კომისიები: - ადამიანის უფლებათა ამერიკათა-შორისი სასამართლო http://www.corteidh.or.cr/index.php/en - ადამიანის უფლებათა ამერიკათა-შორისი კომისია http://www.oas.org/en/iachr/ http://www.oas.org/en/iachr/indigenous/ - ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკის კომისია - ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკის სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მონაცემები მოცემულია მკვირდი ხალხების, ტრადიციული ხალხების ეროვნული ორგანიზაციების მიერ მონაცემები მოწოდებულია აბორიგენული ხალხების საქმეებით დაკავებული სამთავრობო დაწესებულებების მიერ; მონაცემები მოწოდებულია ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; NGO-ს დოკუმენტაცია IP და TP კონფლიქტების შემთხვევებთან დაკავშირებით (ისტორიული და ამჟამად მიმდინარე); მიწათსარგებლობის ეროვნული ბიუროს ჩანაწერები, რუქები, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები და რეგისტრაცია (Google) შესაბამისი აღწერის მონაცემები - გადაწყვეტილ;ების მიღების პროცესში მონაწილეობის მტკიცებულება; (იხ. ინფორმაცია ILO 169-ის შესრულების და ახალი კანონების წინააღმდეგ პროტესტების შესახებ) - მტკიცებულება მკვირდი ხალხის მონაწილეობაზე უარის განცხადების შესახებ (მაგ. არასამართლიანი პროცესის საფუძველზე და ა.შ.) (აგრეთვე იხ. ინფორმაცია ILO 169-ის შესრულების და ახალი კანონების წინააღმდეგ პროტესტების შესახებ) ეროვნული/ რეგიონალური ჩანაწერები მიწებთან დაკავშირებული საჩივრების, მიმდინარე ან დასრულებული მოლაპარაკებების და ა.შ. თაობაზე	საკუთარ თავს „ქართველებს“ უწოდებენ. ქართველური ენების ოჯახი, რომელსაც ქართული მიეკუთვნება, ასევე მოიცავს სამ სალაპარაკო ენას“ მეგრულს, რომელზეც დასავლეთ საქართველოში საუბრობენ, სვანურს, რომელზეც სვანეთის ჩრდილო-ცენტრალურ მთიან რეგიონში საუბრობენ და ლაზურს, რომელზეც ძირითადად თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ზოგიერთ მონაკვეთში საუბრობენ. მეგრულად და სვანურად მოლაპარაკენი ქართულს იყენებენ ლიტერატურულ ენად და ფართოდ მიღებულ ენად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცალკეული ენების არსებობა მიუთითებს სხვადასხვა იდენტობის ჯგუფების არსებობაზე ქართველ ერში, მათ აქამდე არ ჩამოუყალიბებიათ საფუძველი ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებად მობილიზაციისთვის. საქართველოში IP/TP-ს არსებობა არ არის ნახსენები არცერთ წყაროში, არც მიმოხილვით წყაროებში, როგორიცაა „აბორიგენული მსოფლიო“; არცერთ მოხსენებაში ან ინტერნეტში არ არის ნახსენები IP/TP არსებობა ან დისკუსიები და დებატები მათი არსებობის შესახებ.	ქვეყანა	დაბალი რისკი

IP და TP კონფლიქტების შემთხვევები (ისტორიული ან მიმდინარე). (მონაცემები მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე და დავებზე (ისტორიული/ განსაკუთრებული საჩივრები და სამართლებრივი დავები)			
სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები (*Cahier des Charges*) დადებული FPIC-ის (თავისუფალი წინასწარი ინფორმირებული თანხმობა) პრინციპების მიხედვით, არსებობის შემთხვევაში			
ტერმინების '[ქვეყანა]' და ერთერთი შემდეგი ტერმინის - „მკვირდი ხალხების ორგანიზაციები“, „ტრადიციული ხალხების ორგანიზაციები“, „მიწის რეგისტრაციის ოფისი“, „მიწის ოფისი“, აბორიგენული ხალხები“, ტრადიციული ხალხები“, '[IP-ების დასახელება]', „მკვირდი ხალხები + კონფლიქტი“, „მკვირდი ხალხები + მიწის უფლებები“ Google-ით ძიება			
დამატებითი ზოგადი წყაროები 2.3-სთვის	**დამატებითი სპეციფიური წყაროები**	**რისკის შეფასების დონე**	**რისკის მითითება**
დამატებითი წყაროები არაა ხელმისაწვდომი		ქვეყანა	დაბალი რისკი
ეროვნული CW RA-დან	არ არის		
დასკვნები 2.3 ინდიკატორისთვის: საქართველოში არ არის აბორიგენული ხალხები და ტრადიციული ხალხები. **ამგვარად, გამოიყენება „დაბალი რისკის“ შემდეგი ზღვრული მნიშვნელობები:** (16) არ არსებობს მტკიცებულება, რომელსაც მივყავართ დასკვნამდე, რომ შესაფასებელ ტერიტორიაზე არსებობენ მკვირდი და/ან ტრადიციული ხალხები; და (21) სხვა ხელმისაწვდომი მტკიცებულებები ეჭვქვეშ არ აყენებს „დაბალი რისკის“ მინიჭების საკითხს.		ქვეყანა	დაბალი რისკი

რისკების კატეგორია 3: ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მიმართ საფრთხის შექმნა

მიმოხილვა

კატეგორია 3-ის (ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებები, HCVs) შეფასება ჩატარდა რისკების ეროვნული შეფასების (NRA) პროცესის ფარგლებში. როგორც უკვე აღინიშნა, შეფასებების ეს ნაწილი ჩატარდა FLEG II პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას აფინანსებს ევროპის კავშირი (ევროკომისია) და ავსტრიის განვითარების სააგენტო. კონსულტანტმა, ბ-ნმა გიორგი ბონდარუკმა, მოამზადა NRA-ს წინამდებარე HCV ნაწილი. ბ-ნი ბონდარუკი დაიქირავა

WWF კავკასიამ FLEG II პროგრამის ფარგლებში. ამ კონსულტანტმა ასევე მოამზადა HCV ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის საქართველოსთვის [საწყისი ვერსია]. ეს ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენდა NRA კატეგორია 3-ის შეფასების საფუძველს. ორივე დოკუმენტი შეფასებულ და მიღებულ იქნა ეროვნული სამუშაო ჯგუფის მიერ.

საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია, თუმცა იმართება სხვადასხვა უწყების მიერ. ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილული იყო კატეგორია 1-ის შეფასების შესავალ ნაწილში.

კლიმატური და რელიეფური პირობები ძალზედ მრავალფეროვანია საქართველოში. დიდი (ჩრდილოეთით) და მცირე (სამხრეთით) კავკასიონის მთათა სისტემები დაკავშირებულია ლიხის ქედით - ბუნებრივი ზღუდით, რომელიც განაპირობებს კონტრასტული კლიმატური ზონების არსებობას საქართველოში (სხვა ფაქტორებთან ერთად). დასავლეთ საქართველოს ახასიათებს ნოტიო ჰავა (საშუალო წლიური ნალექი მერყეობს 1000-დან 2800 მმ-მდე), შავი ზღვის სანაპირო ზონაში სუბტროპიკული კლიმატით, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ზომიერი კლიმატია (საშუალო წლიური ნალექი 300-დან 600-მდე). განსხვავებული კლიმატური და რელიეფური პირობები განაპირობებს ბუნებრივი ეკოსისტემების მრავალფეროვნებას.

საქართველოს ტყეებს დაახლოებით 2,77 მილიონი ჰა უკავიათ, რაც ქვეყნის 40%-ს შეადგენს. ტყეები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ბიომს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კუთხით ქვეყანაში. საქართველოს ტერიტორია მთლიანად შედის კავკასიის ეკორეგიონში, რომელიც წარმოადგენს WWF-ის მიერ გლობალური მასშტაბით გამოყოფილი 200-ზე მეტი ეკორეგიონიდან ერთ-ერთს [9, 20]. უფრო მეტიც, ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან (რომელიც გამოყო Conservation International-მა დედამიწის იმ ნაწილებში, სადაც ბიომრავალფეროვნება გამორჩეულად მდიდარია და ამავდროულად ყველაზე მეტად არის საფრთხის ქვეშ), საქართველო მიეკუთვნება კავკასიისა და ირან-ანატოლიის ცხელ წერტილებს [10]. საქართველოს ტყეები ასრულებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დაცვით (ეკოლოგიურ) და სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს.

დაბლობ ადგილებში და პლატოებზე, ფოთლოვანი ტყეები ძირითადად შედგება აღმოსავლური წიფლისაგან (*Fagus orientalis,* ტყეების მერქნის მთლიანი მარაგის დაახლოებით 50% [24]. სხვა ფართოდ გავრცელებული სახეობებია ქართული მუხა (*Quercus iberica*), რცხილა (*Carpinus caucasica*) და წაბლი (*Castanea sativa*). ზღვის დონიდან უფრო მაღლა იზრდება სოჭი (*Abies nordmanniana*) და ნაძვი (*Picea orientalis*), ხოლო კიდევ უფრო მაღლა გვხვდება ბუნებრივი ფიჭვის კორომები (*Pinus kochiana*). მურყანი (*Alnus barbata*) დომინირებს დასავლეთ საქართველოს მდინარისპირა ტყეებში.

სულ საქართველოს ტყეებში დაახლოებით 400 ხისა და ბუჩქის სახეობები იზრდება. აქედან 61 სახეობა საქართველოს ენდემია. მცენარეთა 6350 სახეობიდან, რომლებიც იზრდება მთლიანად კავკასიაში, საქართველოში გვხვდება 4100 სახეობაზე მეტი. ფაუნა მოიცავს 330 ფრინველთა, 100 ძუძუმწოვართა და 59 ამფიბიათა და რეპტილიათა სახეობებს [5, 20]. ფაუნის ტიპიური

წარმომადგენლებია მურა დათვი, ჯიხვი, არჩვი, გარეული ღორი, კავკასიური ირემი, შველი, ფოცხვერი და ტყის კატა – ყველა ეს სახეობა დამოკიდებულია ბუნებრივ ტყეზე.

ტყეების 95%-ზე მეტი მდებარეობს მთიან ადგილებში. ტყის კორომების 80%-ზე მეტი იზრდება ციცაბო ფერდობებზე - 21 გრადუსზე და მეტზე. დაახლოებით 500000 ჰა (18% ტყის მთლიანი ფართობიდან) უკავია ხელშეუხებელ (პირველად) ტყეებს, მრავალი ადგილობრივი ექსპერტის მოსაზრებით. ეს ტყეები იზრდება დიდ და მცირე კავკასიონზე და მათი ფართობი პრაქტიკულად უცვლელია, რადგან ეს უკანასკნელნი მიუდგომელ ადგილებზე იზრდებიან. სამწუხაროდ, ამ ტყეების ზუსტი საზღვრები ჯერ ისევ დასადგენია. შედარებისთვის - გაშენებულ ტყეებს (ე.წ. ტყის კულტურებს) მხოლოდ 70000 ჰექტარი უკავიათ. ამ გარემოებების გამო ხე-ტყის (კანონიერად) დამზადების მოცულობა შეზღუდულია. ოფიციალური მონაცემების მიხედვით უკანასკნელი 15 წლის მანძილზე წლიური დამზადების მოცულობა არ აღემატება დაახლოებით 180000 მ3 სამასალე და 750000 მ3 საშეშე მერქანს [24]. უკანონო ჭრების წლიური მოცულობა (ადგილობრივ ექსპერტთა შეფასებით) მერყეობს 2-3 მილიონ მ3 შორის (ზუსტი მოცულობა არ არის ცნობილი). ხე-ტყის ჭრა ძირიტადად კონცენტრირებულია დასახლებული პუნქტების მიმდებარედ, სადაც ტყეები მნიშვნელოვნად არის დეგრადირებული.

1912 წლიდან (როდესაც საქართველოში პირველი ნაკრძალი შეიქმნა ქ. ლაგოდეხის მიმდებარედ) დღემდე, დაცული ტერიტორიების საკმაოდ მნიშვნელოვანი ქსელი შეიქმნა საქართველოში. ამჟამად ქვეყანაში ფუნქციონირებს 14 ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 42 ბუნების ძეგლი, 19 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტი (რაც შეესაბამება IUCN-ის I-V კატეგორიებს). აღნიშნული კატეგორიები განსაზღვრულია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით (1996). საქართველოს დაცულ ტერიტორიებს უჭირავთ 520811 ჰა ფართობი, რაც ქვეყნის ტერიტორიის დახლოებით 7,5% შეესაბამება. დაცული ტერიტორიების საზღვრები (მართვის გეგმით ან მის გარეშე) მკაფიოდ არის გამიჯნული. ამ ტერიტორიების 50%-ზე მეტი დაფარულია ტყით. დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA) პასუხისმგებელია ამ ტყეების მართვაზე. ზემოაღნიშნული დაცული ტერიტორიებიდან რვას გააჩნია მოქმედი მართვის გეგმა. მართვის გეგმების მქონე დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობი დაახლოებით 300000 ჰექტარია, ანუ მთლიანი ქსელის ტერიტორიის 58%. საქართველოში დაინტერესებულ მხარეებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ დაცული ტერიტორიების ფარგლებში მდებარე ტყეები გაცილებით უკეთ არის დაცული სხვა ტყეებთან შედარებით, უფრო მკაცრი კანონაღსრულებისა და დაცვაზე გადატანილი აქცენტის გამო (და არა მერქნითა და არამერქნითი რესურსებით ეკონომიკურ სარგებლობაზე) [5]. კერძოდ, დაცული ტერიტორიების ფარგლებში უკანონო ჭრების წლიური მთლიანი მოცულობა მხოლოდ რამდენიმე ასეულ მ3 შეადგენს (იხილეთ ინდიკატორ 1.9-ის შეფასება და შეფაბამისი წყაროები). განსხვავებული სურათია დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე ტყეებში, სადაც გამოვლენილი უკანონო ჭრები რამდენიმე ათას მ3 შეადგენს. თუმცა რეალური ციფრი (უკანონოდ მოჭრილი და აღურიცხავი ტყეები დაცული ტერიტორიების გარეთ) გაცილებით მაღალია – ასეულობით ათასი მ3 წელიწადში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზუსტი ციფრი არ არის ცნობილი. მერქნის უკანონო ჭრის ძირითადი მიზეზებია სიღარიბე სოფლად და ენერგორესურსებზე მოთხოვნილება გათბობისა და საჭმლის მომზადებისათვის [5, 20, 21, 28].

ტყის ტიპებისა და ჰაბიტატების გამოყოფა და შეფასება (ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს HCV-ების იდენტიფიკაციისათვის) წარმოებს შემდეგნაირად:

- ტყეების ინვენტარიზაცია და მართვის დაგეგმვა – ყოველ 10 წელიწადში ერთხელ თითოეულ სატყეო უბანზე
- სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ტყეში გასვლები მეტყევეებისა და ბიოლოგების მიერ
- საველე გასვლები, რომლებიც მიზნად ისახავს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების მოსამზადებლად, მაგ. ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, და გარემოსდაცვითი მოქმედებათა გეგმა
- უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევები.

ტყეების რეგულარული ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) და მართვის დაგეგმვა არ ჩატარებულა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სახსრების მწვავე ნაკლებობის გამო. როგორც ირაკლი სისვაძესთან (ტყეთმოწყობისა და ტყის მართვის დაგეგმვის სამსახურის უფროსი, ეროვნული სატყეო სააგენტო) პერსონალური კომუნიკაციის შედეგად გაირკვა [25], 2016 წლის ივლისის მდგომარეობით, სულ დაახლოებით 90000 ჰექტარზე (ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი ტყეები) არსებობდა ოფიციალურად დამტკიცებული ტყის მართვის გეგმა (სადაც ასევე ჩატარდა ინვენტარიზაცია). 2016 წლის ბოლოსთვის ფართობს სადაც ჩატარდა ინვენტარიზაცია და მომზადდა მართვის გეგმები დაემატა აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მართული ტყეები (დაახლოებით 140000 ჰა).

უკანასკნელ ათწლეულებში, საველე სამუშაოები საკმაოდ შეზღუდულ მასშტაბებში მიმდინარეობდა ეკონომიკური კრიზისისა და შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტების ფინანსური პრობლემების გამო. თუმცა ამ კუთხით სიტუაცია ოდნავ გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში, დონორთა დახმარებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ზრდის წყალობით.

შეფასებაში ჩართული ექსპერტები

ამ ეტაპზე შეფასებაში ძირითადად ეროვნული სამუშაო ჯგუფის (WGFS) წევრები იყვნენ ჩართული. WGFS-ს წევრებს შორის არიან HCV ექსპერტები (განსაკუთრებით გარემოსდაცვითი განყოფილებიდან). სამუშაო ჯგუფმა განიხილა როგორც ეს შეფასება, ისე ჩარჩო დოკუმენტი. დამატებით მოხდა რამდენიმე სპეციალისტთან კონსულტაციის გავლა (რომოლებიც არ არიან სამუშაო ჯგუფის წევრები). ესენი არიან: მერაბ მაჭავარიანი ეროვნული სატყეო სააგენტოდან, კარლო ამირგულაშვილი ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტიდან (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ზემოთ) და გიორგი ქავთარაძე, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (g.kavtaradze@agruni.edu.ge).

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
3.0 საკმარისია თუ არა არსებული ინფორმაცია: a) HCV არსებობის გამოსავლენად თითოეული კატეგორიისათვის, **და** b) ტყის მართვის სხვადასხვა ქმედების შედეგად HCV-ების მიმართ წარმოქმნილი საფრთხეების შესაფასებლად	1, 2, 3, 5, 14, 15, 16, 17, 21, 22, 23, 24, 25, 26, 29, 33	ამჟამად საქართველოს ტყეების თაობაზე მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია არსებობს. დეტალური ინფორმაცია არ მოიპოვება იმის გამო, რომ არ ჩატარებულა ტყეთმოწყობა ტყის ფართობის 90%-ზე მეტზე უკანასკნელ 2 ათწლეულში. მეტი ინფორმაცია მოიპოვება სატყეო უბნის (ლიტერის) დონეზე იმ ტყეებში, სადაც ჩატარდა ტყეთმოწყობა (ტყეთმოწყობის, მართვის დაგეგმვისა და მონიტორინგის თაობაზე მთავრობის #179 დადგენილების მოთხოვნების თანახმად). აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა სასარგებლო იყოს ზოგიერთი HCV გამოვლენისა და გამოყოფისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება #179 არ შეიცავს სპეციალურ ჩანაწერებს HCV თაობაზე. კონკრეტული HCV-ების ჩამონათვალი რომელიც მოცემულია ქვემოთ, აღებულია „საქართველოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების (HCV) ეროვნული ჩარჩო დოკუმენტიდან“ [23]. საქართველოს ტყეების ძალზედ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური (ბიომრავალფეროვნება, დაცვითი ფუნქციები) და ეკონომიკური ფუნქციების გამო ტყეების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება ამა თუ იმ მაღალ კონსერვაციულ ღირებულებას (HCV). ინფორმაციის ხელმისაწვდომობა რისკების შეფასების თვალსაზრისით თითოეული HCV კატეგორიის შემთხვევაში განსხვავებულია. შედეგად, მონაცემები	ქვეყანა	ზოგადად, HCV გამოსავლენად და რუკაზე დასატანად საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოში, ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად [23]. ზოგადი და კონკრეტული საფრთხეებიც HCV მიმართ, რომლებიც აღწერილია ქვემოთ, ასევე კარგად არის ცნობილი ქვეყანაში. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებლების 1 და 2-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ინდიკატორ 3.0-ს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია.

[4] იხილეთ ინფორმაციის წყაროები შესაბამისი ნუმერაციით ამ თავის ბოლოში

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		HCV-ების არსებობისა და შესაბამისი საფრთხეების თაობაზე მოგროვდა ბევრი სხვადასხვა წყაროდან (კანონმდებლობა, სტატეგიული დოკუმენტები, პროექტები, ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშები, გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან - ინფორმაციის წყაროების ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში ქვემოთ). HCV ცნება დღესდღეობით საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენება ოფიციალურ დონეზე, და თითქმის არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა. ერთადერთი გამონაკლისია მთავრობის დადგენილება #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიების წესებისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (2005 წლის 11 აგვისტო). ამ დოკუმენტის მუხლი 1, ნაწილი 5 მოკლედ აღწერს ექვსივე HCV-ს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერი ძალზედ ზოგადია, იქ ჩამოთვლილი ღირებულებები საკმაოდ თანმიმდევრულია ქვემოთ ჩამოთვლილ HCV-თან. იგივე მუხლში აღნიშნულია, რომ ხე-ტყის დამზადება შეზღუდული ან საერთოდ აკრძალულია HCV-ს მქონე ტყეებში (კატეგორიის მიხედვით). მე-8 მუხლში (ნაწილი 1, პარაგრაფი ს) აღნიშნულია, რომ ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მქონე კომპანიებმა უნდა დაიცვან და გააუმჯობესონ მათ სალიცენზიო ტერიტორიაზე მყოფი HCV-ბი და შესაბამისი ღონისძიებები დოკუმენტირებულ უნდა იქნეს (ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ NRA კატეგორია 1-ის შეფასებაში). მუხლი 8 (ნაწილი 4, პარაგრაფი ჟ) იგივე ვალდებულებებს აკისრებს სამონადირეო		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ლიცენზიების მქონე კომპანიებს. სამწუხაროდ, ლიცენზიანტების მიერ HCV გამოვლენისა და დაცვის რეალური ფაქტები არ არის ცნობილი. აღნიშნულის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ HCV-ბი, რომლებიც ჩამოთვლილია დადგენილება # 132-ში არის ძალიან ზოგადი და შესაბამისად რთულია მათი ადგილზე გამოვლენა და საზღვრების დაზუსტება. უფრო მეტიც, დღესდღეობით სახელმწიფო სატყეო სტრუქტურებს ლიცენზიანტებისგან არ მოუთხოვიათ HCV-ების გამოვლენისა და დაცვის კუთხით შესაბამისი ღონისძიებების შესრულება [29]. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების უმრავლესობა აღიარებს HCV ტყეების მნიშვნელობას. შედეგად, მომზადდა „ტყეების ზონირების დირექტივა“ 2014 წელს [2]. დოკუმენტი ეყრდნობა HCV კონცეფციას და შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი მექანიზმი HCV გამოვლენისა და თითოეული HCV კატეგორიისათვის მართვის რეკომენდაციების შემუშავებისათვის და ზოგადად როგორც კონტროლის კარგი ინსტრუმენტი. სამწუხაროდ, აღნიშნული დოკუმენტი ჯერ-ჯერობით არ არის დამტკიცებული კანონის ან კანონქვემდებარე აქტის სახით. თუმცა, ის გამოყენებულ იქნა საქართველოს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეების ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის პირველი ვერსიის შესამუშავებლად [16, 17, 22, 23]. ზოგადად, მონაცემები რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს HCV-ების გამოსავლენად და რუკაზე დასატანად,		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		მოიპოვება საქართველოში, ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად. სხვა სიტყვებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა ჯგუფი შეძლებდა საქართველოში შერჩეული სატყეო უბნის ან რეგიონის ფარგლებში ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დადგენასა და რუკაზე დატანას [33]. ძირითადი საფრთხეები ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მიმართ ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მიმართ არსებული ძირითადი საფრთხეები აღწერილია „ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი გაგზავნილ საქართველოს მეხუთე ეროვნულ შეტყობინებაში“ [15]. ესენია: ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, ბუნებრივი რესურსებით ჭარბი სარგებლობა, გარემოს დაბინძურება, უხცო ინვაზიური სახეობების გავრცელება და კლიმატის ცვლილება. სპეციფიური საფრთხეები HCV მიმართ სპეციფიური და პირდაპირი საფრთხეები, რომლებიც ემუქრება ტყეების ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებს კარგად არის ცნობილი ქვეყანაში და მოიცავს უკანონო ჭრებს, ტყის არამდგრად მართვას (მათ შორის ტყის მართვის გეგმების ნაკლებობას), საქონლის ჭარბი ძოვება (ძროხა, ცხვარი, თხა და ღორი) დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყეებში და ბრაკონიერობა [5, 20, 26]. თუმცა, HCV მიმართ ყველა სპეციფიური		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		საფრთხის გამოსავლენად კონკრეტულ ტერიტორიაზე შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი კვლევა, ადგილობრივი პირობებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით (კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, ბიომრავალფეროვნების შეფასების ანგარიშების გაცნობა და ინფორმაციის სხვა წყაროებით სარგებლობა).		
3.1 HCV 1	1, 2, 3, 5, 6, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26	HCV1 არსებობა ფასეულობები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ, წარმოადგენს HCV1-ს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით [საწყისი ვერსია]. HCV 1.a - ტერიტორიები, რომლებიც დაცულია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით და საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე – ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები და დაცული ლანდშაფტები (შეესაბამება IUCN I-V კატეგორიებს[5]; დაცული ტერიტორიები რომლებიც უკვე ოფიციალურად არის შექმნილი საქართველოში და მართვის ქვეშაა); საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ჩამოყალიბებული დაცული ტერიტორიების მაგალითს წარმოადგენს რამსარის კონვენციის ფარგლებში შექმნილი დაცული	დაცული ტერიტორიები (IUCN I, II, III, IV და V კატეგორიები) რომლებსაც მართავს APA. ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ).	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებში,** დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - HCV1.a მდებარეობა და საზღვრები კარგად არის ცნობილი; HCV1.b და HCV1.c არსებობა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების უმეტესობის ფარგლებში (IUCN I-V კატეგორიები); ყველა ეს ფასეულობა ეფექტიანად არის

[5] IUCN I-V კატეგორიების (HCV 1.a ქვე-კატეგორია ამ დოკუმენტის მიხედვით) შესაბამისი დაცული ტერიტორების უმეტესობა, თუ ყველა არა, , მოიცავს 1 ან 2 სხვა კატეგორიების მქონე HCV-ს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში. HCV 1.b - ტერიტორიები, რომლებიც მოიცავს წითელ ნუსხაში მყოფ (ეროვნული, ევროპული, საერთაშორისო - IUCN) იშვიათ, საფრთხის ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ან ენდემურ ორ ან მეტ სახეობას ან საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (2014-2020) და საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებში აღნიშნულ ორ ან მეტ ენდემურ სახეობას. HCV 1.b შეიძლება მოიცავდეს მცირე ტერიტორიას (მაგალითად, მცენარეთა შემთხვევაში) ან დიდ ტერიტორიას (მაგალითად, დიდი ზომის მტაცებელი ან ბალახის მჭამელი ცხოველების პოპულაციების საარსებო გარემო) HCV 1.c - ადგილები, სადაც ხდება სახეობების კრიტიკული დროებითი თავმოყრა – მაგალითად, სეზონური გამრავლების ადგილები, მიგრაციის მარშრუტები და დერეფნები და ა.შ. დაცული ტერიტორიები (IUCN I-V კატეგორიები) მოიცავს ბევრ ჰაბიტატს სადაც თავმოყრილია იშვიათი, საფრთხის ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა და სახეობების კრიტიკული დროებითი თავშეყრის ადგილებს, თუმცა არა ყველას.		დაცული შესაძლო საფრთხეებიდან, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მართვიდან მომდინარეობს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 7-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ინდიკატორ 3.1-ს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ)** - HCV 1.b and 1.c-ს არსებობის ალბათობა მოცემულ ტერიტორიაზე (მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე ტყეები) საკმაოდ მაღალია და ეს ფასეულობები საფრთხის ქვეშ არის ბუნებრივი რესურსების მართვის ღონისძიებების

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		საფრთხეების შეფასება ტყის კოდექსი (1999) და ასევე ინვენტარიზაციის, დაგეგმვიდა და მონიტორინგის წესები (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის #179 დადგენილებით 2013 წლის 17 ივლისს) ბუნების კონსერვაციის კუთხით მოიცავენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოთხოვნებს (მაგ. ჩანაწერებს, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს და წითელი ნუსხის სახეობები და მათი ჰაბიტატები გამოვლივლინდეს და დაცულ იქნეს). ისინი არ შეიცავს პირდაპირ მოთხოვნებს HCV-ების გამოვლენასა და დაცვასთან დაკავშირებით. ტყის მართვის გეგმები, რომლებიც მზადდება აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე არ არის საკმარისად ეფექტიანი HCV1-ის დაცვის მხრივ. ამ თვალსაზრისით, სიტუაცია გაცილებით უარესია ტყეებში, რომლებისთვისაც არ არის მომზადებული და დამტკიცებული მართვის გეგმა (რომელსაც არ აქვს გასული მოქმედების ვადა). არამდგრადი და უკანონო ჭრები, ჭარბი ძოვება და ასარათანადოდ დაგეგმილი და განხორციელებული სატყეო-სამეურნეო ოპერაციები განსაზღვრავს სპეციფიურ რისკს იმ HCV1-ებისათვის, რომლებიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების გარეთ. არამდგრადი ჭრების შედეგია ტყეების ჭარბი გამოხშირვა, რაც იწვევს ტყის საბურველის ქვეშ სინათლისა და ტემპერატურული რეჟიმის ცვლილებას. ასევე, დაბალი ხარისხის ტყის მართვის მაგალითებია: ა) არასწორი სახეობების		მხრიდან. შესაბამისად, სიტუაცია შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 8-ის კრიტერიუმებს ამ ტერიტორიაზე და ინდიკატორ 3.1-ს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		შერჩევა (მონიშვნა) მოსაჭრელად, რაც იწვევს ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღისა და სიცოცხლისუნარიანობის შემცირებას, ბ) ხეების წაქცევა სათანადო სიფრთხილის გარეშე, რაც იწვევს დარჩენილი (ზეზემდგომი) ხეების დაზიანებას, გ) ადგილობრივი პირობებისათვის შეუფერებელი სახეობების დარგვა და თესვა და დ) ბუნების კონსერვაციის ასპექტების უგულვებელყოფა, როგორებიცაა დასაცავი უბნების გამოყოფა და დაცვა, ცხოველთა გამრავლებისა და გამოზამთრების ადგილების დაცვა და ა.შ. ჭარბი ძოვების შედეგად ირღვევა ბალახის საფარი, ქვეტყე (მცირე ზომის ბუჩქები) და ბუნებრივი განახლება, რაც იწვევს მრავალი სახეობის, მათ შორის იშვიათი და წითელი ნუსხისა, ჰაბიტატების განადგურებას (ზოგჯერ ეს პროცესი შეუქცევადი ხდება). გარდა აღნიშნულისა, მოზრდილ ძუძუმწოვართა და ფრინველთა მრავალი წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობა ხდება ბრაკონიერობის მსხვერპლი დაცული ტერიტორიების გარეთ [5, 20, 21]. ტყის ზოგიერთი არამერქნითი სახეობა , მაგალითად *Ruscus hypophyllum*, არის წითელ ნუსხაში და მათი მოპოვება აკრძალულია [19]. მიუხედავად ამისა, ფართოდაა გავრცელებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ მცენარეებს მოგროვება (სამკურნალო და დეკორატიული მიზნებით), რაც საფრთხეს უქმნის მათ მდგრადობას. ეს პროცესი არასათანადო კონტროლის ქვეშაა, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო სატყეო სტრუქტურების მხრიდან კანონაღსრულების არასაკმარის დონესთან		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		(შტატების, დაფინანსებისა და აღჭურვის სიმცირის გამო). ტერიტორიების უმეტესობა, სადაც შესაძლოა იყოს HCV1 (ქვეკატეგორიები b და c) არ არის ადგილზე გამოვლენილი და მათი საზღვრები არ არის დაზუსტებული. ეს ზრდის ამ ფასეულობების დაზიანების რისკს ზემოაღნიშნული ზეწოლის ფაქტორების გამო. უფრო მეტიც, ეროვნული სატყეო სააგენტოს ან APA-ს რეინჯერების უმეტესობა არ იცნობს HCV კონცეფციას, რაც HCV1 ფასეულობების მქონე ტყის უბნების დაცვას პრობლემატურს ხდის. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, რომლებსაც განიცდის საქართველოს სახელმწიფო სატყეო და გარემოსდაცვითი სტრუქტურები, კანონაღსრულება გაცილებით უფრო მკაცრია IUCN I-V კატეგორიების დაცულ ტერიტორიებში (იმ დაცულ ტერიტორიებშიც კი, სადაც არ არის მართვის გეგმა), ტყის სხვა ფართობებთან შედარებით. უკანონო ჭრების, ბრაკონიერობის, საქონლის ძოვებისა და ტყის არამერქნითი პროდუქციის შეგროვების შემთხვევები დაცული ტერიტორიების ფარგლებში ძალზედ იშვიათია (წელიწადში რამდენიმე შემთხვევა მთელი ქვეყნის მასშტაბით), განსხვავებით დაცული ტერიტორიების მიღმა მყოფი ტყეებისა, სადაც უკანონო ჭრების მოცულობა ასობით ათას კუბურ მეტრ მერქანს აღწევს წელიწადში. დაცული ტერიტორიების ქსელი (მათ შორის ტყის ფართობი) საკმაოდ გაფართოვდა უკანასკნელ წლებში და ათწლეულებში (მაგალითად, მხოლოდ		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		169,000 ჰა-დან 1991 წელს, 520000 ჰა-ზე მეტ ფართობამდე 2014 წელს [5]. მიუხედავად ფართობის ამ შთამბეჭდავი ზრდისა, ზემოაღნიშნული უკანონო საქმიანობის მასშტაბები დაცული ტერიტორიების ფარგლებში დაახლოებით იგივე (დაბალ დონეზე) რჩება. დამატებითი დეტალებისათვის იხილეთ ინდიკატორ 1.9-ის შეფასება.		
3.2 HCV 2	1, 2, 3, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27	HCV2 არსებობა - არიდული ტყის ეკოსისტემები (მაგ. დაბალი სიხშირის საკმლის ხისა *(Pistacia mutica)* და აკაკის *(Celtis caucasica)* ტყეები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, აღმოსავლეთ საქართველო) - ხელუხლებელი ტყეები (მდებარეობს ძირითადად დიდი და მცირე კავკასიონის ციცაბო ფერდობებზე; სულ, დაახლოებით 500 000 ჰა) - მსოფლიოს ხელუხლებელი ტყიანი ლანდშაფტები, როგორც იდენტიფიცირებულია Global Forest Watch-ის მიერ - http://intactforests.org (მდებარეობს დიდი კავკასიონის დასავლეთ საქართველოს ნაწილში) - 10 000 ჰა-ზე მეტი ფართობის უწყვეტი ლანდშაფტები საიდანაც სულ ცოტა 8 000 ჰა დაფარულია ბუნებრივი ტყეებით. საფრთხეების შეფასება ტყის კოდექსი (1999) და ასევე ინვენტარიზაციის, დაგეგმვიდა და მონიტორინგის წესები (დამტკიცებული	დაცული ტერიტორიები (IUCN I-V კატეგორიები) რომლებსაც მართავს APA. ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ).	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებში,** დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - HCV2 კატეგორიების ტყეების არსებობა ცნობილია ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფარგლებში (მაგალითად ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები) და ამ კატეგორიის ტყეების არსებობა სავარაუდოა რამდენინე სხვა დაცულ ტერიტორიაზე;

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		საქართველოს მთავრობის #179 დადგენილებით 2013 წლის 17 ივლისს) ბუნების კონსერვაციის კუთხით მოიცავენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოთხოვნებს. შედეგად, აღნიშნული მოთხოვნები (როგორც ტყის მართვის დაგეგმვის ძირითადი საფუძველი) არ არის საკმარისად ეფექტიანი HCV2 დაცვისათვის. არიდული ტყეების უდიდესი ნაწილი დაცულია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში). ის მცირე ნაწილი, რომელიც დაცული ტერიტორიების გარეთაა, ცხვრის არამდგრადი ძოვების ზეგავლენის ქვეშაა. ძოვება საგრძნობლად აზიანებს ტყის ბუნებრივი განახლების პროცესს. ტყის უკანონო ჭრის მოცულობები უმნიშვნელოა, იმის გამო, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალზედ დაბამია ამ ტერიტორიებზე. ხელუხლებელი ტყეებისა და ტყის ლანდშაფტების დიდი ნაწილი დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარეობს. ამჟამად, ამ ტყეების უდიდესი ნაწილი (მათ შორის დაცული ტერიტორიების გარეთ) არ არის საფრთხის ქვეშ მათი სიშორისა და ციცაბო მთის ფერდობებზე განლაგების გამო, და ასევე მისადგომი გზების არარსებობის მიზეზით. საქართველოს კანონდებლობა კრძალავს ჭრების ჩატარებას 35 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე მდებარე ტყეებში [1]. აღნიშნული მოთხოვნა არ ირღვევა, ნაწილობრივ კანონაღსრულების გამო, თუმცა ძირითადად იმ მოწყობილობის ნაკლებობის წყალობით, რომელიც საჭიროა ციცაბო ფერდობებზე ხეების ჭრისათვის,		HCV2 რომლებიც მდებარეობს ზემოაღნიშნული კატეგორიების მქონე დაცული ტერიტორიების ფარგლებში, საკმარისად კარგად არის დაცული უკანონო ან არამდგრადი ტყის ჭრისა და ძოვებისაგან. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 11-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ)** - კანონაღსრულების დონე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ოფიციალურად არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ,

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		და შესაბამისი მაღალი ხარჯების გამო. თუმცა, თუ განხორციელდა ახალი მისადგომი გზების გაყვანა ამ ტყეებისაკენ, სატყეო-სამეურნეო ან სხვა მიზნებით, ამ ტყეებს შესაძლოა საფრთხე შეექმნას მომავალში უკანონო ჭრებისა და ბრაკონიერობის სახით. უწყვეტი ლანდშაფტები უმეტესად ემთხვევა ხელუხლებელი ტყეების ფართობებს. თუმცა, ამ ლანდშაფტების გარკვეული ნაწილი მდებარეობს დასახლებულ პუნქტებთან შედარებით ახლოს. სწორედ ეს ტყეები (გარდა დაცული ტერიტორებისა) იმყოფება უკანონო ჭრების, ბრაკონიერობისა და ჭარბი ძოვების საფრთხის ქვეშ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტყის კორომების დეგრადაცია [21]. საბოლოო ჯამში ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ ტყის ლანდშაფტების ფრაგმენტაცია. უფრო მეტიც, თუ მოხდა გზების გაყვანა უფრო შორეულ ადგილებში, ამ უწყვეტი ტყის ლანდშაფტების ფრაგმენტაციის საფრთხემ შესაძლოა უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს. ჭარბი ძოვებისა და უკანონო ჭრებისაგან დაცვა გაცილებით უფრო მკაცრია დაცულ ტერიტორიებში, რომლებსაც მართავს APA. შესაბამისად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი HCV2 ტყის უბანი კარგად არის დაცული დაცულ ტერიტორიებში [5].		რაც ნიშნავს იმას, რომ HCV2 დეგრადაციის ან განადგურების რისკი მაღალია ბუნებრივი რესურსების უკანონო და არამდგრადი სარგებლობის (რაც აღწერილია ზემოთ) გამო. ამგვარად, ამ ფართობებზე სიტუაცია შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 12-ის კრიტერიუმებს და ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.
3.3 HCV 3	1, 2, 3, 5, 14, 15, 16, 17, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27	HCV3 არსებობა - შემორჩენილი ბუნებრივი (მათ შორის ბუნებრივი სახეცვლილი) ჭალის ტყეები აღმოსავლეთ საქართველოში (მდ. ალაზნის, ივრისა და მტკვრის და მათი	დაცული ტერიტორიები (IUCN I-V კატეგორიები) რომლებსაც	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებში,**

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		შენაკადების გასწვრივ; სულ, დაახლოებით 25 000 ჰა) - აღმოსავლური ნაძვის *(Picea orientalis)* კორომების მცირე ფრაგმენტები მდინარე არაგვის ხეობაში (მდინარე კაწალხევი, დუშეთის მუნიციპალიტეტი) - აღმოსავლური წიფლის *(Fagus orientalis)* ტყეები, აბასთუმნის მუნიციპალიტეტი - სოსნოვსკის ფიჭვის *(Pinus Sosnowskii)* ტყეები ცივგომბორის მთის ირგვლივ (თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები) - აღმოსავლური წიფლის ტყეები როდოდენდრონის *(Rhododendron spp.)* ქვეტყით ილტოს ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) - პონტოს მუხის *(Quercus pontica)* კორომი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხაკოურასთან. საფრთხეების შეფასება დღევანდელი სატყეო (და ზოგადად გარემოსდაცვითი) კანონმდებლობა არ არის საკმარისად ეფექტიანი ამ ფასეულობების დასაცავად. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს დეტალური ხასიათის საკანონმდებლო მოთხოვნები HCV იდენტიფიკაციასა და დაცვასთან მიმართებაში. ტყის ეს სპეციფიური ფასეულობები და ჰაბიტატები წარსულში გამოვლენილ იქნა მეცნიერებისა და ექსპერტების მიერ და შეტანილ იქნა სატყეო ლიტერატურასა და სხვა დოკუმენტებში [20, 27]. ამ ფასეულობებიდან ზოგიერთი, მაგალითად ივრის ჭალის ტყეები და აღმოსავლური	მართავს APA. ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიე ბის გარეთ).	დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - HCV3 კატეგორიების ტყეების არსებობა ცნობილია ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფარგლებში (მაგალითად ჭაჭუნას აღკვეთილი, სადაც დაცულია მდ. ივრის ჭალის (ტუგაის) ტყეები) და ამ კატეგორიის ტყეების არსებობა სავარაუდოა რამდენინე სხვა დაცულ ტერიტორიაზე; HCV3 რომლებიც მდებარეობს ზემოაღნიშნული კატეგორიების მქონე დაცული ტერიტორიების ფარგლებში, საკმარისად კარგად არის დაცული უკანონო ან არამდგრადი ტყის ჭრისა და ძოვებისაგან და ზოგადად არამდგრადი

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		წიფლის კორომები ილტოს ხეობაში, უკვე არსებული დაცული ტერიტორიების ქსელშია მოქცეული და კარგად დაცული. სხვა ტერიტორიები (მაგ. პონტოს მუხის კორომი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში) უახლოეს მომავალში იქნება გამოცხადებული როგორც დაცული ტერიტორია, APA-ს გეგმების თანახმად [26]. თუმცა, ამ იშვიათი ტყის ტიპების დიდი ნაწილი დღესდღეობით დაცული ტერიტორიების გარეთ რჩება. უფრო მეტიც, მათი უმეტესობა მდებარეობს ტყის იმ ფართობებზე, სადაც ინვენტარიზაციის მონაცემები მოძველებულია და, შესაბამისად, არ არის საკმარისი ინფორმაცია ამ კორომებს მდგომარეობის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სპეციფიური რისკი, რომ მოხდება ტყის ამ ფართობების დაზიანება ან განადგურება უკანონო ან არამდგრადი ჭრების, ძოვებისა და ზოგადად არასწორი მართვის შედეგად. აღნიშნული ფაქტორების ზეწოლის შედეგად ტყის ამ ტიპებში შესაძლოა მოხდეს ცვლილებები სახეობრივი შემადგენლობის, ბუნებრივი პროცესებისა და სტრუქტურის კუთხით. შედეგად, ამ უნიკალურმა ტყის ეკოსისტემებმა შესაძლოა დაკარგონ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. პროგრესი აიჩის ბიომრავალფეროვნების მე-11 მიზნის მიღწევაში არ არის სრულად დამაკმაყოფილებელი, რადგან შესაბამისი ამოცანები მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული. კერძოდ, დაცული		მართვისაგან. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 15-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. - **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ)** - კანონაღსრულების დონე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ოფიციალურად არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ HCV3 დეგრადაციის ან განადგურების რისკი მაღალია ზემოაღნიშნული ზეწოლის ფაქტორების გამო. აიჩის მიზან 11-ის შესრულების კუთხით წარმატებები

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ტერიტორიების ფართობი იზრდება და ამავდროულად ეკოლოგიური დერეფნებისა და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ჩამოყალიბების პროცესი დაწყებულია. თუმცა, დაცული ტერიტორიები ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ დაახლოებით 9% მოიცავს [15]. უფრო მეტიც, დაცული ტერიტორიების გარეთ ტყის იშვიათი ეკოსისტემებისა და ზოგადად ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა (იხილეთ ზემოთ). კანონაღსრულების დონე გაცილებით უფრო მაღალია IUCN I-V კატეგორიების დაცული ტერიტორიების ფარგლებში (იმ დაცულ ტერიტორიებშიც კი, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ მართვის გეგმა), რომლებსაც მართავს APA, ტყის სხვა ტერიტორიებთან შედარებით. უკანონო ჭრების, ბრაკონიერობის ან საქონლის ძოვების შემთხვევები ძალზედ იშვიათია დაცული ტერიტორიების ფარგლებში (რამდენიმე შემთხვევა წელიწადში მთლიანად ქვეყანაში), განსხვავებით ტყის სხვა ფართობებისა, სადაც უკანონო ჭრების მოცულობა რამდენიმე ასეულ ათას კუბურ მეტრს აღწევს წელიწადში (იხილეთ ასევე ინდიკატორ 1.9-ის შეფასება). შესაბამისად, დაცული ტერიტორიების ფარგლებში ყველა ზემოაღნიშნული HCV3 ტიპის ტყის კორომი კარგად არის დაცული [5].		მხოლოდ ნაწილობრივია. ამგვარად, ამ ფართობებზე სიტუაცია შეესაბამება NRAF მაჩვენებლების 17-ისა და 18-ის კრიტერიუმებს და ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.
3.4 HCV 4	1, 2, 3, 5, 16, 17, 22, 23, 24, 25, 26	HCV4 არსებობა **<u>HCV – 4a</u>**: ტყეები რომლებიც მნიშვნელოვანია წყალდიდობების რისკის შემცირებისა და წყალმომარაგების	დაცული ტერიტორიე ბი (IUCN I-V კატეგორიებ	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის**

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		უზრუნველყოფის კუთხით • გრუნტის წყლის ფორმაციის და შევსების ზონების ირგვლივ მდებარე ტყეები • 200 მ ტყის დამცავი ზონები მდინარეების გასწვრივ, ტბების, წყალსაცავების და წყლის სხვა ობიექტების ირგვლივ • ტყის ზოლები, რომლებიც იცავს თევზის ქვირითობის ადგილებს დაცვის განსაკუთრებული ფუნქციით • ჭაობების, წყაროებისა და მყინვარების ირგვლივ მდებარე ტყის კორომები • ტყის ზოლები, რომლებიც აფერხებს ღვარცოფების წარმოქმნას; მდინარის ნაპირდამცავი ზოლები ღვარცოფების პრევენციისთვის • სამკურნალო თვისებების მქონე არსებული მინერალური და თერმული წყლების ირგვლივ არსებული ზოლები. <u>**HCV – 4b**</u>: ტყეები რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიადაგის ეროზიის, მეწყერების, ქვათაცვენის ან ზვავების რისკის და/ან მათი ნეგატური ზემოქმედების შემცირების კუთხით • 35°-ზე მეტად დაქანებულ ფერდობებზე განლაგებული ტყეები • ტყეები რომლებიც განლაგებულია მეწყერსაშიშ, ქვათაცვენის, ზვავების ან თოვლის ჩამოწოლის კუთხით საშიშ ტერიტორიებზე ან მათ გარშემო, რომლებმაც	ი) რომლებსაც მართავს APA. ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ).	**მქონე დაცულ ტერიტორიებში,** დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - HCV4 გვხვდება პრაქტიკულად ყველა დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ტყეებში, რომლებიც მოიცავენ მდინარეებს და ნაკადულებს საშუალო და მაღალმთიან ზონაში; HCV4 რომლებიც მდებარეობს ზემოაღნიშნული კატეგორიების მქონე დაცული ტერიტორიების ფარგლებში, საკმარისად კარგად არის დაცული უკანონო ან არამდგრადი ტყის ჭრისა და ძოვებისაგან და ზოგადად არამდგრადი მართვისაგან. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ადამიანების სიცოცხლეს, მათ საცხოვრებელ გარემოს, ან სხვა ინფრასტრუქტურას ან საარსებო საშუალებებს • სუბ-ალპური ტყეების 300 მ დამცავი ზოლები • ტყის კიდეების 50 მ დამცავი ზოლები • ქარისა და წყლის ზემოქმედებისადმი მგრძნობიარე მიწებზე არსებული ტყეები • ტყეები რომლებიც განლაგებულია შემდეგი ობიექტების გარშემო: ○ საკომუნიკაციო ნაგებობები ○ რკინიგზები და საავტომობილო გზები ○ წყალმომარაგების ნაგებობები ○ ჰიდროკვანძები და არხები ○ მილსადენები ○ ელექტროგადამცემი ხაზები ○ საბაგირო გზები და სათხილამურო ტრასები ○ ტურისტული და საფეხმავლო ბილიკები ○ პირუტყვის გადასარეკი ტრასები. <u>**HCV – 4c:**</u> ტყეები, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ხანძარსაწინააღმდეგო ბარიერებს: • ტყეები, ჭაობები და სხვა ეკოსისტემები, რომლებიც დამცავ ბარიერს ქმნის გამანადგურებელი ხანძრებისგან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანთა დასახლებას,		ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 21-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ)** - კანონაღსრულების დონე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ოფიციალურად არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ HCV4 დეგრადაციის ან განადგურების რისკი მაღალია ზემოაღნიშნული ზეწოლის ფაქტორების გამო. ამგვარად, ამ ფართობებზე სიტუაცია შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 22-ის კრიტერიუმებს და ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ინფრასტრუქტურას ან სხვა HCV-ებს. გლობალური ტყის რესურსების შეფასების (Forest Resources Assessment, FRA) 2015 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს ტყეების 2,2 ჰექტარზე მეტს (ტყის მთლიანი ფართობის დაახლოებით 79%) მინიჭებული აქვს ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქცია [24]. ბევრი ფასეულობა, რომელიც შეესაბამება HCV4 კატეგორიას, ნახსენებია ტყის კოდექსში (1999) და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტში, როგორიცაა საქართველოს სამთავრობო დადგენილება #242 "ტყითსარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ" (2010 წლის 20 აგვისტო). HCV4 ფასეულობების ეს ნუსხა საგრძნობლად გაფართოვდა HCV ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტში, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს საფუძველზე [2, 16]. საფრთხეების შეფასება HCV4 ტყეების საზღვრები არ არის მკაფიოდ დადგენილი და რუკაზე დატანილი ტყეების ეროვნული ინვენტარიზაციის მონაცემებში და შესაბამის ტყის კორომთა გეგმებში (რომლებიც მომზადდა მთავრობის დადგენილება #179-ის საფუძველზე). HCV4 ტყეების მდებარეობისა და საზღვრების თაობაზე დეტალური ინფორმაციისა და შესაბამისი რუკების გარეშე ძალზედ რთულია მათი დაცვა (დაცული ტერიტორიების გარეთ) ისეთი ქმედებებისგან როგორიცაა უკანონო და არამდგრადი ჭრა და ძოვება. უფრო მეტიც, არასათანადო კანონაღსრულება არის პრობლემა პრაქტიკულად ტყის მთლიან		რისკის კატეგორია.

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ფართობზე დაცული ტერიტორიების გარეთ, მათ შორის მოქმედ მართვის გეგმებს დაქვემდებარებულ ტყეებში. შედეგად, ზეწოლის ამ ფაქტორების გამო ეს ტყეები დეგრადაციის მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება. დეგრადაციამ შესაძლოა შეამციროს ამ ტყეების ეკოსისტემების სასიცოცხლო დაცვითი ფუნქციები. მაგალითად, ტყის კორომთა სიხშირის შემცირება (ჭარბი ჭრისა და ძოვების შდეგად) იწვევს მათი ნიადაგდაცვითი (ეროზიისა და ზვავების საშიშროების შემცირება) და წყაროს წყლების წარმოქმნის ხელშემწყობი ფუნქციების შესუსტებას. სუბ-ალპურ ტყეებში (ზღვის დონიდან 1800 მ-ზე მაღლა), უკანონო ჭრა ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას, მოსახლეობის მიგრაციის გამო დაბლობში მდებარე დიდ ქალაქებში. თუმცა საქონლის ჭარბი ძოვება ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სუბ-ალპურ ტყეებში, რომლებიც დასახლებული პუნქტების მახლობლად და საქონლის გადაადგილების დერეფნების გასწვრივ მდებარეობს. ეს ტყეები განიცდის დეგრადაციას ბუნებრივი განახლების შეფერხებისა და ნიადაგის დატკეპვნის გამო (ძროხისა და ცხვრის ძოვების შედეგად). ნიადაგის დატკეპვნა თავის მხრივ იწვევს ეროზიული პროცესების დაწყებას. კანონაღსრულება გაცილებით მკაცრია IUCN I-V კატეგორიის დაცული ტერიტორიების ფარგლებში (მათ შორის იმ დაცულ ტერიტორიებზეც, რომლებსაც არ გააჩნიათ მართვის გეგმა), რომლებსაც მართავს APA, ტყის სხვა ფართობებთან შედარებით. უკანონო ჭრებისა და საქონლის ძოვების შემთხვევები ძალზედ		

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		იშვიათია დაცულ ტერიტორიებზე (სულ რამდენიმე შემთხვევა წელიწადში მთლიანად ქვეყანაში), განსხვავებით ტყის სხვა ფართობებისა, სადაც უკანონო ჭრების მოცულობა რამდენიმე ასეულ ათას კუბურ მეტრს აღწევს წელიწადში (იხილეთ ასევე ინდიკატორ 1.9-ის შეფასება).		
3.5 HCV 5	1, 2, 3, 4, 5, 16, 17, 22, 23, 24, 25, 26	HCV5 არსებობა • ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის არა-მერქნული პროდუქტების შეგროვების ადგილები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი არსებობისთვის, მათ შორის შემდეგი პროდუქტების: ○ გარეული ხილი და კენკრა ○ ფოთლოვანი ბოსტნეული და მცენარეები დასამწნილებლად ○ სუნელი და საკმაზო მცენარეები ○ საკვებად ვარგისი სოკოები ○ სამკურნალო მცენარეები. • ტყის ტერიტორიები, სადაც თაფლის დამზადებისთვის საჭირო საუკეთესო მცენარეების მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება, მათ შორის ტრადიციული (უშუალოდ ხეების გამოყენებით) მეფუტკრეობა • მეფუტკრეობისთვის გამოყენებული ტყიანი ტერიტორიები (ძირითადად ტყის კორომები, სადაც მრავლად არის ცაცხვისა *(Tilia spp.)* და წაბლის *(Castanea sativa)* ხეები), რომლებიც, იმავდროულად, მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვაში (სადაც ფუტკრებს არ შეუძლიათ არსებობა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში, ტყის გარეშე)	დაცული ტერიტორიები (IUCN I-V კატეგორიები) რომლებსაც მართავს APA. ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ).	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებში,** დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - HCV5-ის არსებობა კარგად არის ცნობილი ზოგიერთი დაცული ტერიტორიის შემთხვევაში (მაგალითად მაჭახელას ეროვნული პარკი) და სავარაუდოა სხვა დაცულ ტერიტორიებზეც; HCV5 რომლებიც მდებარეობს ზემოაღნიშნული კატეგორიების მქონე დაცული ტერიტორიების ფარგლებში,

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		• მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის მნიშვნელოვანი ტყეები: ○ ტყეები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის თემებისათვის საშეშე და სამასალე მერქნის თვალსაზრისით, და რომელთაც არ აქვთ ენერგიის წყაროს ან სამშენებლო მასალის სხვა ალტერნატივა. • ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის ტურისტული ბილიკების ირგვლივ არსებული ტყის ზოლები. საფრთხეების შეფასება ტყის იმ ფართობების საზღვრების დადგენა, საიდანაც ხდება ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგება შეშით, მცირე ზომის სამასალე მერქნითა და არამერქნითი პროდუქციით და სადაც მდებარეობს საძოვრები და ფუტკრის სკების განლაგების ადგილები, არის საკმაოდ რთული ამოცანა, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც ტყის ძალზედ მცირე ფართობებისათვის არსებობს ტყის ინვენტარიზაციისა და მარვის გეგმების მონაცემები. მიუხედავად ინფორმაციის ნაკლებობისა კონკრეტულ ტერიტორიებზე HCV5 არსებობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ ტერიტორიებზე მერქნისა და არამერქნითი პროდუქციის დამზადების მოცულობის თაობაზე, მრავალ დოკუმენტსა თუ ანგარიშზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ		საკმარისად კარგად არის დაცული უკანონო ან არამდგრადი ტყის ჭრისა და ძოვებისაგან და ზოგადად არამდგრადი მართვისაგან. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 25-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების გარეთ)** - კანონაღსრულების დონე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ოფიციალურად არსებული დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ HCV5 დეგრადაციის ან განადგურების რისკი

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ამ ფასეულობის შესაბამისი რესურსები ამოწურვის საფრთხის ქვეშაა მრავალ ადგილას დაცული ტერიტორიების გარეთ [5, 26]. ამ ტყეების მიმართ ძირითად საფრთხეს ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობა წარმოადგენს. მაგალითად, ე.წ. სოცალური ჭრები (ძირითადად შეშის დამზადების მიზნით) ტარდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სპეციალური ნებართვების (ბილეთების) საფუძველზე, რომლებიც გაცემულია ადგილობრივი სატყეო სამსახურების მიერ; აღნიშნული ჭრები ხშირად ამ სატყეო სამსახურების კონტროლის მიღმა რჩება. შედეგად, ადგილი აქვს ჭარბი მოცულობით მერქნის დამზადებას და ტყის კორომების სიხშირე საგრძნობლად ეცემა დასახლებული პუნქტების მახლობლად, რაც იწვევს ამ ტყეების დეგრადაციას. ტყის კორომების დეგრადაცია საბოლოო ჯამში გამოიწვევს იმ რესურსების ამოწურვას, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. იგივე სიტუაცია ფიქსირდება ტყის არამერქნითი პროდუქციის მოპოვების სფეროში (კენკრა, სოკო, სამკურნალო მცენარეები და სხვ.). ამ პროდუქტების მოგროვების ინტენსიურობა საკმაოდ მაღალია დასახლებული პუნქტების ახლოს, და უფრო შორ ადგილებშიც კი (5 კმ ან მეტი სოფლებიდან). ამ პროდუქტების მოგროვების მოცულობები არ არის ცნობილი. შესაბამისად, ამ ინფორმაციის ნაკლებობის გამო შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებობს ამ პროდუქტების თანდათანობით ამოწურვის რისკი. HCV5 ტყეები გაცილებით უკეთ არის დაცული APA-ს მიერ მართულ დაცულ		მაღალია ზემოაღნიშნული ზეწოლის ფაქტორების გამო. ამგვარად, ამ ფართობებზე სიტუაცია შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 26-ის კრიტერიუმებს და ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ტერიტორიებზე. ამ ტერიტორიებზე უკანონო ჭრების, ბრაკონიერობის, საქონლის ძოვების ან არამერქნითი პროდუქტების უკანონო ან არამდგრადი მოგროვების შემთხვევები სულ რამდენიმეა წელიწადში მთლიანად ქვეყანაში, განსხვავებით ტყის სხვა ფართობებისა, სადაც უკანონო ჭრების მოცულობა რამდენიმე ასეულ ათას კუბურ მეტრს აღწევს წელიწადში (იხილეთ ასევე ინდიკატორ 1.9-ის შეფასება). ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე, როგორებიცაა აჭარის ავტონომიორ რესპუბლიკაში მდებარე მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები, ტყის არამერქნითი პროდუქტების მოგროვება ნებადართულია ადგილობრივი სოფლის მცხოვრებლებისათვის, მდგრადი მოცულობების ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ კანონაღსრულების გაცილებით მაღალ დონეს დაცულ ტერიტორიებზე, ამ პროდუქტების ამოწურვის რისკი შეიძლება უმნიშვნელოდ შეფასდეს.		
3.6 HCV 6	1, 2, 3, 4, 16, 17, 23, 24, 25, 26, 30, 31, 32	HCV6 არსებობა - ეროვნულ დონეზე, ან ადგილობრივი თემების ტრადიციული კულტურებისთვის კრიტიკული ისტორიული, კულტურული, ეკოლოგიური ან რელიგიური მნიშვნელობის მქონე ადგილები - მაგალითად *ხატის ტყეები* - სალოცავის ტყეები, *საფარი ტყეები* (ეკოლოგიური (დამცავი) ტყეები სოფლების თავზე), რამდენიმე ასეული წლის ხნოვანების მქონე ცალკეული ხეები.	დაცული ტერიტორიები (IUCN I-V კატეგორიები) რომლებსაც მართავს APA. ტყეები, რომლებსაც მართავს საქართველოს	**ტყეები, რომლებიც მოქცეულია IUCN I-V კატეგორიების შესაბამისი სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებში,** დაცულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და იმართება APA - ს მიერ - ზოგიერთი დაცული

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ამ ტყეების მართვაზე პასუხისმგებელი უწყებებია (ისევე, როგორც ტყის სხვა ფართობებზე) APA, ეროვნული სატყეო სააგენტო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო. საფრთხეების შეფასება როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობისათვის კარგად არის ცნობილი რელიგიური მნიშვნელობის ტყეების მდებარეობა. ამ ტყეებშ ადგილობრივები ერიდებიან ხეების ჭრას ან ბრაკონიერობას [30, 31]. თუმცა, დღესდღეობით, HCV6 ტყეები რუკაზე დატანილი არ არის. HCV6 ტყეების მიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მდებარეობს ეკლესია-მონასტრების მიმდებარედ, იმართება საქართველოს საპატრიარქოს მიერ (სულ დაახლოებით 1500 ჰა მთლიანად საქართველოში). აღნიშნული ტყეები NFA-მ ეკლესიას გადასცა მიჩენის წესით, ტყის კოდექსის მე-17 მუხლის საფუძველზე. ამ ტყეების საზღვრები კარგადაა ცნობილი. მათი მთავარი დანიშნულებაა მომლოცველებისათვის და ზოგადად ვიზიტორებისათვის მშვიდი გარემოს შექმნა და ეკლესია-მონასტრების შეშითა და მცირე ზომის მასალით მომარაგება გარკვეული მოცულობით. საზოგადოებისათვის ნებადართულია ამ ტყეებში თავისუფალი გადაადგილება (ისევე, როგორც სხვა ტყეებში). ცალკეული ეკლესიებისათვის მიჩენილი ტყის ფართობები ძალზედ მცირეა (როგორც წესი, რამდენიმე ჰექტარი) და შესაბამისად ამ ტყეების დაცვა იოლია. უფრო მეტიც, საზოგადოება და, განსაკუთრებით,	საპატრიარქო (საეკლესიო ტყეები - სულ დაახლოებით 1500 ჰა) ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიებისა და საეკლესიო ტყეების ფარგლებს გარეთ).	ტერიტორია მოიცავს HCV6 ფასეულობის ტყეებს; აღნიშნული ტყეები რომლებიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში, საკმაოდ კარგად არის დაცული კანონაღსრულების მაღალი დონის წყალობით. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 29-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყეები, რომლებსაც მართავს საქართველოს საპატრიარქო -** ცნობილია ამ ტყეების მიმართ საქართველოს საზოგადოების პატივისცემის მაღალი დონე; ეს პატივისცემა განსაკუთრებით გამოიხატება

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
		ადგილობრივი თემები ღრმა პატვისცემით არიან განმსჭვალულნი ამ ტყეების მიმართ და შედეგად, ეს უკანასკნელი კარგად არის დაცული [32]. HCV6 ტყეები (ისევე როგორც სხვა HCV კატეგორიების ტყეები), რომლებიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში და APA-ს გამგებლობის ქვეშ, ასევე კარგად არის დაცული უკეთესი კანონაღსრულების წყალობით. ტყის კოდექსი (1999) ადგილობრივი თემების უფლებებს HCV6 ტყეების შენარჩუნებისა და ამ ტყეებით მდგრადი სარგებლობის კუთხით არეგულირებს ტრადიციული სარგებლობის უფლების კონტექსტში (ტყეებში თავისუფლად შესვლისა და გადაადგილების უფლება, მათ შორის რელიგიური საქმიანობის მიზნით). ტრადიციულ უფლებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ინდიკატორ 1.13-ის შეფასებაში. თუმცა, ჯერ ისევ არსებობს რისკი, რომ ამ კატეგორიის ტყეები, რომლებიც არ არის APA-ს ან ეკლესიის მართვის ქვეშ, შესაძლოა დაზიანდეს უკანონო ტყის მჭრელების ან ბრაკონიერების მიერ, ამ უკანასკნელთა მიერ (მითუფრო, თუ ისინი ადგილობრივები არ არიან) შესაბამისი ფასეულობების თაობაზე ინფორმაციის არქონის, ან უბრალოდ ამ ფასეულობათა იგნორირების გამო.		ადგილობრივი თემების მიერ. ასევე, აღნიშნული ტყეები მცირე ფართობებს მოიცავს, მდებარეობს ეკლესია-მონასტრების გარშემო და შესაბამისად, ადვილია მათი კონტროლი და დაცვა უკანონო სარგებლობისაგან. შესაბამისად, ამ ტყეებში უკანონო სარგებლობის რისკი უმნიშვნელოა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფართობებზე მოთხოვნები NRAF მაჩვენებელ 29-ის მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია. **ტყის სხვა ფართობები (დაცული ტერიტორიების და საქართველოს საპატრიარქოს მიერ მართული ტყის ფართობების გარეთ -**

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
				(როგორც წესი, ამ ტყეების მდებარეობა კარგად არის ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობისათვის და, შესაბამისად, ადვილად არის შესაძლებელი მათი გამოვლენა და რუკაზე დატანა სერტიფიკატის მფლობელის მიერ ამ მოსახლეობის წარმომადგენლებთა ნ კონსულტაციის შედეგად) - შესაძლებელია არსებობდეს HCV6 ტყეების დაზიანების რისკი უპასუხისმგებლო ტყითმოსარგებლეებ ის მხრიდან (განსაკუთრებით სხვა სოფლებიდან ან ქალაქებიდან, რომლებიც კონკრეტული HCV6-ის მქონე ტყის ტერიტორიიდან შორს მდებარეობს), ამ ფართობებზე უფრო სუსტი კანონაღსრულებისა და კონტროლის გამო. ამგვარად, ამ ფართობებზე სიტუაცია

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო[4]	HCV არსებობა და საფრთხის შეფასება	ფუნქციონალ ური მასშტაბი	რისკების განსაზღვრა და მინიჭება
				შეესაბამება NRAF მაჩვენებელ 30-ის კრიტერიუმებს და ამ ინდიკატორს მიენიჭა სპეციფიური რისკის კატეგორია.

კონტროლის სავალდებულო[5] ღონისძიებები

ინდიკატორი	კონტროლის სავალდებულო ღონისძიებები
3.1 HCV 1	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი: • წითელი ნუსხის სახეობების (ეროვნული, ევროპული, საერთაშორისო) ჰაბიტატები • ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმასა და საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებში ნახსენები ენდემური სახეობების ჰაბიტატები • სახეობების კრიტიკული დროებითი კონცენტრაციის ადგილები. ამ კვლევების საფუძველზე, თუ იქნება მტკიცებულება, რომ არ არსებობს HCV 1.b და 1.c მოცემული სატყეო უბნის ფარგლებში, რისკი ჩაითვლება როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 1.b და/ან 1.c ჰაბიტატები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას ამ ჰაბიტატებში[7]. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების

[6] კონტროლის ყველა აღნიშნული ღონისძიება სავალდებულოა, რადგან არსებობს საჭიროება, რომ გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი HCV-ბი მართვის ერთეულში (გარდა HCV1.a). უფრო მეტიც, საქართველოშ პრაქტიკულად არ არსებობს კანონმდებლობა რომელიც მოითხოვდა HCV-ბის გამოვლენას, რუკაზე დატანას და დაცვას (გარდა ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილება #132-ისა, რომელიც ძალზედ ზოგადია). ამ სიტუაციაში, კონტროლის ღონისძიებების (CM) ჩატარება აუცილებელია. აღნიშნული CM ეხება ტყეებს, რომლებიც: ა) მდებარეობს IUCN I-V კატეგორიების დაცული ტერიტორიების გარეთ და იმართება APA-ს მიერ (ყველა HCV) და ბ) არ იმართება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ეხება HCV6-ს)

[7] მთავარი სარგებლობის ჭრები გულისხმობს მწიფე ხეების მოჭრას, კომერციული (ძირითადად მასალა) ან სოციალური (ძირითადად შეშა) მიზნებისათვის.

	საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში. ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება.
3.2 HCV 2	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი: • ტყის არიდული ეკოსისტემები • ხელუხლებელი ტყეები და ტყის ლანდშაფტები და უწყვეტი ვრცელი ტყის ლანდშაფტები ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ტყის ინვენტარიზაციის მასალები, დეტალური სატელიტური გამოსახულებები ან აეროფოტოები (მინიმუმ 60 სმ რეზოლუციით), ექსპერტების შეფასებები და Global Forest Watch-ის ვებგვერდი (http://intactforests.org). ამ კვლევების საფუძველზე, თუ დადასტურდება, რომ HCV2 არ არსებობს ტყის მოცემულ უბანზე, რისკი ჩაითვლება, როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 2 ტყეები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას არიდული ტყის ეკოსისტემებში და ვრცელ უქყვეტ ტყის ლანდშაფტებში და ჭრების სრულ აკრძალვას ხელუხლებელ ტყეებში და ტყის ლანდშაფტებში. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში. ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა

	მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება.
3.3 HCV 3	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი: - შემორჩენილი ბუნებრივი (მათ შორის ბუნებრივი სახეცვლილი) ჭალის ტყეები აღმოსავლეთ საქართველოში (მდ. ალაზნის, ივრისა და მტკვრის და მათი შენაკადების გასწვრივ; სულ, დაახლოებით 25 000 ჰა) - აღმოსავლური ნაძვის *(Picea orientalis)* კორომების მცირე ფრაგმენტები მდინარე არაგვის ხეობაში (მდინარე კაწალხევი, დუშეთის მუნიციპალიტეტი) - აღმოსავლური წიფლის *(Fagus orientalis)* ტყეები, აბასთუმნის მუნიციპალიტეტი - სოსნოვსკის ფიჭვის *(Pinus Sosnowskii)* ტყეები ცივგომბორის მთის ირგვლივ (თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები) - აღმოსავლური წიფლის ტყეები როდოდენდრონის *(Rhododendron spp.)* ქვეტყით ილტოს ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) - პონტოს მუხის *(Quercus pontica)* კორომი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხაკოურასთან. ამ კვლევების საფუძველზე, თუ დადასტურდება, რომ HCV3 არ არსებობს ტყის მოცემულ უბანზე, რისკი ჩაითვლება, როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 3 ტყეები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას ამ ტყეებში. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში. ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება.
3.4 HCV 4	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი ყველა ზემოაღნიშნული HCV4 ტყე. ამ კვლევების საფუძველზე, თუ დადასტურდება,

	რომ HCV4 არ არსებობს ტყის მოცემულ უბანზე, რისკი ჩაითვლება, როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 3 ტყეები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსის, წყლის შესახებ საქართველოს კანონისა (1997) და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას შესაბამის ადგილებში (მაგ. მდინარეების გასწვრივ ბუფერულ ზონებში). საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში. ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება.
3.5 HCV 5	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი ყველა ზემოაღნიშნული HCV5 ტყე. ამ კვლევების საფუძველზე, თუ დადასტურდება, რომ HCV5 არ არსებობს ტყის მოცემულ უბანზე, რისკი ჩაითვლება, როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 5 ტყეები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას შესაბამის ადგილებში (მაგ. წაბლის ან ცაცხვის მაღალი კონცენტრაციის მქონე კორომებში, რომლებიც მნიშვნელოვანია თაფლის წარმოებისათვის). საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში.

	ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება.
3.6 HCV 6	უნდა ჩატარდეს სპეციალური კვლევები უნივერსიტეტის მეცნიერების, დამოუკიდებელი ეხსპერტების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან საკონსულტაციო კომპანიების მიერ (რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან FSC სერტიფიკატის მფლობელის მიერ), შესაბამისი სატყეო ერთეულის/უბნის ფარგლებში, რათა გამოვლინდეს და რუკაზე იქნეს დატანილი ყველა ზემოაღნიშნული HCV6 ტყე. ამ კვლევების საფუძველზე, თუ დადასტურდება, რომ HCV6 არ არსებობს ტყის მოცემულ უბანზე, რისკი ჩაითვლება, როგორც დაბალი. თუ აღმოჩნდება ეს ფასეულობები სატყეო ერთეულში, ამ ერთეულის მმართველებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გამოვლენილი HCV 3 ტყეები სათანადოდ არის დაცული 10-წლიანი მართვის გეგმის და/ან წლიური სამოქმედო/ოპერატიული გეგმის საფუძველზე, ტყის კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობისა და სტადარტების თანახმად. ეს გულისხმობს მთავარი სარგებლობის ჭრების აკრძალვას ამ ტყეებში. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ღონისძიებები ამ ფასეულობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მტკიცებულება რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მოიცავს თავად HCV-ების საკმარისად კარგ მდგომარეობას ადგილზე (რაც დადასტურებულია საველე ვიზიტების შედეგად) და მათი დაცვა-გაუმჯობესების ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების დამადასტურებელ ფაქტებს. ტყის მართვის და/ან წლიურმა საოპერაციო გეგმებმა ასევე უნდა მოიცვან ამ HCV-ების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის მოთხოვნები. შესაბამისმა სატყეო უბნებმა უნდა წარმოადგინონ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მონიტორინგი რეალურად ტარდება (საველე ანგარიშები, ფოტოები, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების დასტური და ა.შ.) და რომ ხდება მისი შედეგების გათვალისწინება ტყის მართვაში. ასევე უნდა მოეწყოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შეხვედრები ადგილობრივი თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების გადამოწმება. იმის გამო, რომ აღნიშნული კატეგორიის ტყეს განსაკუთრებული სულიერი და კულტურული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ უკანასკნელებთან კონსულტაციებს.

ინფორმაციის წყაროები

No	ინფორმაციის წყარო	შესაბამისი ინდიკატორ(ებ)ი ან CW კატეგორია
1	საქართველოს ტყის კოდექსი, 1999 წ.	3.0 – 3.6
2	ტყის ზონირების დირექტივა (მუშა ვერსია) საქართველოსთვის. 2015 წ.	3.0 – 3.6
3	ბრაუნი ე., დადლი დ., ლინდჰე დ.რ., მატჰტამანი, კ., სტიუარტი და ტ. სინოტი (რედაქტორები). 2013 წ. (ოქტომბერი). ზოგადი მითითებები მაღალი	3.0 – 3.6

No	ინფორმაციის წყარო	შესაბამისი ინდიკატორ(ებ)ი ან CW კატეგორია
	კონსერვაციული ღირებულებების იდენტიფიცირებისთვის. HCV რესურსების ქსელი. – 74 გვ.	
4	რეკომენდაციები მაღალი კონსერვაციული ღირებულებების 5 & 6 იდენტიფიცირების, მართვისა და მონიტორინგისთვის. სემინარის ანგარიში. 2014 წ. 29 აპრილი - 1 მაისი. MJ გრანდ ოტელი, აკრა, განა. 36 გვ.	3.5 – 3.6
5	საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014 – 2020)	3.0 – 3.3
6	საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების IUCN-ის წითელი ნუსხა http://www.iucnredlist.org	3.1
7	კავკასია-ანატოლია-ჰირკანის ზომიერი კლიმატის ტყეები http://wwf.panda.org/about_our_earth/ecoregions/caucasus_temperate_forests.cfm	3.2
8	ოლსონი მ.დ., 2002 წ. გლობალ 200: პრიორიტეტული ეკორეგიონები გლობალური კონსერვაციისთვის. მისურის ბოტანიკური ბაღის ქრონიკები 89(2):199-224.	3.2
9	გლობალური 200 ეკორეგიონის სია http://assets.worldwildlife.org/publications/19/files/original/global200ecoregions.zip?1343838792	3.2
10	გლობალური ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების სია http://www.conservation.org/How/Pages/Hotspots.aspx	3.2
11	WWF/IUCN. 1994. მცენარეთა ბიომრავალფეროვნების ცენტრები: მათი კონსერვაციის გზამკვლევი და სტრატეგია. ტ. 2. დევისი ს. დ., ვ. ჰ. ჰეივუდი და ა. კ. ჰამილტონი (რედაქტორები).WWF/IUCN, კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო	3.2
12	მსოფლიოს ხელშეუხებელი ტყის ლანდშაფტები http://www.intactforests.org/world.map.html	3.2
13	პოტაპოვი კ., იაროშენკო ა., ტურუბანოვა ს., დუბინინი მ., ლესტადიუსი ლ., ტიესი კ., აკსიონოვი დ., ეგოროვი ა,მ იესიპოვა ი., გლუშკოვი ი., კარპაჩევსკი მ., კოსტიკოვა ა., მანიშა ა., ცუბიკოვა ე., ჟურავლიოვა ი. 2008 წ. მსოფლიოს ხელუხლებელი ტყიანი ლანდშაფტების რუქაზე დატანა დისტანციური ზონდირების საშუალებით. ეკოლოგია და საზოგადოება, 13 (2)	3.2
14	აიჩის ბიომრავალფროვნების მიზნები https://www.cbd.int/sp/targets/	3.0 – 3.3
15	*საქართველო - ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციის მეხუთე*	3.0 – 3.3

No	ინფორმაციის წყარო	შესაბამისი ინდიკატორ(ებ)ი ან CW კატეგორია
	ეროვნული ანგარიში. 2015 წ. მომზადებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ	
16	ლობჟანიძე ბ., 2010 წ. *რეკომენდაციები საქართველოს ტყეების ზონირებისთვის მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით და ტყის ეკოსისტემების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის სახელმძღვანელო მითითებები.* მომზადებულია ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის *„სატყეო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის და მართვის გაუმჯობესება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ქვეყნებსა და რუსეთში“* (ENPI FLEG) ფარგლებში.	3.0 – 3.6
17	ძნელაძე მ., WWF ამიერკავკასიის ოფისი, კალემი ს., WWF თურქეთის ოფისი და ზაზანაშვილი ნ., WWF ამიერკავკასიის ოფისი. 2005 წ. *მაღალი კონსერვაციული ღირებულებების იდენტიფიცირება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში: ტრანს-სასაზღვრო კოლხური ტყიანი ლანდშაფტების მაგალითი.* პროექტი დააფინანსა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა (IBRD ან World Bank), განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ (IDA) და WWF ამიერკავკასიის ოფისმა მსოფლიო ბანკი/WWF ტყის კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ალიანსის ფარგლებში.	3.0 – 3.6
18	აჭარის ტყეებთან მიმართებაში ჩატარებული ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასების კვლევა https://simple.wikipedia.org/wiki/Endemism	3.1
19	აჭარის სატყეო სააგენტო LEPL. სტრატეგიული გეგმა. 2015 წ.	3.1; 3.3
20	კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა. 2012 წ. რევიზირებული და განახლებული ვერსია.	3.1
21	WWF სატყეო სტრატეგია სამხრეთ კავკასიისთვის: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთი. 2005 წ.	3.0 – 3.6
22	HCV რესურსების ქსელი. საქართველო. https://www.hcvnetwork.org/resources/countrycontainer.2006-09-27.2436295488/country.2007-06-07.8445264705	3.0 – 3.6
23	მაღალი კონსერვაციული ღირებულების (HCV) ტყეების ეროვნული ჩარჩო დოკუმენტი საქართველოსთვის	3.0 – 3.6
24	FAO ტყის რესურსების შეფასება (FRA) 2015 – ეროვნული ანგარიში, საქართველო. http://www.fao.org/3/a-az219e.pdf	3.0 – 3.6

No	ინფორმაციის წყარო	შესაბამისი ინდიკატორ(ებ)ი ან CW კატეგორია
25	პერსონალური კომუნიკაცია ბ-ნ ირაკლი სისვაძესთან, ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის დაგეგმვის სამსახურის უფროსთან; საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტო (2016 წლის 1 აგვისტო)	3.0 – 3.6
26	*„სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა“* (FLEG II) (2013-2016). პროგრამას აფინანსებს ევროპის კომისია და ავსტრიის განვითარების სააგენტო და ხორციელდება WWF-ის მიერ მსოფლიო ბანკთან და IUCN-თან თანამშრომლობით. შესაბამისი ანგარიშები, ანალიზები და სხვა დოკუმენტები შეიძლება ჩამოტვირთოთ აქ: http://www.enpi-fleg.org/	3.0 – 3.6
27	ქვაჩაკიძე, რ, იაშაღაშვილი, კ და ლაჩაშვილი, ნ. 2004. *საქართველოს ძირეული ტყეები.* დაბეჭდილია გამომცემლობა „მეცნიერება“-ში. თბილისი.	3.2 – 3.3
28	IUCN ოფისი საქართველოში. 2016. ტყის რესურსებზე დამოკიდებულება საქართველოს სოფლის ტიპის დასახლებებში. რეზიუმე. ანალიზი ჩატარდა პროგრამის *„სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა“* (FLEG II) (2013-2016) ფარგლებში. პროგრამას აფინანსებს ევროპის კომისია და ავსტრიის განვითარების სააგენტო და ხორციელდება WWF-ის მიერ მსოფლიო ბანკთან და IUCN-თან თანამშრომლობით.	3.0 – 3.6
29	პერსონალური კომუნიკაცია ბ-ნ ირაკლი მაჭარაშვილთან, ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორთან; არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ (2015 წლის 1 ოქტომბერი)	3.0
30	საქართველოს მთავრობის დადგენილება #16 (2014 წლის 3 იანვარი), „ტექნიკური რეგლამენტის - თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“	3.6
31	„მწვანე საუბარი“ – ინტერვიუ დოქტორ ნუგზარ ზაზანაშვილთან, კონსერვაციის დირექტორთან; WWF-კავკასიის პროგრამის ოფისი; დაიბეჭდა გაზეთ „24 საათში“; 2011 წლის 29 მაისი; ინტერვიუ ჩაატარა ლევან ბუთხუზმა; არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესი“; http://www.24saati.ge/weekend/story/16979-mtsvane-saubari	3.6
32	პერსონალური კომუნიკაცია ქ-ნ ნათია იორდანიშვილთან, საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილესთან (თარიღი: 2017	3.6

No	ინფორმაციის წყარო	შესაბამისი ინდიკატორ(ებ)ი ან CW კატეგორია
	წლის 20 იანვარი)	
33	მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების გამოვლენა და რუკაზე დატანა და მართვის რეკომენდაციების შემუშავება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სექტორისათვის (საქართველო). სატენდერო განცხადება ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: http://wwf.panda.org/what_we_do/where_we_work/black_sea_basin/caucasus/tenders/?295490/Identifying-and-mapping-forests-with-High-Conservation-Values-and-producing-management-recommendations-for-Ajara-Autonomous-Republic	3.0

რისკების კატეგორია 4: მერქანი ტყეებიდან სადაც ხდება ბუნებრივი ტყეების (განადგურების შედეგად) პლანტაციებში ან მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა

რისკების შეფასება

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო	ფუნქციონალური გამიჯვნა	რისკის განსაზღვრა
4.1 ბუნებრივი ტყეების კაფვა და სატყეო მიწის გადაყვანა ნარგაობების ან არა-სატყეო სარგებლობის	ტყის კოდექსი (1999 წ.) /საქართველოს 1999 წ. 22 ივნისის კანონი # 2124-IIs (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I, ტომი 28/35/, 08.07.1999 წ.) / კონსოლიდირებული ვერსია 23.09.2013 წ. მდგომარეობით / 21	-	**შესავალი** საქართველოს სატყეო სექტორის საკანონმდებლო-ინსტიტუციური სტრუქტურა ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია, რაც იწვევს არასაკმარის კანონაღსრულებას დაცული

კატეგორიაში შესაფასებელ ტერიტორიაზე მთლიანი ფართობის 0.02%-ზე ნაკლებია, ან ბოლო 5 წლის მანძილზე ტყის საფარის საშუალო წლიური სუფთა კარგვა 5000 ჰა-ზე ნაკლებია (რომელიც უფრო ნაკლებია), ან ტყეების კაფვა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა უკანონოა ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე, სახელმწიფო და კერძო მიწაზე. შენიშვნა: შემდეგი ცვლილებები არ ითვლება ტყის საფარის კარგვად/სხვა კატეგორიად გადაყვანად: გზების კანონიერი გაყვანა, დამზადებული მერქნის საწყობები და სატყე-სამეურნეო ოპერაციების ხელშეწყობის	შემასწორებელი კანონით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს 06.09.2013 წ. # 1031-Is კანონით - სსმ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 23.09.2013 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228 სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესები (2010 წ.) - საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს დადგენილება # 240 „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტომი 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1495) / 4 შემასწორებელი განმარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო ცვლილება შეტანილია საქართველოს მთავრობის 22.07.2015 #361 დადგენილებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/1020982 საქართველოს მთავრობის 2011 წ. 4 აგვისტოს დადგენილება # 299 „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის იდენტიფიცირება/ გამიჯვნის თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდი, 110809014, 09/08/2011 წ.) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1455480 **კომპეტენტური ორგანო** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ეროვნული სატყეო სააგენტო (ექვემდებარება გარემოსა და		ტერიტორიების გარეთ. შედეგად, ტყეების დეგრადაცია და სიხშირის კლება კვლავ სერიოზული პრობლემებია, ძირითადად გამოწვეული არამდგრადი ჭრებითა და ძოვებით. თუმცა, ტყის საფარის მთლიანი მოცილება მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბში ხდება. არ ხდება ტყის ბუნებრივი საფარის გადაყვანა პლანტაციებში (ტყის ფონდის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობისა და ტყეების მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანის შესაძლებლობების შეზღუდვის გამო, მათ შორის პლანტაციებში). დამატებითი ინფორმაცი მოცემულია ქვემოთ. **კანონმდებლობის შინაარსი** ტყის კოდექსი ითვალისწინებს ტყეებზე სახელმწიფო საკუთრების სტატუსს. კოდექსის თანახმად, ტყეების პრივატიზაცია, და, ამგვარად, კერძო საკუთრებაში ყოფნა შესაძლებელი იქნება მომავალში, იმ შემთხვევაში, თუ ძალაში შევა სპეციალური კანონი სახელმწიფო ტყეების პრივატიზაციის თაობაზე. 1999 წლიდან (როდესაც დამტკიცებულ იქნა ტყის კოდექსი) ასეთი კანონპროექტის შემუშავების და ამოქმედების მცდელობას ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფო ტყის ფონდს მართავს ეროვნული სატყეო სააგენტო (63.8%), დაცული ტერიტორიების სააგენტო (15.2%) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (4.6%), ხოლო 16.4% მდებარეობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს. კანონი, რომელიც არეგულირებს ტყეების გადაყვანას

მიზნით მოწყობილი ინფრასტრუქტურა	ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინსტროს) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო (უშუალოდ ექვემდებარება აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას) http://www.terrainstitute.org/pdf/Georgia_LMDP_Final_Report.pdf		მიწის სხვა კატეგორიებში ამჟამად მოიცავს ტყის კოდექსს (1999) სადაც თავის მხრივ ნახსენებია ტყის ფონდის საზღვრების დადგენის წესები (2010). წესში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება ტყის გაკაფვისა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანის თაობაზე მიიღება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების შეცვლით (შესწორებით). ტყის გაკაფვა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა (და, ამგვარად, საზღვრების შეცვლა/ შესწორებაც) შეიძლება განხორციელდეს ინფრასტრუქტრული პროექტების, 250 000 ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების, სამხედრო პროექტების განხორციელებისას ან სხვა მოთხოვნებისას, რომლებსაც მთავრობა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონედ ჩათვლის. ტყეების გაკაფვისა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანის პროცედურა მოიცავს სავალდებულო თანხმობას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან, თუმცა თანხმობის ან უარის მკაფიო კრიტერიუმები არსებულ წესებში მოცემული არ არის. შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რის შემდეგაც საკუთრებას რეგისტრაციაში გაატარებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (ექვემდებარება იუსტიციის სამინსიტროს). ტყეების გაკაფვისა და მიწის კატეგორიის შეცვლის პროცედურა შეიძლება წამოიწყოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურული და/ან საინვესტიციო პროექტის განხორციელებას. პროცესის ინიციატორი ასევე შეიძლება იყოს

			მთავრობა და სატყეო ადმინისტრაცია. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ტყეების გაკაფვას და მიწის კატეგორიის შეცვლას, რადგან ნებართვის მოპოვება შესაძლებელია ტყის ფონდის საზღვრების შეცვლის მიზნით (თუ შესაბამისი მოთხოვნა დასაბუთებული იქნება). ოფიციალურად რუკაზე, როგორც ტყე, დატანილია მხოლოდ ტყის ფონდად კლასიფიცირებული ტყე, თუმცა ტყეები (ან ხის ინდივიდუალური სახეობები) არის კერძო და სხვა მიწებზეც (მუნიციპალურ მიწებზე), ტყის ფონდის საზღვრებს გარეთ. თუ მოცემული კორომი ტყის ფონდის ფარგლებს გარეთაა, მერქნის მოპოვებაზე და ზოგადად ტყის ჭრაზე საჭიროა დამატებითი თანხმობა ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოებისგან. ასეთ მიწებზე მოპოვებული ხე-ტყე არ დაიშვება ბაზარზე. იგი მხოლოდ მუნიციპალიტეტის მცხოვრებლის ინდივიდუალური მოხმარების (სამასალე მერქანი კერძო ნაკვეთებიდან) ან სოციალური მიზნებისათვის (შეშა) შეიძლება იქნეს გამოყენებული. **საჯარო რეესტრში ტყის ფონდის მიწების დარეგისტრირება** ტყის ფონდის მიწებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია პრობლემატურია მიწის მართვის სფეროში ერთიანი სისტემატიზირებული აქტის არარსებობის გამო. ამ ფაქტორებს უშუალოდ მივყავართ ტყეების გაკაფვისა და მიწის კატეგორიის შეცვლისკენ და ფრაგმენტაციისკენ: გათვალისწინებული იყო, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი

			ტყის ფონდის საკუთრების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის/ გამიჯვნის თაობაზე“ მთავრობის 2011 წ. 4 აგვისტოს #299 განკარგულების ფარგლებში მოცემული მონაცემებისა და ადგილმდებარეობების საფუძველზე. რეგისტრაციის პროცესი ჯერ ისევ მიმდინარეობს; მეტიც, სამუშაოები გამუდმებით ფერხდება წინასწარი გამიჯვნის ხარვეზების (სახელმწიფო ტყის ფონდიდან დეგრადირებული ტყეების დიდი ტერიტორიების ამოღების) გამო. ამჟამად გაურკვეველია, თუ როდის დასრულდება ტყის რეგისტრაციის პროცესი. **მიწების პრივატიზაციის (მ.შ. ტყეების) საკითხი** როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ტყის კოდექსის თანახმად, პრივატიზაცია და შესაბამისად ტყის მიწებზე კერძო საკუთრება შესაძლებელი იქნება მომავალში იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის მიწების პრივატიზაციის სპეციალური კანონი იქნება დამტკიცებული. 1999 წლიდან (როცა მიღებულ იქნა ტყის კოდექსი), არ ყოფილა მცდელობა მსგავსი კანონის მომზადებისა და დამტკიცების. საქართველო წარმატებით ახორციელებს მიწის პრივატიზაციას და საკუთრების რეფორმას 1990-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა მიწის პრივატიზაცია და გადანაწილება მოქალაქეებზე. 2004 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ შეიქმნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), რათა შესაძლებელი გამხდარიყო მიწის საკუთრების

			უფლების, ასევე სხვა ფიქსირებული აქტივების და კომპანიების დარეგისტრირება. რეესტრმა ხელი შეუწყო მიწისა და ფიქსირებული აქტივების რეგისტრაციის პროცესის ფორმალიზებას და საქართველოს მოქალაქეებს მისცა მიწაზე საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითხოვს, რომ საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყოს და საკუთრების უფლება და უფლებები ძალაში შევიდეს ასეთი რეგისტრაციის დღიდან. საკუთრების უფლება ხელშეკრულების საფუძველზე არ ჩაითვლება ძალაში მყოფად, მოქმედად და აღსრულებადად, თუ არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიწის რეგისტრაცია გაუმჯობესდა 1999-2005 წ.წ. USAID-ის მიერ დაფინანსებული მიწის ბაზრის განვითარების პროექტის განხორციელების შედეგად, რამაც უზრუნველყო 2.5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთების სისტემატური საკადასტრო აზომვები და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ამჟამად მიწის რეგისტრაცია უფასოა და ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიწის რეგისტრაციისთვის. თუ ტყის ფონდის მიწა არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაძლოა იყოს რისკი ტყის სასაზღვრო ტერიტორიის პრივატიზებისა, რის შემდეგაც კერძო მფლობელმა შეიძლება გაკაფოს და მიწა გადაიყვანოს სხვა კატეგორიაში. **ხდება თუ არა კანონის აღსრულება?** ტყეების კაფვასა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულება ხდება ეროვნული სატყეო

			სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ადგილზე კონტროლის საშუალებით. თუმცა, სახელმწიფო ტყეების მართვასა და სატყეო კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები და არ შეუძლიათ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება. http://www.terrainstitute.org/pdf/Georgia_LMDP_Final_Report.pdf **შესაძლებელია თუ არა დავასკვნათ, რომ სივრცული ზღვარი (0.02% ან 5000 ჰა) დაცულია?** მიუხედავად ზემოთ აღწერილი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ხარვეზებისა, არ არსებობს ტყის მნიშვნელოვანი ფართობების განადგურებისა და ამ ფართობების მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანის ფაქტები, როგორც ტყის ფონდის ფარგლებში, ისე მათ გარეთ. ტყის საფარის კარგვის ჯამური ფართობის თაობაზე ოფიციალური მონაცემები არ არსებობს: ა) ეროვნულ დონეზე ტყეების ინვენტარიზაციის მასალების ნაკლებობისა და ბ) საკადასტრო მონაცემებში ტყის საფარის ცვლილების თაობაზე (თუ სად და როდის განხორციელდა ცვლილება) ჩანაწერების შესრულებისა და მათი შენახვის თაობაზე საკანონმდებლო მოთხოვნის არარსებობის გამო. თუმცა, სატელიტური მონაცემები Global Forest Watch-ის (GFW) ვებგვერდიდან ცხადყოფს, რომ ტყის საფარის საშუალო წლიური შემცირების (ფიზიკური) მაჩვენებელი

			საქართველოში 0,02%-ზე ნაკლებია და, ასევე, 5000 ჰექტარზე გაცილებით ნაკლებია ჯერ კიდევ 2009 წლიდან. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ ტყის მთლიან ფართობს, 2,77 მილიონ ჰა-ს, აქედან 0,02% დაახლოებით 550 ჰა იქნებოდა. GFW-ს თანახმად, ტყის ფართობის ჯამური დანაკარგი 2637 ჰა იყო 2009-2014 წწ პერიოდში (სამწუხაროდ არ არსებობს 2015 და 2016 წლების მონაცემები). ეს ნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში ტყის საფარის საშუალო წლიური დანაკარგი 530 ჰა-ზე ნაკლებია (და, შესაბამისად, ნაკლებია 550 ჰა-ზე - ტყეების მთლიანი ფართოპის 0,02%-ზე, როგორც ზღვრულ მაჩვენებელზე). უფრო მეტიც - აღნიშნული მონაცემები მხოლოდ ტყის საფარის კარგვას ეხება და არ ითვალისწინებს ტყის საფარის საშუალო წლიურ მატებას ბუნებრივი განახლების შედეგად. აღნიშნული მატება რამდენიმე ასეულ ჰექტარს შეადგენს წელიწადში (და ტყის საფარის ზრდის ძირითადი წყაროა) უკანასკნელ წლებში. რაც შეეხება ტყის საფარის ზრდას ხეების რგვის ხარჯზე, აღნიშნული მხოლოდ რამდენიმე ათეულ ჰექტარს, ან ზოგჯერ პრაქტიკულად ნულსაც კი შეადგენს უკანასკნელ პერიოდში. იგივე ტენდენცია შეინიშნება საქართველოს სატყეო სექტორში 2015-2016 წწ (სხვა სიტყვებით - არ არსებობს მნიშვნელოვან ფართობებზე ტყის საფარის ფიზიკურად განადგურებისა და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანის ფაქტები, მაშინ, როდესაც ზოგადი პოლიტიკური, საკანონმდებლო და ინსტიტუციური კონტექსტი პრაქტიკულად იგივე რჩებოდა).

			რისკის შეფასება - არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებლების 1, 2 და 3 მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია.

კონტროლის რეკომენდებული ღონისძიებები

N/A.

რისკების კატეგორია 5: ტყეში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყვანა და ამ ხეებიდან დამზადებული მერქნით კომერციულად სარგებლობა.

რისკების შეფასება

ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო	ფუნქციონალური გამიჯვნა	რისკის განსაზღვრა
5.1 არ აქვს ადგილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეებით კომერციულ სარგებლობას	კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ (2014 წ.)/ საქართველოს 2010 წ. 18 სექტემბრის კანონი # 2656- LHG-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 02.10.2014 /https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028 საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება #241 „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1496) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო	-	„გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“ კანონის (2014) მე-7 მუხლის 1-ლ ნაწილში ნათქვამია, რომ “საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქცია. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”. ამავე კანონის 22-ე მუხლის 1-ლი

	შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 13.10.2011 წ. განკარგულებით # 391 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021046		ნაწილის თანახმად "აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი მისი საქართველოს ტერიტორიაზე გარემოში ინტროდუქციისათვის.". ეს ჩანაწერები ასევე ეხება ხეებს და სხვა მერქნიან სახეობებს, რომლებიც ასოცირდება ტყესთან (რადგანაც, ამ კანონის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ იგი ეხება ასევე მცენარეებს, რაც ბუნებრივად გულისხმობს ტყეებს). „ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ" მთავრობის დადგენილების (2010) 23-ე მუხლის მე-9 ნაწილი ამბობს, რომ "აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება ტყის აღდგენის მიზნით". უფრო მეტიც, საქართველოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების ნებისმიერი ფორმით (განსაკუთრებით - კომერციულად) გამოყენების ფაქტები არ არის ცნობილი; არ მოიპოვება ანგარიშები მსგავსი ფაქტების შესახებ. კერძოდ, საქართველოში ტექნიკურად შეუძლებელია გენმოდიფიცირებული ხეების კომერციულ მასშტაბებში

			წარმოება. გენმოდიფიცირებული ხეებიდან წარმოშობილი რეპროდუქტიული მასალების იმპორტი მოითხოვდა შესაბამის ნებართვას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან. დღესდღეობით, სამინისტროში არ შემოსულა მსგავსი სახის მოთხოვნა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსგავსი ნებართვა მოპოვებულ იქნება, იმპორტიორს არ ექნებოდა უფლება გენმოდიფიცირებული ხეების კომერციულად გამოყენებისა (გენმოდიფიცირებული ორგანიზმების თაობაზე ზემოაღნიშნული კანონის 22-ე მუხლი). გენმოდიფიცირებული ხეების ან რეპროდუქციული მასალებს უკანონო (უნებართვო) იმპორტი საკმაოდ სარისკო იქნებოდა შემომტანისათვის, საბაჟო სამსახურების მუშაობის მაღალი ეფექტიანობის წყალობით (იხილეთ ინდიკატორ 1.19-ის შეფასება). უფრო მეტიც - კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების უკანონო იმპორტია თუ კომერციული სარგებლობა), დამრღვევი დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით. ყველა ეს ფაქტორი პრობლემატურს და

			არამიმზიდველს ხდის გენმოდიფიცირებული ხეებით კომერციულ სარგებლობას საქართველოში. და ბოლოს - არ არსებობს ფაქტები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდა ამ არგუმენტების სისწორეს. **რისკის შეფასება -** არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნები NRAF მაჩვენებლების 1, 2 და 3 მიხედვით შესრულებულია. შესაბამისად, ამ ინდიკატორს მიენიჭა დაბალი რისკის კატეგორია.

დეტალური ანალიზი

	კონტექსტუალური კითხვები გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ	პასუხები	ინფორმაციის წყაროები (ანგარიშები, კანონები, რეგულაციები, სტატიები, ვებგვერდები, ახალი ამბები, და ა.შ.)
1	არსებობს თუ არა კანონმდებლობა გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან (ხეებთან) მიმართებაში?	დიახ	**კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ (2014 წ.)**/ საქართველოს 2014 წ. 18 სექტემბრის კანონი # 2656- LHG-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 02.10.2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028 საქართველოს მთავრობის 2010 წ. 13 აგვისტოს განკარგულება #241 **„ტყეების მოვლისა და ტყის აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“** (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. III, ტ. 100, 17.08.2010 წ., მუხლი 1496) / 2 შემასწორებელი განკარგულებით შეტანილი ცვლილებებითურთ / ბოლო შესწორება შეტანილია საქართველოს მთავრობის 13.10.2011 წ. განკარგულებით # 391

			https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021046
2	მოიცავს თუ არა შესაფასებელ ტერიტორიასთან მიმართებით არსებული კანონმდებლობა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (ხეების) კომერციული გამოყენების აკრძალვას?	დიახ	**კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ (2014 წ.)**/ საქართველოს 2014 წ. 18 სექტემბრის კანონი # 2656- LHG-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 02.10.2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028
3	არსებობს თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (ხეების) არაავტორიზებული გამოყენების მტკიცებულება?	არა	არ არსებობს ანგარიში ან ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მოსაზრებასთან
4	ხდება თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების კომერციული გამოყენება ქვეყანაში ან რეგიონში?	არა	არ არსებობს ანგარიში ან ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მოსაზრებასთან
5	არსებობს თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების საცდელი მეურნეობები ქვეყანაში ან რეგიონში?	არა	არ არსებობს ანგარიში ან ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მოსაზრებასთან
6	საჭიროა თუ არა ლიცენზიები გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების კომერციული გამოყენებისთვის?	აკრძალულია გენმოდიფიცირებული ხეების კომერციული გამოყენება	**კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ (2014 წ.)**/ საქართველოს 2014 წ. 18 სექტემბრის კანონი # 2656- LHG-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, 02.10.2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028
7	გაცემულია თუ არა ლიცენზიები გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყენებაზე, რომლებიც შეესაბამება შესაფასებელ სფეროს (ასეთ შემთხვევაში რომელ რეგიონში, რა სახეობებისთვის და რომელ ერთეულებზე)?	არა	არ არსებობს ანგარიში ან ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მოსაზრებასთან
8	გენეტიკურად მოდიფიცირებული რომელი „სახეობები“ გამოიყენება?	არ მიესადაგება	
9	შესაძლებელია თუ არა გარკვევით დადგენა თუ რომელ	არ მიესადაგება	

	მუნიციპალიტეტებში ხდება გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყენება?		

კონტროლის რეკომენდებული ღონისძიებები

N/A